ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

23 იანვრიდან!
„ახალი თაობა“
+
მარია კიური
8 ლარი




ორშაბათი, 28 იანვარი, 2013 №22 (6023) ფასი: 30 თეთრი

# კახა კუკავა: „ივანიშვილი ცდილობს, კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგოს“

გვ.2



## მეუფე იაკობი: „ქვეყანას არავის ავარევინებთ!“

გვ.3

ვის აფრთხილებს პატრიარქის ქორეპისკოპოსი



## გელა ნიკოლაიშვილი: „ახალაიას წინააღმდეგ საშინელი ჩვენებებია მიცემული“

გვ.5



## კოტე მარჯანიშვილი ქართული კულტურის ოქროს ფონდის ღირსეული ვარსკვლავია

გვ.8




## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების სისულელეებს საზღვარი არა აქვს“

გვ.4



რატომ არ იძლევა განმარტებებს ახალი ხელისუფლება



## მიხეილ სააკაშვილი: „პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს“

რით მოხიბლა საქართველოს პრეზიდენტი რუსმა კოლეგამ

გვ.3

გვ.7



## რა პრეტენზიები აქვს ქვეყნის მთავარ ანტიკორუფციონერს საქართველოს პროკურატურასთან?

25 იანვრიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ნიკო ფიროსმანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




9 771987 938006

3 ყაზბეგში მამათა მონასტერი დაიწვა

2 მძღოლებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა

5 დავით კუჭარეიშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს!“

2 პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით მორიგი აქცია ქუთაისში პარლამენტთან გაიმართება

# კახა კუკავა: „ივანიშვილი ცდილობს, კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგოს“

ნონა ცაბაძე



**ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან**

***— ბატონო კახა, მოდით, შევაფასოთ ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები, თუნდაც ის, რაც სახელისუფლებო გუნდში ხდება. საუბარია, რომ ოცნებაში სერიოზული განხეთქილებაა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე, თუნდაც ის, რაც ალასანიასა და ივანიშვილს შორის მოხდა...***

— კი ბატონო, ეს დაფარული არ არის და თვითონ ფაქტი კომენტარს არ საჭიროებს იმ თვალსაზრისით, რომ არავის უარუყვია, რომ ეს განხეთქილება არის. პრინციპში, ეს მოსალოდნელი იყო და რამდენიმე თვით ადრე მე ვამბობდი კიდევაც, რომ ასე იქნებოდა, იმიტომ რომ საქართველოში ჯერჯერობით ხელისუფლებისათვის ბრძოლა არ დასრულებულა, ხელისუფლება, თქვენ იცით, რომ მინისტრების გვარებით არ წყდება. საქართველოში არსებობდა წინა ხელისუფლების დროს სისტემა, რომელსაც ეწოდებოდა ამერიკის მარიონეტული რეჟიმი, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტს ნიშნავდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. ამჟამად გადასაწყვეტია, პირველ ოქტომბერს ეს პროცესი კი დაიწყო, მაგრამ დამთავრდება, როცა საპრეზიდენტო არჩევნები იქნება და რა სისტემა შეცვლის ამ მოდელს. ალასანიას პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, პირდაპირი კენჭისყრის წესით, რასაც დღეს ითვალისწინებს ჩვენი კონსტიტუცია, სავარაუდოდ, ივანიშვილი დატოვებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეს და ჩვენ შევინარჩუნებდით იმავე პოლიტიკურ სივრცეს, როგორიც გვქონდა წინა ხელისუფლების დროს, ანუ ქვეყნის პრეზიდენტი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტი. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა თამაშის ეს წესი არ მიიღო, ყოველ შემთხვევაში, უპირობოდ არ მიიღო. შეიძლება, იქ რაღაც გარკვეულ პირობებზე მიმდინარეობდეს ვაჭრობა, მაგრამ დღეს გვაქვს ასეთი ვითარება, ანუ ივანიშვილმა როგორც ვეტო დაადო ალასანიას კანდიდატურას, აგრეთვე მან მეორე ნაბიჯიც გადადგა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ამ კონფლიქტთან.

***— რას გულისხმობთ?***

— თქვენ იცით, რომ კონსტიტუციური შესწორება არის ინიცირებული, რომელიც გულისხმობს იმას, რომ უქმდება პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი, რაც ასევე გამორიცხავს იმას, რომ ალასანიამ პირდაპირი არჩევნების გზით აღმასრულებელი ხელისუფლება მოიპოვოს. ახლა ეს პროცესი მიმდინარეობს და, თუ როგორ დასრულდება, ამას მოვლენათა შემდგომი განვითარება გვაჩვენებს.

***— რამდენად სწორი ნაბიჯები იქნა პრემიერის მიერ გადადგმული?***

— მე ვფიქრობ, რომ არასწორი ნაბიჯები იყო გადადგმული, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის და ამჟამადაც ვუყურებთ იმას, რომ არსებითად „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური ერთეული, მე მგონია, რომ არც არასდროს არსებობდა, მაგრამ, თუ ვინმეს წარმოედგინა, რომ ის იყო პოლიტიკური ერთეული, ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე იქ მიმდინარეობს კლანური ბრძოლა და არა იდეოლოგიის გამო. უსუფაშვილის, ალასანიას და ივანიშვილის დაპირისპირება რაღაცა იდეოლოგიური და პოლიტიკური განსხვავებებით არ არის გამოწვეული, მიმდინარეობს ჩვეულებრივი კლანური ბრძოლა ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების გასაყოფად. ჩემი აზრით, ივანიშვილის ნაბიჯები არასწორი არის იმიტომ, რომ სამი თვეა, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ და უკვე მესამე კონსტიტუციური ცვლილების ინიცირება ხდება და სააკაშვილიც კი არ ახორციელებდა ასე ხშირ-ხშირად კონსტიტუციურ შესწორებებს. არ შეიძლება პიროვნებებზე ქვეყნის და სახელმწიფოს მორგება. სამწუხაროდ, შევარდნაძეც, სააკაშვილიც და ივანიშვილიც ერთი და იმავე ტიპის მოვლენები არიან. თავისთავად, სამივე არის კორუფციული ტიპის მოვლენა, რომლებსაც არ შეუძლიათ სახელმწიფო ინსტიტუტების აშენება. სახელმწიფო ინსტიტუტები შეიძლება ააშენოს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებამ და ეროვნულმა ხელისუფლებამ, რომელიც რაღაცა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტებზე და კლანურ ინტერესებზე არ იქნება დაფუძნებული. ახლა იმის გამო, რომ ივანიშვილს არ მოსწონდა სააკაშვილი, ადგა და პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეცვალა. ახლა იმის გამო, რომ არ მოსწონს ალასანია, შეცვლის პრეზიდენტის არჩევის წესს. მერე იმის გამო, რომ შეიძლება კონფლიქტი მოუვიდეს უსუფაშვილთან, შეცვლის კიდევ პარლამენტის რეგლამენტს და ეს არ არის სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპები.

***— როგორ უნდა ემოქმედა ივანიშვილს?***

— თუ ივანიშვილს არ მოსწონდა ალასანია, ალასანია უნდა გაეთავისუფლებინა არა ვიცე-პრემიერის, არამედ თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ან დაენიშნა ვადამდელი არჩევნები. ასე ხდება ევროპაში. ჩვენი, ქართველების შეცდომა ის არის, რომ თან ვიძახით, ევროპული დემოკრატია და დასავლური ცხოვრების წესი გვინდაო და თან ხელისუფლებაში მოგვყავს ოლიგარქები, რომლებიც, ვხედავთ, რომ სრულიად სხვა ტიპის თამაშის წესებს გვთავაზობენ. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან უხეში შეცდომა, რომ ნაცვლად სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა, ივანიშვილი ჩაერთო კლანურ ბრძოლაში თავისივე კოალიციის წარმომადგენლებთან.

***— როგორ ფიქრობთ, ამ ბრძოლაში უსუფაშვილის გუნდმა გაიმარჯვა?***

— სწორედ ამაზეც მინდა რომ გესაუბროთ, ივანიშვილი მოქმედებს ზუსტად შევარდნაძის პოლიტიკური ფილოსოფიით. იცით თქვენ, მას ჰქონდა ასეთი წონასწორობის თეორია, ერთი მინისტრი როცა გაძლიერდებოდა, მეორეს მიუქსევდა, მეორე რომ გაძლიერდებოდა, მესამეს მიუქსევდა და, საბოლოო ჯამში, ყველა მინისტრი დაჩმორებული ჰყავდა, ხოლო დაჩმორებული მინისტრების მთავრობამ რა მდგომარეობამდეც მიიყვანა ქვეყანა 2003 წლისათვის, ჩვენ ეს ვნახეთ. ამიტომაც სულაც არ ნიშნავს ეს იმას, რომ უსუფაშვილმა გაიმარჯვა. უბრალოდ, უსუფაშვილი მიუქსია ალასანიას. ახლა შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ალასანიას სახით გვყავს არასრულფასოვანი თავდაცვის მინისტრი. ახლა უსუფაშვილს მიუქსევს ვიღაცას და, საბოლოო ჯამში, მისი სურვილი არის, რომ თვითონ იყოს ის ხელშეუხებელი, ხოლო სხვა თანამდებობის პირები იყვნენ თავიდან ბოლომდე დამოკიდებული მასზე. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ის რა პრინციპებითაც მონაწილეობდა რუსულ ბიზნესში, ოლიგარქიაში, კიდევ შეიძლება სხვა სამყაროსთან ურთიერთობაში, ეს წესები აბსოლუტურად გამოუდეგარია სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისას. მე არაფერს ვიგონებ, იტალიაში შეიქმნა რამდენიმე კვირის წინ იგივე ვითარება, რაც არის საქართველოში. პარლამენტსა და მთავრობის გარკვეულ ჯგუფებს შორის მოხდა კრიზისი. იტალიის პრემიერ-მინისტრი, მარიე მონტი, რომელიც არის ნამდვილი ევროპელი და ნამდვილი დემოკრატი, გადადგა, გამოაცხადა ვადამდელი არჩევნები. ახლა თებერვალში ჩატარდება ვადამდელი არჩევნები და იტალიელი ხალხი გააკეთებს ახალ არჩევანს. ასეთ უნდა იქცეოდეს ივანიშვილიც, თუ ხედავს, რომ ალასანია არ გამოადგა, კალაძე არ გამოადგა, კიდევ ვიცი, რომ ბევრი მინისტრის მუშაობით არის უკმაყოფილო, უნდა გამოაცხადოს ვადამდელი არჩევნები და წარმოუდგინოს ქართველ საზოგადოებას როგორც საპარლამენტო კორპუსის, ისე მთავრობის ახალი შემადგენლობა და არა ის, რა წესებითაც ის ოპერირებს. ის მოქმედებს აზიური წესებით და ევროპული წესები არის თამაშის სრულიად სხვა წესები.

***— საუბარია, რომ კიდევ რამდენიმე მინისტრის შეცვლა იგეგმება...***

— მინისტრების შეცვლა პრობლემური იქნება. თქვენ იცით, რომ დღევანდელი მთავრობა არ არის ჩამოყალიბებული კონსტიტუციის მიხედვით. ეს იყო სააკაშვილის მხრიდან დათმობა, არჩევნების შემდგომი ეიფორიის გათვალისწინებით, როდესაც მან თანხმობა მისცა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს მთავრობის მთავრობის ჩამოყალიბებაზე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მას შემდგომ შეიცვალა ქვეყანაში უკვე ძალთა თანაფარდობა და, აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვიცით, თუკი ივანიშვილს დასჭირდება მინისტრის შეცვლა, მისცემს თუ არა პრეზიდენტი მას ასეთ თანხმობას. ის არც ამ თვალსაზრისით არის ორდინარულ ვითარებაში.

***— თქვენ საუბრისას კონსტიტუციურ ცვლილებებს შეეხეთ. როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლების მხრიდან ეს არის კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგების მცდელობა?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ არ მოგვწონდა ის, რომ შევარდნაძემ შეიტანა თავისი მმართველობის 11 წლის მანძილზე 9 შესწორება, ანუ გამოდის, რომ თითქმის ყოველ ერთ წელიწადში ერთი შესწორება შეჰქონდა. ჩვენ არ მოგვწონდა ის, რომ სააკაშვილმა შეიტანა 24 შესწორება 9 წლის მანძილზე, ანუ გამოდის, რომ თითქმის სამი შესწორება ერთი წლის მანძილზე და ახლა ჩვენ ვხედავთ კიდევ უფრო უარესს, როდესაც ახალი ხელისუფლების მმართველობის ოთხი თვის მანძილზე უკვე სამი კონსტიტუციური შესწორებაა ინიცირებული. უნდა ითქვას, რომ ეს ყველა რეკორდს ამსხვრევს. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლება აშენებს არა დემოკრატიას, არამედ ეს არის რაღაც მარიონეტულ-ავტორიტარულ-კორუფციული რეჟიმი, რომელიც, გარწმუნებთ, დიდხანს ვერ გაძლებს, თუ ამ გზაზე გააგრძელა სიარული.

***— მათი პოზიცია ასეთია: ჩვენ გვეშინია სააკაშვილის, რადგან არ ვიცით, რას მოიმოქმედებს და ამიტომ უფლებები უნდა შევუზღუდოთო.***

— ამას ვამბობთ ჩვენ, რომ ზომები უნდა იყოს ადეკვატური. თუ სააკაშვილის გვეშინია, მაშინ უნდა განვახორციელოთ სააკაშვილის იმპიჩმენტი ან გასამართლება, ან უფლებამოსილების შეწყვეტა იმ დროზე, რომელიც გათვალისწინებულია მისი არჩევის უფლებამოსილების ვადით. ხომ არსებობს ქართული გამოთქმა, რომ ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. სააკაშვილის რომ გვეშინია, მაგ არგუმენტით ჩვენ თუ კონსტიტუცია დავამახინჯეთ, მერე შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ ახლა შეიძლება წამალი და ნარკოტიკები ჩაუდო გუნავას, მერე შეიძლება კიდევ ვიღაცამ რაღაც იდეები წარმოადგინოს და მაშინ გამოვა, რომ ჩვენ სააკაშვილისგან თავს დავიცავთ, მაგრამ ქვეყანას დავანგრევთ. ცნობილი ანეკდოტი არსებობდა ბრეჟნევის დროს, მშვიდობის გულისთვის ქვას ქვაზე არ დავტოვებთო და დღევანდელი ხელისუფლების რეაქციები სააკაშვილის ნაბიჯებზე ნამდვილად ამას ჰგავს. დღეს მიმდინარეობს ივანიშვილის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა, რომელიც ისედაც არამყარი იყო სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, მაშინ როდესაც ერთ-ერთი მთავარი, რაც საქართველოს სჭირდებოდა, იყო სახელმწიფო ინსტიტუტების გამტკიცება და მშენებლობა. დღეს კი საქართველოში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი. დღეს საქართველოში არსებობს ბიძინა ივანიშვილი. თქვენ ვერ დამისახელებთ რომელიმე სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელიც თავისი კონსტიტუციური კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს და ეს არ არის ნორმალური, რადგან სააკაშვილი ჩვენ ზუსტად ამიტომ არ მოგვწონდა, რომ მისი მმართველობის პირობებში არსებობდა მიხეილ სააკაშვილი და ყველა ინსტიტუტი იყო ნომინალური. ჩვენ გვინდა სახელმწიფო, სადაც იარსებებენ ინსტიტუტები, რომელიც დამოუკიდებელნი იქნებიან ქვეყნის თუნდაც ძალიან რეიტინგული და ავტორიტეტული მმართველებისაგან.

***— თქვენ საუბრისას პრეზიდენტის იმპიჩმენტი ახსენეთ და უმრავლესობის პოზიცია ასეთია: იმპიჩმენტს იმხელა პროცედურები სჭირდება, სააკაშვილი თავის ვადას ამოწურავსო.***

— თუ კომპეტენცია არ ჰყოფნით პარლამენტის კონსტიტუციონალისტებს, მაშინ უნდა დაეკითხონ ჭკუას მათ, ვინც ეს იცის და გარწმუნებთ, რომ ექვსი თუ შვიდი სხვადასხვა ვარიანტი არსებობს იმისი, როგორ შეიძლებოდა სააკაშვილისაგან თავის დაღწევა, თუნდაც არაიმპიჩმენტის გზით. ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა ყოფილიყო კონსტიტუციური შესწორება ინიცირებული, რომლითაც განისაზღვრებოდა უკვე, რომ პრეზიდენტის არჩევნები ტარდება არა ოქტომბერში, არამედ პრეზიდენტის ვადის ამოწურვისთანავე. ასე იქნებოდა ეს პრობლემა მარტივად გადაწყვეტილი და ამას არანაირი ექვსი თვე არ დასჭირდებოდა.

## მძღოლებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა

გლდანის ავტოპარკში „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებსა და სამარშრუტო ტაქსების გაფიცულ მძღოლებს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

მძღოლების თქმით, მათ მთავარ მოთხოვნაზე — გეგმის შემცირებაზე „თბილისის მიკროავტობუსის“ წარმომადგენლებისგან მიიღეს პასუხი, რომ ამას მონიტორინგი სჭირდება, რაც გაჭიანურდება, ისინი კი გეგმის შემცირებას ახლავე ითხოვენ.

რაც შეეხება ინდმეწარმის სტატუსის გაუქმებას, მათი თქმით, კომპანიისგან მიიღეს პასუხი, რომ ეს პარლამენტის გადასაწყვეტია.

გაფიცული მძღოლები აცხადებენ, რომ შეთანხმება მხოლოდ ერთ საკითხზე მოხდა, კერძოდ სხვადასხვა ხაზიდან გათავისუფლებული მძღოლების სამუშაო ადგილებზე დაბრუნების შესახებ.

შეხვედრას საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მძღოლები გაფიცვას დღესაც გააგრძელებენ და 10:30 საათზე აქციას მერიასთან გამართავენ. შეგახსენებთ, რომ თბილისში მიკროავტობუსის მძღოლები მესამე დღეა გაფიცულები არიან.

მედიანიუსი

## პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით მორიგი აქცია ქუთაისში პარლამენტთან გაიმართება

საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნის მემორანდუმზე ხელმომწერი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „ერთსულოვნება“ მოქალაქეებს მორიგ საპროტესტო აქციაზე 5 თებერვალს ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან იწვევს.

როგორც კოალიციის ერთ-ერთ ლიდერის, მიხეილ ანდღულაძის განცხადებაში არის ნათქვამი, ერი და ბერი — ყველა ქუთაისში 5 თებერვალს პარლამენტის შენობასთან უნდა შეიკრიბოს. კოალიციის მოსაზრებით, 5 თებერვალს — საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნის დღეს, ყოვლად სამარცხვინო და ქართველი ხალხისთვის მიუღებელი პიროვნება, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტის რანგში პარლამენტში ანგარიშით გამოსვლას აპირებს.

„თუ ეს მოხდა, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტი აღარ ჰყავს და ისტორიის ფურცელზე ეს დღე დასათაურდება როგორც ქართველი ერის კიდევ ერთი სირცხვილი.

თუმცა ჩვენ, ქართველი ერი და საქართველოს მოსახლეობა ამ სამარცხვინო პიროვნების უსაზღვრო ბოგინს და ვაქხანალიას არ დავუშვებთ და ყველანი 5 თებერვალს ქუთაისში პარლამენტთან შევიკრიბებით.

ამისათვის ემზადება კოალიცია „ერთსულოვნება“ და ყველა გულანთებული მამულიშვილი თუ საზოგადოებრივი მოძრაობა.

მოგიწოდებთ ყველას, ნუ გამორჩებით ამ ისტორიულ მოვლენას და თავგანწირვის ხარისხში 5 თებერვალს ყველანი გავემგზავროთ ქუთაისში პარლამენტთან შესაკრებად“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ერთსულოვნებაში“ მიიჩნევენ, რომ დღეს ჩვენი მომავალი თაობების ბედი ჩვენს ხელშია და თუ ეს შანსი ხელიდან გავუშვით, მერე ძალიან გვიანი იქნება. მტარვალი ეპოტინება ჩვენს ყოფიერებას, იტაცებს ჩვენს ქვეყანას და ჩვენ ეს თუ არ აღვკვეთეთ, ღმერთი კიდევ უარეს სასჯელს მოგვივლენს.

შეგახსენებთ, რომ „ერთსულოვნების“ ინიციატივით, მიხეილ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით უკვე ათასობით ხელმოწერა შეგროვდა და რამდენიმე საპროტესტო აქცია გაიმართა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ სააკაშვილი: „პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს“

## რით მოხიბლა საქართველოს პრეზიდენტი რუსმა კოლეგამ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალები და მათთან დაახლოებული პატრიოტები შეშფოთებული არიან პატრიარქის რუსეთში ვიზიტით. შფოთავენ, როგორ გაუწოდა ილია II-მ პუტინს ხელიო. ამის პარალელურად ბიძინა ივანიშვილისა და დიმიტრი მედვედევის შეხვედრასაც აპროტესტებენ. ამ დროს ვერაფრით გვიხსნიან რატომ მისცა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება. სტრატეგიული ობიექტებიც, რომ რუსეთს ჩაახუტეს არც ეს ნიშნავს თურმე არაფერს.

არც ის ახსოვთ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ სააკაშვილი პირველად ვისაც ეწვია ეს პუტინი იყო. სააკაშვილი პუტინით აღფრთოვანებული გახლდათ. თავისი აღფრთოვანება მან სხვადასხვა საჯარო გამოსვლებში დააფიქსირა. მისი აზრით, პუტინს პატიოსანი კაცის თვალები აქვს. პუტინის პატიოსნება არსად გაიშვა, მაგრამ ასე ამბობდა საქართველოს პრეზიდენტი. ახლა ნაციონალებს ამის გახსენება არ სურთ. „ახალი თაობა“ გთავაზობთ რუსულ გამოცემა „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ სააკაშვილის ინტერვიუს. ეს მასალა 2004 წლის 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. მსურველებს ორიგინალში შეუძლია წაიკითხონ ბალადა პუტინის პატიოსან თვალებზე. ჩვენ ამ ინტერვიუს ნაწილს გთავაზობთ.

*— ბატონო პრეზიდენტო, ერთხელ როგორღაც თქვით, რომ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში პუტინის მოსწავლე ხართ. ზოგი თვლის, რომ ამ ბრძოლაში პუტინსაც გაუსწარით. ამბობენ, რომ თქვენ კორუფციას არა ბრძოლა, არამედ ომი გამოუცხადეთ. ასეა?*

— სამწუხაროდ, გადამჭრელი ზომების გარეშე საქართველოს ვერ განვაახლებთ. იცით, ქართველები არ არიან ისეთი მომთმენნი, როგორც — რუსები. ითმინეს ათი წელი და „ვარდების რევოლუცია“ მოახდინეს. მხოლოდ მოსმენით ისინი დაიღალნენ, მათ სურთ, რომ დაინახონ.

*— და თქვენ აჩვენებთ მათ?*

— დიახ, და თანაც — პირდაპირ ეთერში. იცით, უკვე რამდენი ყალთაბანდი დავაკავეთ და უკვე რამდენი ფული დააბრუნეს? აი, ამ დღეებში ორმა ყოფილმა მინისტრმა სახელმწიფოს 10 მილიონი დოლარი გადაუხადა და დანარჩენებიც იმდენს შემოიტანენ, რამდენიც აქვთ მოპარული.

*— სკეპტიკოსები ამბობენ, შემოიტანენ და საქმეც დაიხურებაო...*

— ასე ხდებოდა ადრე! ახლა კი, დაბრუნებული ფული ვერავისთვის ვერ გახდება ინდულგენცია. ქურდბაცაცა ჩინოვნიკების წინააღმდეგ აღძრული არც ერთი საქმე არ დაიხურება, ყველანი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან! და კიდევ — თუ სასამართლო ამ პირების მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, სასჯელის მოხდის შემდეგ, მათ სამუდამოდ აეკრძალებათ საპასუხისმგებლო პოსტების დაკავება! ლუსტრაცია! ხალხი ამას მოითხოვს.

*— რაზე დაიხარჯება ამოღებული ფული?*

— სახელფასო და საპენსიო დავალიანებებს დავფარავთ.

*— და როგორ უყურებს ამას დასავლეთი?*

— კარგი შეკითხვაა! ჩვენი ყალთაბანდები დასავლეთში ქირაობენ ჟურნალისტებს და იქაური პრესა უკვე გაივსო მათ დასაცავად გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. ჰოდა, აი, მეც ვეკითხები დასავლელ პოლიტიკოსებს: „თქვენ ხომ მოითხოვდით კორუფციასთან ბრძოლას? დავიწყეთ და ვებრძვით, თქვენ კი ეს უკვე აღარ მოგწონთ! ახლა გაიძახიან, ასე დაუნდობლად რატომ ებრძვითო. მაგრამ ეს ბრძოლა ხომ სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა. თამაშისა და დაყოლიების დრო დამთავრდა!

*— არ გეშინიათ, რომ მათ ადგილს ისინი დაიკავებენ, რომლებსაც თანხის გადახდის სანაცვლოდ ათავისუფლებთ?*

— ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, გვყავდეს უფულო მაფიოზი გარეთ, ვიდრე დიდი ფულის პატრონი მაფიოზი ციხეში. ციხეში ხომ მას კომფორტი, მობილური ტელეფონი აქვს, იქიდან მართავს თავის მაფიოზურ ჯგუფს, ხოლო გარეთ და უფულოდ იგი ნულია. თუმცა, აქ არის ერთი ნიუანსი. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოდან რუსეთში მილიონზე მეტი ადამიანი ჩამოვიდა, მათგან 640 ათასმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ხვდებით? საქართველოში სიღარიბეა, ხოლო მოსკოვში

*— უამრავი ფეშენებელური ქართული რესტორანი და ძალიან მდიდარი ხალხი...*

— ამაზე მადლობა უთხარით შევარდნაძეს, ქურდები და კორუმპირებულები რომ გაამრავლა, სახელმწიფო რომ გაფცქვნეს. მცირე ჩხვლე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მეუფე იაკობი: „ქვეყანას არავის ავარევინებთ!“

## ვის აფრთხილებს პატრიარქის ქორეპისკოპოსი

შორენა მარსაგიშვილი



**ნაციონალური მოძრაობა არ მალავს, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებს. ექსპერტთა ნაწილი შიშობს, რომ ისინი შესაძლოა ვითარების გამწვავებაზე წავიდნენ. ქვეყანაში ვითარება მართლა გამწვავებულია. ახალი ხელისუფლება გაჭირვებით ართმევს თავს მოვალეობის შესრულებას. ბევრი უკვე შიშით შეჰყურებს მომავალს.**

ახალი ხელისუფლების მსგავსად ნაციონალებმა და მათთან დაახლოებულმა პირებმა მიზანში კვლაც ამოიღეს საპატრიარქო და პატრიარქი. ამჯერად იმით არიან უკმაყოფილო, რატომ წავიდა ილია II მოსკოვში. თურმე უწმინდესმა დიდი საშინელება ჩაიდინა, რუსეთის პრეზიდენტს, რომ შეხვდა.

რუსეთიდან პატრიარქი 26 იანვარს დაბრუნდა. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოსკოვში ვიზიტს ისტორიული და კარგის მომასწავებელი უწოდა.

— ღვთის წყალობითა და შეწევნით ვიზიტი იყო ძალიან წარმატებული და ვფიქრობ, რომ მას კარგი შედეგები მოჰყვება, — ბრძანა პატრიარქმა.

გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსის, ასევე პატრიარქის ქორეპისკოპოსის, მეუფე იაკობის განცხადებით, ღვთის სასწაულით რამდენიმე თვის წინ ქართველი ერი სახადისგან გათავისუფლდა და ეს ახალგაზრდობის დიდი დამსახურებაა.

როგორც გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში, ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით აღვლენილი წირვა-ლოცვის შემდეგ ქადაგებისას ქორეპისკოპოსმა ბრძანა, უკვე ყველამ ნახა, რომ ქართველ ხალხს თავისუფლებისთვის ბრძოლა შეუძლია, თავისუფლებისკენ სწრაფვაში ქართველ ერს ხელს ვერავინ შეუშლის და ამის ილუზია არც არავის არ უნდა ჰქონდეს.

— რამდენიმე თვის წინ ქართულმა გენმა იქუხა, რადგან მას ვერავინ მოკლავს. ჩვენი ისტორიის მანძილზე თითქმის სულ დაპყრობილები ვიყავით, მაგრამ მონობას ყოველთვის გავურბოდით, ყოველთვის გვიყვარდა თავისუფლება, ყოველთვის ვაფასებდით დამოუკიდებლობას. ასევე, ქართველისთვის ძალიან ძვირფასი იყო სხვა აღმსარებლობის ერების თავისუფლება და დამოუკიდებლობა. რამდენი საუკუნე იყო გასული, როდესაც ჩვენ თავისუფლებისკენ სწრაფვის საშუალებას არ გვაძლევდნენ, მაგრამ ღვთის სასწაულით რამდენიმე თვის წინ მოგვეცა საშუალება, ვიყოთ თავისუფლები, დამოუკიდებლები. ამაში ახალგაზრდობის დიდი დამსახურებაა. ეს არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს. ჩვენ უფლისგან მოვდივართ. უფალს ისე უყვარდა საქართველო, რომ დედას უძლვნა თავის წილად. არ შეგვშვენის, მოვიქცეთ ისე, რომ შევარცხვინოთ უფალი, დედა ღვთისმშობელი, წმინდა ნინო და წმინდა გიორგი. დიდი პასუხისმგებლობა აქვს ჩვენს ერს და ამას არ გავურბივართ. ამ ათასწლეულის გარიჟრაჟზე უფალმა საქართველოს აჩუქა პატრიარქი და უამრავი ერის ადამიანი, რომ ეს მძიმე ჯვარი ეტვირთათ და ერი სამშვიდობოს გაეყვანათ. როგორც ვნახეთ, ჩვენ შეგვიძლია უკვე თავისუფლებისკენ ვისწრაფოთ, ხელს ვერც ვერავინ შეგვიშლის და ამის ილუზიაც არავის ჰქონდეს. ჩვენ ალბათ შევეცდებით, ვიდრე მოთმენა შეიძლება, მოვითმინოთ, მაგრამ ერს არავის დავაჩაგვრინებთ, გარედან იქნება თუ შიგნიდან. ეკლესიაც და ერიც საკმაოდ ძლიერია და ის ყოველთვის დაგიცავთ. არ არის ერზე ძლიერი ძალა ჩვენს ქვეყანაში. ერი და ბერი ერთად არიან. ჩვენ ერთმანეთს ვაჩვენებთ, როგორ უნდა გავხდეთ მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრები. ჩვენ მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენით უნდა შევიდეთ. ყველას ვულოცავ ნინოობის დიდ დღესასწაულს, მათ შორის ჩვენს მთავრობას და მხედრობას და ვთხოვ, წყენა დავივიწყოთ, ერთი ქვეყანა გვაქვს, რომელიც ღმერთმა მოგვცა და ერთად ავაშენოთ, თორემ, ყველამ კარგად იცოდეს, საზღვარგარეთ იქნება თუ ქვეყნის შიგნით, ქვეყანას არავის ავარევინებთ და ბოლომდე დავიცავთ, — ბრძანა მეუფე იაკობმა.

ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, თუ ვის აფრთხილებს პატრიარქის ქორეპისკოპოსი. სამწუხაროდ, საქართველოში ვიღაცები მართლაც ცდილობენ არევას. ეს თავად მათთვის ძალიან ცუდად დასრულდება. ყველაზე უარესი კი ის გახლავთ. რომ ქვეყანასაც გადაიყოლებენ.

# ყაზბეგში მამათა მონასტერი დაიწვა

**26 იანვარი ყაზბეგის მოსახლეობისთვის ძალიან მძიმე გამოდგა. ელექტროსადენების გაუმართაობამ ხანძარი გააჩინა, რომელმაც სოფელ არშაში მდებარე ხარების სახელობის მამათა მონასტერი შეიწირა. ტაძრის გადარჩენა მეხანძრეებმა შეძლეს. მხოლოდ სახურავი დაიწვა, ხატების გამოტანა უვნებლად მოხერხდა.**



შორენა მარსაგიშვილი

ხარების სახელობის ტაძარი ცოტა ხნის წინ ამოქმედდა. მხატვარი ტაძრის მოხატვას სწორედ იმ დილას მორჩა, როცა ხანძარმა იქაურობა გადაწვა. შენობა, სადაც მამები ცხოვრობენ, ადრე საავადმყოფო იყო. შენობა საკმაოდ ძველი გახლავთ და ფიცრის ელემენტებს მრავლად შეიცავდა. დრომ ეს ფიცრები გამოაშრო და ხანძრის დროს ქაღალდივით ჩაიწვა.

— მონასტერში ხანძარი პირველად სკოლის შენობიდან შენიშნეს. სასწრაფოდ დარეკეს სახანძროში, მეც გამაგებინეს. სასწრაფოდ მივედი. ასეთი საშინელება ჯერ არ მინახავს. საშინელი სანახავია, როცა უყურებ, როგორ იწვის ტაძარი და ვერაფერს შველი, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ინფო 9“-ის ჟურნალისტმა მანანა გელაშვილმა მანანა გელაშვილმა მოგვაწოდა ხანძრის ფოტოებიც, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.

მანანა ამბობს, რომ მეხანძრეებმა იმაზე მეტი გააკეთეს, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, მაგრამ მათმა თავდადებამ ამაოდ ჩაიარა.

— მეხანძრეებმა მართლა შეუძლებელი გააკეთეს. ყოველგვარი სპეცაღჭურვილობის გარეშე შედიოდნენ ცეცხლში. ასე ალბათ მარტო გმირები იქცევიან. ტაძრის გადარჩენა სასწაულით შეძლეს. მხოლოდ სახურავი დაიწვა. სათანადო აღჭურვილობა რომ ჰქონოდათ, ალბათ გაცილებით მეტს გააკეთებდნენ, — აღნიშნავს ჩვენთან საუბარში მანანა გელაშვილი.

ისევე როგორც სხვა რეგიონებში, სახანძრო სამსახური ყაზბეგშიც ფაქტიურად არ არსებობს. მეხანძრეებს უძველესი მანქანები ჰყავთ მხოლოდ. ეს მანქანები დანიშნულების ადგილზე ან მიგიყვანს, ან ვერა. ცოტა ხნის წინ თიანეთში ხანძრის ჩასაქრობად მიმავალი სახანძრო თავად დაიწვა. ყაზბეგში კი სახანძრო მანქანას ბუქსირით დაატარებენ.

— მე ვნახე, რა პირობებში მუშაობენ და ცხოვრობენ მეხანძრეები. კიდევ გავიმეორებ, რომ ისინი გმირები არიან, — აცხადებს გელაშვილი.

ხანძრის ჩაქრობაში მეხანძრეებს მოსახლეობა და სასულიერო პირებიც ეხმარებოდნენ.

— ხალხი გაოგნებული იყო. ასეთი რამ აქ არავის უნახავს. ცეცხლომიკიდებული ტაძარი საშინელ განცდას იწვევს. სასულიერო პირები ამბობდნენ, რომ ტაძრის დაწვა ალბათ ღვთის სასჯელია. მეხანძრეებთან ერთად მათ ყველაფერი გააკეთეს. საბედნიეროდ, ხატების გადარჩენა მოხერხდა, — აღნიშნავს ჟურნალისტი.

ცეცხლმოკიდებულ ტაძარს მთელი დღის მანძილზე არ მოსცილებია რაიონის გამგებელი შალვა ელოშვილი. გაღიზიანებულმა მოსახლეობამ ბოლო 9 წლის განმავლობაში ნაციონალების დაგროვილი ცოდვები სულ მას მოჰკითხა. არადა, ის სულ ახლახან შეუდგა გამგებლის მოვალეობის შესრულებას. ადგილობრივი ნაციონალები იქ არ გამოჩენილან. ეტყობა ხალხის რისხვის შეეშინდათ, ანდა ზევიდან არ ჰქონდათ ბრძანება მიღებული.

მამათა მონასტერს აქ აუცილებლად და ძალიან მალე აღადგენენ, მაგრამ რა ეშველება სახანძრო სამსახურს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, სახანძროს გაუმართაობის გამო მთელი ქვეყნის მასშტაბით ბევრი უბედურება მომხდარა. რეგიონებში მეხანძრეებს არანაირი სპეციალური აღჭურვილობა არ აქვთ, ისინი სამოქალაქო ტანსაცმლით შედიან ცეცხლში. ამით საკუთარ სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებენ.

ხარების სახელობის მამათა მონასტრის დაწვას მცხეთა-მთიანეთის ახალი გუბერნატორი ხათუნა ოჩიაური ჯერ არ გამოხმაურებია. ალბათ მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი საქმე თავის წინამორბედზე — ცეზარ ჩოჩელზე ნერვიულობა იყო.

იმედი ვიქონიოთ, რომ მონასტრის დაწვა ქვეყნის ხელისუფლებას დააფიქრებს. წინა ხელისუფლებამ გია თორთლაძის მთაში გასეირნებისთვის და ბუბა კიკაბიძის ევროპული ტურნესთვის ასეულობით ათასი ლარი გამოყო. ამ თანხით რამდენიმე რაიონის სახანძრო სამსახურისთვის ახალი ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა შეიძლებოდა.

# დავითაიას პარტია სამეურნეო მიწებზე გადასახადების ზრდას დაუშვებლად მიიჩნევს

**„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“ პარლამენტს მოუწოდებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გადასახადების ზრდასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი არ მიიღოს.**

როგორც პარტიის წარმომადგენელმა, გიორგი ხოკერაშილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს ევროპელი დემოკრატებისთვის გაუგებარია, რატომ ზრდის საქართველოს ახალი ხელისუფლება სასოფლო სამეურნეო მიწებზე ქონების გადასახადს, იმის ნაცვლად, რომ შეემცირებინა.

„მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, მხარი არ დაუჭიროს და არ მიიღოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ახალი კანონპროექტი, რომელიც ეხება საქართველოს საგადასახაო კოდექსის 204-ე მუხლს, ვინაიდან, ამ კანონის მიღება კიდევ უფრო გააუარესებს სოფლის მოსახლეობისა და ფერმერების მდგომარეობას“,-აღნიშნავს ხოკერაშვილი

მისივე თქმით, რამდენიმე დღის პარტიამ ახალ ხელისუფლებას მოუწოდა, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ქონების გადასახადი შეემცირებინა, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლში შესული ცვლილებების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა.

„ზემოთ აღნიშნული განცხადების გავრცელების შემდეგ, საქართველოს ევროპელ დემოკრატებს მიმართა ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა, სასოფლო სამეურნეო სექტორში გადასახადების კუთხით მდგომარეობა, არათუ უცვლელი დარჩა, არამედ პირიქით, უარესდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იანიციატივით, საქართველოს პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს, სასოფლო სამეურნეო მიწებზე გადასახადების გაზრდას. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლის არსებული რედაქციის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ქონების გადასახადი განსაზღვრულია 50 ლარიდან 100 ლარამდე, ხოლო კანონპროექტის ახალი რედაქციით, მინიმალური საბაზისო განაკვეთი კიდევ უფრო იზრდება“,- განაცხადა გიორგი ხოკერაშვილმა. **მედიანიუსი**

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების სისულელეებს საზღვარი არა აქვს“

## რატომ არ იძლევა განმარტებებს ახალი ხელისუფლება

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან



***— ბატონო რამაზ, ახალი ხელისუფლების მოსვლიდან 100 დღეს როგორ შეაჯამებთ?***

— „ქართულმა ოცნებამ“ იქ, სადაც ბარიერი არ შეხვდა, დანაპირები საკმაო ტემპით შეასრულა. ვგულისხმობ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას. ასევე სავარაუდოა, რომ ბიზნესი წნეხისგან რეალურად განთავისუფლდა, მაგალითად, ბენზინზე ფასები შემცირდა.

***— მხოლოდ ერთი თუ ორი თეთრით...***

— როდესაც ასე ამბობთ ჟურნალისტები, რომ თეთრებზეა საუბარი, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობა უნდა ააბუნტოთ. ამ ხნის განმავლობაში ხომ არ მომხდარა არც ერთი თეთრით დაკლება? ამიტომ ამ მხრივ რაღაც პოზიტივი ხალხს მივცეთ, რადგან ხალხი ცოდოა.

***— საუბარია, რამდენად არის ეს ხელშესახები შედეგი?***

— ქართულ ჟურნალისტიკას კრიტიკული პოზა უკავია და ამ პოზის შედეგად რას მიიღებს, ამაზე არ ფიქრობს. ეკრანიდან არ იგრძნობა, რომ ე.წ. ოპოზიციურ ტელევიზიებს რეკლამების ნაკლებობა აქვთ. ბენზინისა და სატელევიზიო რეკლამის სიმპტომებით ვვარაუდობ, რომ ის წნეხი, რომელიც ბიზნესს ჰქონდა, შემცირდა. უბრალოდ, ბიზნესმენები უფრო ფრთხილი ხალხია და უცებ რეაქციებს არ იძლევიან, მაგრამ ვფიქრობ, ოპტიმიზმის საფუძველი არის.

***— ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან განთავისუფლებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, რაც საგარეო ვექტორის ცვლილებას დაუკავშირა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საზოგადოების რაღაც ნაწილმაც. რას იტყვით?***

— ალასანია არის ის ფიგურა, რომელიც შეიძლება ვექტორთან დაკავშირებით ივანიშვილთან დისონანში აღმოჩნდეს? მათ ხომ თავიდანვე კარგად იცოდნენ, თუ რა პოლიტიკური მიმართულებით მიდიოდნენ, გუშინ ხომ არ შეხვდნენ ერთმანეთს. ალასანიას დიდი ხნით ადრე ჰკითხეს: აპირებთ თუ არა პრეზიდენტობასო? — ყველაფერი მოსალოდნელიაო. ეს პასუხი უკვე შეიცავდა იმ განზრახვას, რომ ის პრეზიდენტობისკენ წავა. მაშინ ივანიშვილსაც დაუსვეს იგივე კითხვა, ივანიშვილის პასუხის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი სხვადასხვანაირად ფიქრობენ. გაუგებარია, მაშინ არსებული განსხვავება ამ საკითხზე ახლა რატომ იწვევს გაკვირვებას, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება ალასანიასა და ივანიშვილის დაპირისპირების საგანი აღმოჩენილიყო. ვექტორი რა შუაშია?

***— ეს განცხადება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა...***

— ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოგდებული ვერსია. „ნაციონალებმა“ თუ ნახეს, რომ რა სისულელეც არ უნდა თქვან, მედია ყველაფერს აიტაცებს, ისინი ყოველდღე ახალ-ახალ სისულელეებს იტყვიან. სისულელეს ხომ საზღვარი არ აქვს. რაც მთავარია, ივანიშვილმა მისი გადაწყვეტილება ახსნა. როდესაც რეგიონებში ვრცელდება ინფორმაცია და ხალხის გადაბირება-გადმობირება ხდება, ეს დისკომფორტის შემქმნელი უნდა იყოს პრემიერისთვის. მან რეაქცია მისცა არა როგორც ალასანიას წინააღმდეგ, არამედ ეს იყო რეგიონების მიმართ გაკეთებული ჟესტი. იმ ხალხის მიმართ, რომლებმაც ალასანიას პრეზიდენტობის ვერსიას აყვნენ. მათ ივანიშვილმა უთხრა, ჯერ ამაზე საუბარი ადრეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება თავად ალასანია დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ. ბიძინა ივანიშვილმა ამ გადაწყვეტილებით სცადა, ალასანიას მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება. ეს არის და ეს. რა საჭიროა ვექტორზე საუბარი, თუ არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესი, რომ რაც შეიძლება დასავლეთს მიაწოდონ ვერსია, რომ რუსული ორიენტაციისაა ივანიშვილი.

***— ბატონო რამაზ, ხომ არ ფიქრობთ, რომ დროში ცუდად დაემთხვა ალასანიას განთავისუფლება და საგარეო საქმეთა მინისტრის ვაშაკიძის წასვლა იმ მოტივით, რომ ის არ იზიარებს კურსს და სტილს...***

— ვაშაკიძისა და ივანიშვილის მიერ დასახელებულ მიზეზებს შორის ხომ არის განსხვავება.

***— სრულიად განსხვავებული მიზეზი დაასახელა პრემიერმა, მაგრამ მაინც ხომ არ ფიქრობთ, რომ გადაწყვეტილება დროში ცუდად დაემთხვა?***

— თუკი, საქმის ცუდად კეთება იყო მიზეზი, რაზეც მკაცრი რეაქცია ჰქონდა, როგორც ჩანს, ივანიშვილს, ამ მიზეზს ვაშაკიძე ხომ არ დაასახელებდა? ხომ არ იტყოდა, ცუდად გავაკეთე საქმეო და პოლიტიკა მოიმიზეზა, რაზეც ვერ ვიტყოდი, რომ პატიოსანი ნაბიჯია. ალასანია გაცილებით პატიოსნად მოიქცა, როდესაც ხსნიდა მასთან დაკავშირებულ ინციდენტს. ვაშაკიძე ხშირად იცვლიდა პოსტებს, ის ასევე იყო ახალიას მოადგილე. მოარული ჩინოვნიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. როდესაც ხშირად იცვლი თანამდებობას, ამას რაღაც მიზეზები აქვს. ამიტომ პოლიტიკური ვექტორისკენ თითის გაშვერა, თან სომხეთის ფრაზით, რომელიც მთელმა საქართველომ მოისმინა, არასერიოზული მგონია, რადგან იქ არაფერი არ იყო.

***— პრემიერის ინტერვიუმ, რომელიც რადიო „თავისუფლების“ სომხურ რედაქციას მისცა, ვნებათაღელვა გამოიწვია ადამიანების რაღაც ნაწილში...***

— ადამიანებმა არ იციან, თავიანთ ვნებებს რა უყონ. ღელავენ იმაზე, რაც ასაღელვებელი არ არის. მაშინ უნდა გაიხსენონ 15 ისეთი ინტერვიუ, სადაც ხაზგასმით იყო ნათქვამი დასავლური კურსის შესახებ. ეს რატომ გვავიწყდება. ივანიშვილი ალასანიას საკითხს რომ განმარტავდა, მაშინ სიტყვამ მოიტანა და თქვა, ნატოში შევდივართ და ჯარს ხომ უნდა მოვლა, მას ბევრი საქმე აქვსო. ირიბ კონტექსტშიც ნატოში შესვლა მას წამოსცდა, თუ შეიძლება ითქვას. ე.ი. აპირებს ეს კაცი ნატოში შესვლას და რაზეა საუბარი? იმაზე, რომ როგორმე „ნაციონალების“ ფორმულა გავამართლოთ? ჩვენ, მთელი საზოგადოება, ჟურნალისტებიც და მათი მკითხველებიც ახლა ხომ „ნაციონალების“ პროპაგანდას ვემსახურებით.

***— ბატონო რამაზ, ჩვენ მხოლოდ კითხვებს ვსვამთ...***

— მეც ვპასუხობ მათ, ვისაც კითხვები გაუჩნდა, დღეს საზოგადოება მუშაობს „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და თუ ცოცხები დაუბრუნდება ამ საზოგადოებას, ეტყობა, ღირსიც იქნება.

***— რამე საშიშროებას ხედავთ?***

— საშიშროებას ვერ ვხედავ, მაგრამ ვხედავ დაუდევრობას საკუთარი პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ. ადვილად მივდივართ დესტაბილიზაციაზე, რაც დღეს „ნაციონალებს“ აწყობთ. დღეს მღვრიე წყალი „ნაციონალებს“ აწყობთ. დღეს „ნაციონალებს“ დასავლეთის მხარდაჭერა უნდათ იმ მოტივით, რომ თითქოს რუსეთი ივანიშვილის სახით ებრძვის სააკაშვილს. ამ თამაშს თამაშობს „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩვენ ამ თამაშში მათ დიდი მონდომებით ვუწყობთ ხელს. მაშინ, როდესაც ვიცი, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ განწყობილი. საზოგადოება დაუფიქრებლად მუშაობს მათ სახეიროდ, როდესაც სურვილი ერთი აქვს და მის საპირისპიროდ მოქმედებს ადამიანი, ის ადამიანი შესაცოდია.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება, მეტი განმარტებები გაკეთდეს, მეტი ნათელი გზავნილები იყოს?***

— საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია, რადგან ეს ხომ საზოგადოებას ეხება, მისთვის კეთდება. ინფორმაციის მიწოდება თუ პიარტექნოლოგიაში გადავიდა, მაშინ სააკაშვილისეულ რეალობას მივიღებთ, როდესაც რეალური ინფორმაცია გაქრა. თუ საკმარისი ინფორმაცია არ გაეცი და ვერ ამუშავდა ეს მანქანა, მაშინ შევარდნაძისეულ რეალობას მივიღებთ, რომელიც ინფორმაციის ფასს ვერ გრძნობდა. თუ შევხედავთ, დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ამ სტილისკენ უფრო იხრება. ითქვა კიდეც, პიარს არ ვაპირებთო. ეს არასწორი პოლიტიკაა. სპეციალური სტრუქტურა შეიქმნა, რომელსაც კარგი სპეციალისტი ხელმძღვანელობს (ვაკო გორგილაძე), მაგრამ სტრუქტურა არაფერს შველის. პოლიტიკურმა ფიგურებმა უნდა იგრძნონ და თავიანთ თავზე აიღონ ინფორმაციულ პროცესში ჩართვა. სააკაშვილის ხელისუფლებაში ამის სპეცსტრუქტურა არც იყო, მაგრამ ამას სააკაშვილი გრძნობდა კარგად. პოლიტიკოსებმა უნდა იგრძნონ ამის აუცილებლობა. დადებით ფაქტორზე მინდა ვთქვა, დადებითია უცხოეთთან ურთიერთობის დარეგულირება, საელჩოებში ცვლილებები მოხდა, ძველი ელჩების წასვლას ვგულისხმობ. ეს მათ შორის პრეზიდენტის დახმარებითაც მოხდა, რაც რომ არ დავუფასოთ, არ შეიძლება. უნდა ვთქვა, რომ დუნედ მუშაობს პროკურატურა. სრულიად გაუგებარია ჟურნალისტური გამოძიება, როდესაც იძლევა ძალიან მკვეთრ ფაქტებს, რატომ არ ჰპოვებს ასახვას პროკურატურის საქმიანობაში. არანაირი სიმკვეთრე არ აქვს იმ ფაქტებს, რომლითაც პროკურატურა დღეს ოპერირებს. სავარაუდოდ პროკურატურაში არის ხალხი, რომელიც ბლოკირებას ცდილობს.

***— გარკვეული საქმეების?***

— საერთოდ სამართლის ძიების. თუ ადრე გარკვეულმა პირებმა ცოდვები ჩაიდინეს, ცხადია, არ ენდომებათ, რომ სამართლის ძიებამ მათ კარზეც დააკაკუნოს. კადრების თვალსაზრისით ეს უკმაყოფილება იგრძნობა. ასევე ექსპერტების გარკვეულ ჯგუფებში ითქვა, რომ ხელისუფლება ძალიან მალე ჩაიკეტა, რადგან არაერთგზის მოთხოვნილ ინფორმაციაზე, თუ რას აპირებენ, რას აკეთებენ, პასუხი არ არის. ეს უნდა გამოსწორდეს.

# მიხეილ სააკაშვილი: „პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს“



დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტის სახით, არ შემიძლია არ შევნიშნო: რუსეთის ღიად მოძულე შევარდნაძე ხელისუფლებაში სწორედ რუსმა ძალოვანებმა მოიყვანეს და ათი წლის განმავლობაში კაპიკებში აძლევდნენ ნავთობს, ბუნებრივ აირს და სხვა რესურსებს. ქურდებს ყველგან მივწვდებით, ვერსად წაგვივლენ. ახლახანს მივიღეთ კანონი „დაუსაბუთებელი ქონების შესახებ“ და საქართველოს პროკურატურაში საქმეები სახლებზე, საბანკო ანგარიშებზე და ფეშენებელურ ავტომობილებზე უკვე აღძრულია. ჩინოვნიკებს, რომლებიც ვერ დაასაბუთებენ ქონების წარმოშობას, არა მარტო ფულის გადახდას აიძულებენ, არამედ მათ ჩამოერთმევათ ავტომობილები და სახლები, რომლებსაც ბავშვთა სახლებს და სხვა სოციალურ ინსტიტუტებს გადავცემთ. აი, ასეთი კანონი მივიღეთ! იგი საშუალებას მოგვცემს, რომ ქურდები თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონების გარეშე დავტოვოთ.

***— მაგარია! ახლა, ბ-ნო პრეზიდენტო, თუ ნებას მომცემთ, მასშტაბი ცოტათი გავზარდოთ. აი, თქვენ, რუსეთის მსგავსად, ომი გამოუცხადეთ კორუფციას და სეპარატიზმს. აქაც — ომი? აფხაზეთთან, აჭარასთან?***

— არც მთლად მასეა. აფხაზეთთან გავმართავთ მოლაპარაკებებს და მივაღწევთ კონსენსუსს. რაც შეეხება აჭარას, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობის 90%-მა მომცა ხმა და, სადაც პრაქტიკულად მოვიგეთ საპარლამენტო არჩევნები... აჭარაში ყველაფერი გაძარცვულია, მთელი სანაპირო მიწები ჩინოვნიკებს აქვთ შესყიდული... ხალხი გმინავს, ყველა იმ ფეოდალური აზროვნების წინააღმდეგია, რომელიც ასლან აბაშიძემ დაამკვიდრა. ხომ გესმით — აჭარის ციხეებში სხედან პოლიტპატიმრები, მაგრამ ამის გამო უნდა დაჯარიმდეს საქართველო. პასუხი აგონ პირადად შევარდნაძემ და აბაშიძემ და არა საქართველომ. და კიდევ, ბუნებრივია, რომ ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ მილიონობით დოლარი ამ ადამიანის ჯიბეებში ილექება — 120 მილიონი დოლარი მხოლოდ ბათუმის პორტში ქრება.

***— და რამდენად შორს აპირებთ სეპარატიზმ-ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შესვლას?***

— ჩვენ არ ვართ განწყობილი, რომ ეს პრობლემის ძალოვანი გზით მოგვარდეს. ვითმენ... უბრალოდ, ვემუდარები აბაშიძეს: საზღვარი და საბაჟოს კონტროლი, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, ფედერალურ ხელისუფლებას გადაეცი... ვცდილობ, მოთმინებით აღვიჭურვო, თუმცა ყველანაირ მოთმინებას აქვს ბოლო. ხომ გახსოვთ, რა თქვა ჟან-ჟაკ რუსომ: „მხოლოდ ძლიერი სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების თავისუფლებას“

***— ე.ი. რაღაც ხარისხით ეთანხმებით იმას, რომ სოციალური სამართლიანობისთვის და ქვეყნის გადასარჩენად, ადამიანის უფლებების შეზღუდვაც შეიძლება.***

— არავითარ შემთხვევაში! მე თვითონ ადამიანის უფლებების სპეციალისტი ვარ და ყოველივე ამას თვალყურს ვადევნებ. საბედნიეროდ, ჩვენთან ასე არ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ძველი საპოლიციო აპარატი გვაქვს. აღნიშნული აპარატი სრულად დაემორჩილა ჩვენს მოთხოვნას, რომ ადამიანის უფლებები ყველანაირად იყოს დაცული. ბუნებრივია, ჩვენ მის რეფორმირებას ვაპირებთ. იქნება წინააღმდეგობა და მოგვიწევს მისი გადალახვა.

***— მოდით, კიდევ გავზარდოთ ფორმატი, ბ-ნო პრეზიდენტო.***

— რომელი მიმართულებით?

***— რუსეთის მიმართულებით. შეიძლება? რამდენადაც ვიცი, ამ ორი თვის წინ ძალიან რთული შეხვედრა გქონდათ პუტინთან და ზუსტად ორი კვირის შემდეგ განაცხადეთ, რომ პუტინი სიტყვის კაცია. მოკლედ, თქვენ გჯერათ პუტინის?***

— ძალიან რთული შეხვედრა იყო — ოთხი საათი გაგრძელდა. თავიდან ვიფიქრე, რომ არაფერი გამოვიდოდა — ვერ ვიპოვიდი მასთან საერთო ენას. თუმცა, ვაიძულე საკუთარი თავი, გადაწყობილიყავი და უმალ მივხვდი, რაშიც იყო საქმე!

***— რაში?***

— მე მივხვდი, რომ შევარდნაძე ყოველთვის ატყუებდა პუტინს და ამიტომ არის პუტინი ასეთი ეჭვიანი! ხომ გესმით? პუტინს არ შეეძლო შევარდნაძესთან საერთო ენის გამონახვა, რადგან შევარდნაძე არავისთან მიმართებაში არასოდეს არაფერს არ ასრულებდა! როგორც კი პუტინს შეფასებებში დავეთანხმე, ურთიერთობა მაშინვე დათბა. და მე დავინახე, რომ პუტინი სიტუაციას ხედავს გაცილებით ფართოდ, ვიდრე მისი გარემოცვა. და მე ვენდე.

***— აი ისიც — პუტინის მომხიბვლელობა, მსახიობის ოსტატობა!***

— არა. მე რომანტიკოსი ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, რაღაც მინახავს და ვიცი — პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს. სწორედ ასეა. მე ვენდე მას და არ შევმცდარვარ. მან ყველაფერი შეასრულა, რასაც დამპირდა... ამიტომ, ახლა რუსეთში თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვაგან. პუტინი, თავისი აზროვნების სტილით, გაცილებით თანამედროვე და პრაგმატულია, ვიდრე დასავლელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა. მას კარგად ესმის, რომ საქართველოსთან მიმართებაში საქმის ძველებურად წარმართვა აღარ შეიძლება, ანუ საკითხის ასე დასმა — აირჩიეთ ან რუსეთი და ანაც დასავლეთი — საერთოდ არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ საკითხის ასე დასმის შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყანა გიპასუხებთ რას?..

***— რა თქმა უნდა — დასავლეთი. ვგულისხმობ — ამერიკას.***

— სამწუხაროდ, ასეა. მაგრამ, ვიმეორებ, მე მჯერა პუტინის. მან აღმითქვა, რომ მალე გაამარტივებს სავიზო რეჟიმს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ნორმალურად განვითარდება.

***— სამხედროები? დაუჭერთ თუ არა მხარს კოლინ პაუელის იდეას — „უკანასკნელმა რუსმა ჯარისკაცმა უნდა დატოვოს საქართველო“.***

— ეს მაშინ იყო, როცა რუსეთის სამხედრო ბაზები აბაშიძის კლანს ეხმარებოდნენ, მაგრამ პუტინთან ჩემი საუბრის შემდეგ ეს დახმარება მაშინვე შეწყდა! და ახლა მტკიცედ ვართ დარწმუნებულები, რომ საქართველოში დარჩენილი რუსული სამხედრო ბაზები საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დაუჭერენ მხარს, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაიცავენ ნეიტრალიტეტს. პუტინმა მხარი დაუჭირა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის“ კონცეფციას, რითაც აიძულა აჭარის ლიდერი, ეწარმოებინა საქართველოსთან უფრო კონსტრუქციული დიალოგი.

# დავით კუპრეიშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს!“

თამარ ნინიძე



**კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი დავით კუპრეიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო წყობის ყველაზე მისაღები მოდელი საპარლამენტო რესპუბლიკაა, ხოლო რუსეთში პატრიარქის ვიზიტს დადებითად აფასებს. „ახალი თაობა“ დავით კუპრეიშვილს ესაუბრა.**

*— როგორ შეაფასებთ პატრიარქის ვიზიტს მოსკოვში და მის შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან?*

— ეს გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი. ჩვენი მეგობრები დასავლეთიდან სააკაშვილსაც ურჩევდნენ და ახალ ხელისუფლებასაც, რომ დაგველაგებინა ურთიერთობები რუსეთთან. რასაკვირველია, არავინ გვეუბნებოდა, რომ ეს გაგვეკეთებინა ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე, მაგრამ მოგვიწოდებდნენ, როგორც თანასწორი პარტნიორი თანასწორ პარტნიორთან, ისე დაგვერეგულირებინა ეს ურთიერთობები. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ვერ შეძლო ვერც შევარდნაძის ხელისუფლებამ, რომელშიც სააკაშვილი და მისი თანაგუნდელებიც იყვნენ და ვერც სააკაშვილმა. მისმა წინდაუხედავმა პოლიტიკამ საერთოდ მიგვიყვანა იქამდე, რომ იყო ომი და ამის შედეგად რუსეთმა მოახდინა ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და ცნო აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა. პატრიარქისგან ეს არ ყოფილა პირველი ნაბიჯი. მან ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ ურთიერთობების გასაღრმავებლად, 2008 წლის ომის დროს უდიდესი იყო ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის როლი ქართველი მეომრების გადმოსვენების საქმეში. სააკაშვილმა ჩვენი დაღუპული მეომრები ბედის ანაბარა მიატოვა ცხინვალში, სააკაშვილი ამ დროს ტაშფანდურით იყო გართული. ეს ვიზიტი დასაბამს მისცემს და გააღრმავებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს. ისევ და და ისევ სახალხო დიპლომატიით უნდა დავიწყოთ ეს კონტაქტები, შემდეგ ეკონომიკური კავშირების აღდგენით გავაგრძელოთ. სააკაშვილი ლანძღავს რუსეთს და ამ დროს მთელი ეკონომიკური ბერკეტები მას ჩაუგდო ხელში. ამიტომ ვამბობ, რომ პატრიარქის ვიზიტი განუზომელი მნიშვნელობისაა. ეს იქნება საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა. დარწმუნებული ვარ, ამას მოჰყვება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და დიპლომატიური კონტაქტების დამყარება.

*— ამავე კონტექსტში უნდა გკითხოთ დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე ივანიშვილის მონაწილეობის შესახებ და იქ შემდგარ შეხვედრებზე რუსეთის ბიზნესწრეებთან, მაშინ როცა სააკაშვილმა განგაში ატეხა, საქართველოს საგარეო ვექტორი ჩრდილოეთისკენ იცვლებაო. როგორ ფიქრობთ, არის განგაშის ატეხის საბაბი?*

— არა, რა თქმა უნდა, ნაცმოძრაობამ მონური მორჩილებით გადასცა საქართველოს მთავარი ენერგოობიექტები რუსეთის სახელმწიფოს. რაოესი რუსეთის სახელმწიფო კომპანიაა, მის ხელშია საქართველოს ენერგეტიკული ბერკეტები, ჰიდროელექტროსადგურები და ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემები. ენგურჰესთან დაკავშირებით გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილმა როგორ დაუმალა საკუთარ ხალხს ის ხელშეკრულება, რომელიც რაოესს დაუდო. დავოსში რუს ბიზნესმენებთან ბატონ ივანიშვილის შეხვედრას რაც შეეხება, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი ბიზნესი ვითარდებოდეს და ქვეყანაში უნდა შემოდიოდეს, მნიშვნელობა არა აქვს, ეს ჩრდილოეთიდან შემოვა თუ აღმოსავლეთიდან. ოღონდ ამას არ უნდა მოჰყვებოდეს უცხო ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები. თავისუფალი კაპიტალი ეკონომიკას განავითარებს. ჩვენ დავინახეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ამერიკელი და დასავლეთევროპელი მსხვილი ბიზნესმენები ინვესტიციებს არ ახორციელებდნენ. მართალი თქვა ივანიშვილმა, საქართველო მეცხრე ადგილზეა ბიზნესის დაწყების სიმარტივით, მაგრამ ყველას ახსოვს, როგორ ჰყავდა სააკაშვილის ხელისუფლებას ბიზნესმენები დაწიოკებული. სააკაშვილი მსოფლიოს ატყუებდა და, ამავე დროს, ატყუებდა საქართველოს მოსახლეობასაც, რომ ქვეყანა ბიზნესის კეთებით მეცხრე ადგილზეა.

*— ივანიშვილმა ალასანია ვიცე-პრემიერის პოსტიდან მოხსნა. საინფორმაციო საშუალებები მასსა და ივანიშვილს შორის განხეთქილებაზე იუწყებიან. როგორია თქვენი აზრი ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე?*

— ერთმა ჩემმა მეგობარმა თავდაცვის სამინისტროში დაიწყო მუშაობა და მაჩვენა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან ამოღებული ბალიში, რომელზეც თავს დებენ ჩვენი ჯარისკაცები, შემზარა ამის ნახვამ, უსახლკაროებიც კი უკეთეს ბალიშზე დებენ თავს. სიცრუეზე იყო აგებული სააკაშვილის პიარი, ვითომ ჩვენს ჯარისკაცებს შესანიშნავი პირობები აქვთ, ჯარის მომარაგება კი ვითომ უმაღლეს დონეზეა. ბატონ ირაკლი ალასანიას უდიდესი მუშაობა მოუწევს, რომ ჩვენს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდეთ. ვიცე-პრემიერი ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა, თანაც ალასანია იყო პირველი ვიცე-პრემიერი, ანუ როცა პრემიერი ქვეყანაში არ იმყოფებოდა, მას უნდა შეესრულებინა მისი მოვალეობა. ეს იქნებოდა დიდი ტვირთი ალასანიასთვის. დარწმუნებული ვარ, ბატონი ირაკლი გაათმაგებული ენერგიით მიხედავს ჯარს, რომელსაც მართლა სჭირდება მიხედვა.

ბატონმა ბიძინამ აღნიშნა, რომ კოალიცია გადაწყვეტს, ვინ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი. ასევე თავისი პირადი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „ახალაიას წინააღმდეგ საშინელი ჩვენებებია მიცემული“

შორენა კოწოწაშვილი

**შეიცვალა თუ არა ხელისუფლებამ საგარეო კურსი და არის თუ არა ივანიშვილის გუნდი გამოკვეთილად პრორუსული, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.**

*— ბატონო გელა, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მოღვაწეობის სამთვიან პერიოდს? ფაქტია, რაც უფრო იწურება ცნობილი 100-დღიანი ვადა, მით მატულობს კრიტიკა იმავე სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკის კუთხით.*

— კრიტიკა რომ მატულობს, ეს ცუდი არ არის, ეს ჯანსაღი პროცესია. მთავარია, კრიტიკა არ იყოს მხოლოდ კრიტიკისათვის და იყოს საქმისთვის. ასე რომ, ამ კუთხით მეც, რა თქმა უნდა, მაქვს გარკვეული შენიშვნები. პირველ რიგში, ეს შენიშვნები მიმართულია იქითკენ, რომ არ მიდის ისეთი ტემპით და ისეთი სიღრმით, ანუ დროსა და სივრცეში, როგორც ეს სასურველი იქნებოდა. მე ვგულისხმობ სამართლიანობის აღდგენას. კერძოდ, ძალიან ბევრი არის ისეთი საქმე, რომლის მტკიცებულებებიც პირდაპირ ზედაპირზე დევს. ძალიან ხშირად მეორეხარისხოვანია, რაღაც სამხილებს ვისმენთ ხოლმე და ამით საბაბი ეძლევათ იმ ადამიანებს, ვინც არიან ჩასაფრებული, ვისაც ხშირად რაღაც გამოჭერის მომენტი ჰქონდათ. ესეც არ არის ცუდი, პრინციპში, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ადამიანები არა საქმისთვის, არამედ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის აკრიტიკებენ ახალ ხელისუფლებას. მე მხედველობაში მაქვს იმავე ბაჩო ახალაიას — ამ ოდიოზური ფიგურის წინააღმდეგ მტკიცებულებები, რომელიც მარტო მე რაც ვიცი, საკმაოდ ბევრია და თან ისეთი საშინელი ჩვენებებია მიცემული, რომ მე არ ვიცი, რატომ აქვს ახალაიას მხოლოდ ის ბრალდება, რომელიც, ამას წინათ ვუსმენდი თეა თუთბერიძეს და, თუ მართლა ისეა, რომ ასეთი უსუსური მტკიცებულებებით აქვს მას წაყენებული ბრალდება, მაშინ ნამდვილად ღირსია ეს ხელისუფლება, რომ სწორედ თეა თუთბერიძემ და მისნაირებმა ასეთი კრიტიკა დაიწყონ. მე ბაჩო ახალაიას საქმეს არ ვიცნობ, მაგრამ სამაგიეროდ ვიცნობ იმ ჩვენებებს, რომელსაც ბაჩო ახალაიას და ასეთი ოდიოზური ფიგურების წინააღმდეგ აძლევენ პატიმრები. მეორე შენიშვნა არის ის, რომ ვეჭვობ, ძალიან ბევრი პროკურორი, რომელიც გასვრილია ამ საქმეების შეკერვაში, უსამართლობის დამკვიდრებაში და პატიმრების იძულებაში სხვადასხვა ფორმით, მოწმეებზე თუ პატიმრებზე ზეწოლაში, დღესაც თავიანთ თანამდებობებზე არიან, ზოგი, პირიქით, დაწინაურდა კიდეც. მთლიანობაში 80%-ზე მეტი არიან ძალოვანი სტრუქტურებიდან შერჩენილები და სწორედ მათი ინტერესია, ალბათ, რომ სიღრმისეულად არ იქნეს გამოძიებული ყველაფერი და სხვა ადამიანებამდე არ მივიდეს კვალი. საკუთარ დანაშაულს ისინი გრძნობენ და რაც შეიძლება ზედაპირულად ალბათ ამიტომ იძიებენ საქმეებს. და მესამე, რაც შენიშვნა შეიძლება მქონდეს — პიარი. პიარის თვალსაზრისით აშკარად აგებს დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის ხელისუფლებასთან. მე მინდა ვთქვა, რომ ამ კუთხით მაქვს შენიშვნები. თუნდაც პარლამენტში მჯდომი პოლიტიკოსები რომ შევადაროთ, 80% ძველი ხელისუფლების უფრო გამოცდილი, უფრო მოქნილი და უფრო აგრესიულია, უფრო დამაჯერებელი ხშირ შემთხვევაში, ხოლო ახალი ხელისუფლებიდან მხოლოდ 20%-ია ასეთი. ასე რომ, რაოდენობის თვალსაზრისით, ვინც ჰყავს პარლამენტში ნაცმოძრაობას, აშკარად ძლიერი პოლიტიკოსები ჰყავს დამაჯერებლობის თვალსაზრისით. ,,ქართულ ოცნებას“ კი ასეთი ძალიან ცოტა ჰყავს.

*— ბოლო პერიოდში არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ ივანიშვილის გუნდის მხრიდან პრორუსულმა ნაბიჯებმა იმატა. თქვენ როგორ შეაფასებდით საგარეო კურსის ორიენტირებს?*

— მე ამას პრორუსულ კურსს არ დავარქმევდი. მე დავარქმევდი დაბალანსების პოლიტიკას, დაბალანსების კურსს, რაზეც წინასაარჩევნო პერიოდში ივანიშვილი და მისი გუნდი ამაზე საუბრობდა. ისინი ამბობდნენ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, ოღონდ არა ეროვნული ინტერესების ხარჯზე. პიროვნულ ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და სააკაშვილთან რუსეთის მხრიდან დალაპარაკება რომ საერთოდ გამორიცხული იყო, დღეს ამ კუთხით ეს ჯებირი აღარ არსებობს. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს რაღაც პრორუსული კურსი გამოიკვეთა, მე ამას ასე არ ვხედავ. ახლა გამოჩნდა ძალა, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ მე ვარ პრორუსული ძალა და მე უნდა ვიყო საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ერთ-ერთი კომპონენტი. ამას ამბობს ვალერი ხაბურძანია, საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრი, რომელიც აპირებს ე.წ. პრორუსული ძალების კონსოლიდაციას. ვფიქრობ, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანები რუსეთში ფარულად დადიოდნენ და იატაკქვეშეთში აწარმოებდნენ თავიანთ პოლიტიკას, უმჯობესია, ღიად არსებობდეს პრორუსული ძალა. მათ აქვთ არსებობის უფლება დემოკრატიულ ქვეყნებში, თუ ეს ძალა არ არის დანაშაულებრივი ძალა. ამ ძალების მარგინალიზაცია შეიძლება მოხდეს, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ ზედაპირზე, როგორც, ვთქვათ, პროამერიკული ძალები. ასეთად ითვლება ნაცმოძრაობა, თუმცა, არ ვიცი, რატომ. ისინი მხოლოდ სიტყვით ამბობენ, რომ არიან პროამერიკული და საქმით კი იმ დემოკრატიული ღირებულებების წინააღმდეგი არიან, რასაც ამერიკა ქადაგებს. და მესამე ძალაა ევროპული ძალა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის გუნდს მივაკუთვნებდი, თუმცა ეს გუნდიც ჭრელია. ალბათ, კიდევ ერთი ძალა ჩამოყალიბდება, რომელიც თავის თავს უწოდებს პროქართულს. ძალიან ძნელია, არც იქით გადაიხარო, არც აქეთ. ჩემთვის მთავარია, ქვეყანაში იყოს რეალურად დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და არა ის, ხელისუფლება პროამერიკული იქნება თუ პრორუსული.

*— რას ნიშნავს ვალერი ხაბურძანიას განცხადება? მას აქვს ამბიცია, რომ პოლიტიკური ლიდერია თუ ის სააკაშვილის ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იქნება? ფაქტია, შევარდნაძის უშიშროების მინისტრმა სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში თანამდებობაზე იმუშავა.*

— ახლა არის მომენტი, როდესაც ახალი ძალა აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს. წეღან რომ პროქართული ძალა ვახსენე, მხედველობაში მქონდა დავით თარხან-მოურავის, ირმა ინაშვილისა და სოსო მანჯავიძის მიერ შექმნილი პარტია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა. იქით ხაბურძანია გამოჩნდა, აქეთ — შალვა ნათელაშვილი. ეს ბუნებრივია და რატომ: ცხადია, თანდათანობით ბიძინა ივანიშვილის მომხრეებს შორის გარკვეული სკეფსისი დაისადგურებს, გარკვეული იმედგაცრუება, იმიტომ რომ ყოველთვის ასეა, გამარჯვებულ პარტიას მომხრეები თანდათან კი არ ემატება, პირიქით, აკლდება. ივანიშვილსაც მოაკლდება. ის ხალხი, რომელიც ივანიშვილს გამოაკლდება, არ წავა სააკაშვილის მხარეს. ეს იქნებოდა იმავე გერმანიაში ფაშისტური ძალების აღორძინება. რა პიარიც არ უნდა გააკეთონ ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა აღორძინების მიმართულებით, არაფერი გამოუვათ, რადგან ეს იქნება ქართული ფაშიზმის აღორძინება. ამიტომ ივანიშვილისგან იმედგაცრუებული ელექტორატი არ წავა სააკაშვილისკენ. ის წავა სხვა მიმართულებით. ამას გრძნობენ პოლიტიკოსები, იგივე ხაბურძანია იქნება თუ ნათელაშვილი. ალბათ, თუ ხაბურძანია აშკარად პრორუსული ძალა იქნება, მასზე პრორუსული პოლიტიკური წრეები გავლენას მოახდენენ. მთავარია, კანონის ჩარჩოები არ გადალახოს. სხვა მხრივ პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება მას აქვს.

*— ბატონო გელა, რითი ახსნიდით ირაკლი ალასანიას ვიცეპრემიერობიდან გათავისუფლებას? ოფიციალური ვერსიის პარალელურად, ითქვა, რომ ხელისუფლების საგარეო კურსის ცვლილებამაც შეიძლება განაპირობა მისი ამ თანამდებობიდან გათავისუფლება.*

— ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვფიქრობ, ორივე მხარე მართალია — ივანიშვილიც და ალასანიაც. ალასანიას, როგორც პოლიტიკოსს, შეიძლება ჰქონდეს ამბიცია და უნდა ჰქონდეს კიდეც, რომ იყოს პრეზიდენტი და ეს არ არის დანაშაული. მეორე მხრივ, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც შექმნა კოალიცია ,,ქართული ოცნება“ და რომელმაც, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად მოახერხა ქართული ფაშიზმის დამარცხება, მას აქვს ბუნებრივი ამბიცია, რომ იყოს ყველაფრის კურსში. არავინ გადადგას მის გარეშე ისეთი ნაბიჯი, რომელიც ერთიანობას და იმიჯს შეარყევს. შეუძლებელია, ალასანია ისეთი უგუნური ადამიანი იყოს, რომ ფიქრობდეს, თანაპარტიელებთან გამოსულიყო და ემსჯელა ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე და ეს ივანიშვილს არ გაეგო. ჯობდა, თავად წინასწარ ეთქვა ივანიშვილისთვის, რადგან ეს გაფუჭებული ტელეფონის მსგავსად არ ყოფილიყო და არასწორად არ მიეტანათ ენა ივანიშვილთან. ვფიქრობ, ამით დიდი ტრაგედია არ მომხდარა არც ერთი მხარისთვის. ივანიშვილმა დაანახვა არა მხოლოდ ალასანიას, არამედ მთელ საზოგადოებას, რომ მას შეუძლია, როცა საჭიროა, მუშტი დაარტყას მაგიდას და სწორი და საქმისთვის საჭირო გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღოს. ეს არ არის ცუდი თვისება.




*— დაბოლოს, ვისაუბროთ პრეცედენტზე, რომელსაც პრეზიდენტის გუნდი სერიოზულად აპიარებს. ხელისუფლებამ დააპატიმრა ცეზარ ჩოჩელი და გაათავისუფლა ჩახალიანი, რომელიც, პრეზიდენტის მტკიცებით, საკმაოდ სერიოზული დამნაშავეა.*

— როდესაც ვამბობ, რომ ნაცმოძრაობა ძალიან ძლიერია, ამასაც ვგულისხმობ. ძალიან კარგად ჟღერს: დაიჭირეს პატრიოტი ჩოჩელი და გაათავისუფლეს საქართველოს მტერი ჩახალიანი. თუ ის არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტერი და ქართულ კანონმდებლობას არღვევს, მაშინ ის გასამართლებულ უნდა იქნეს შესაბამისი მუხლით და არა ,,შეკერილი“ ბრალდებით. ყოველ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურად მიუღებელი ადამიანია, სხვა ბრალდებით არ უნდა იყოს გასამართლებული. ჩახალიანს სხვა მუხლით რომ ჰქონოდა სასჯელი შეფარდებული, ამნისტია არ შეეხებოდა. ვინაიდან არასამთავრობოებმა ამ ადამიანის საქმე არ იცოდნენ, მისი გვარი ამოიღეს პოლიტპატიმრების სიიდან. მაგრამ ამნისტიიდან ვერ ამოიღებდნენ, რადგან ამნისტია კონკრეტულ მუხლებს ეხება და არა პიროვნებებს. მას ვერავინ ეტყოდა, რომ რადგან მასთან დაკავშირებით რაღაც ინფორმაცია არსებობდა, ამნისტიას ვერ შეახებდნენ. რაც შეეხება ცეზარ ჩოჩელს, მე ვაკვირდები და ვხედავ, რომ ზედმეტ სიფრთხილესაც იჩენენ სამართალდამცავები. პროკურატურა ცდილობს, არ წაუყენოს ბრალი იმ ნაწილში, რისი დამტკიცებაც არ შეუძლია. პიარსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კუთხით. იგივე ვანო მერაბიშვილი როცა გამოდის ამ ბოლო პერიოდში, საკმაოდ მოქნილ პოლიტიკოსად წარმოჩნდება. იგივე მერაბიშვილის ფრაზა რომ ავიღოთ, ჩოჩელი ყველა დაჭრილი პოლიციელის ოჯახს პატრონობდა და ყველა დევნილს ეხმარებოდა. ეს ძალიან კარგად ჟღერს და გულისამაჩუყებელია, მაგრამ ეს არის ბლეფი. შეუძლებელია, რომ ყველას ეხმარებოდა, თუმცა პიარის თვალსაზრისით ეს განცხადება კარგად მუშაობს. ამაში მოიკოჭლებს ახალი ხელისუფლება და ვფიქრობ, უნდა აიღოს მაგალითი სააკაშვილის გუნდისგან — სწორ პიარზე აგებული პოლიტიკა უნდა განახორციელოს.

2013, 28 იანვარი, №22

# „იმპიჩმენტში ცუდი არაფერია“

## გაგვაგებინონ, რა სტატუსით მართავს სააკაშვილი ქვეყანას

გულიკო ბალაძე



საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ბატონი ოთარ ზენიძე აცხადებს, რომ იურისპრუდენციაში 35-წლიანი გამოცდილება არ ეყო იმისათვის, რომ გაეაზრებინა, რა სტატუსი გააჩნია მიხეილ სააკაშვილს 20 იანვრის შემდეგ.

ოთარ ზენიძე განმარტავს, რომ ამაზე არგუმენტირებული განმარტება შეუძლია მოგვცეს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელსაც, წესით, უნდა მიმართოს პარლამენტის წევრთა ჯგუფმა.

რატომ იკავებს თავს პარლამენტი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვისაგან, არ ვიცი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, თავს იკავებენ, სააკაშვილის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურები აამოქმედონ. საზოგადოებაში ვრცელდება აზრი, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების ზეწოლას განიცდიან.

თუმცა, ფაქტია, რომ დღეს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი უჭირავს პირს – მიხეილ სააკაშვილს, რომლის კონსტიტუციით ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილების 5-წლიანი ვადა 20 იანვარს გავიდა და მისი ყოფნა ამ უაღრესად მაღალ პოსტზე დაუშვებელია. საინტერესოა, რატომ წაუყრუა ამას „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს? ხალხს ეს ნამდვილად არ ესმის და ეგონა, 20 იანვრის შემდეგ სააკაშვილს ამ პოსტზე ველარ ნახავდა, მისი არაადეკვატური ბრალდებების მოსმენა აღარ მოუწევდა, მაგრამ 20 იანვარიც გავიდა და 25 იანვარიც, მაგრამ არაფერი იცვლება.

სააკაშვილს სინდისი არ კარნახობს, რომ თავისით გაიაზროს და წავიდეს პოსტიდან, ხოლო პარლამენტი ჯერჯერობით ამ საკითხში თავისი უფლებამოსილების გამოყენებას და მოვალეობის შესრულებას არ ჩქარობს.

ოთარ ზენიძის განცხადებით, როდესაც არსებობს სამართლებრივი პრობლემა, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, გაასწოროს ის წინააღმდეგობა, რაც კონსტიტუციაშია. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თვითონ ინიციატივის გამოჩენის უფლება არ აქვს. ამიტომაა საჭირო პარლამენტის წევრთა სარჩელის შეტანა.

***– ბატონო ოთარ, მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა 20 იანვარს გაუვიდა, მაგრამ ის ისევ პოსტზე რჩება. ამიტომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით „ერთსულოვნებამ“ საქართველოში მილიონზე მეტი ხმა მოაგროვა. ხელმოწერები ისევ გრძელდება. მათ ასევე მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებისთვის. თქვენ, როგორც პროფესიონალი კონსტიტუციონალისტი და (საკონსტიტუციო სასამართლოს) ყოფილი მოსამართლე, რას იტყვით, რა განმარტება შეიძლება მოგვცეს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხზე?***

– მოსახლეობის ხელმოწერებს უფრო მორალური დატვირთვა გააჩნია და სამართლებრივად, რა თქმა უნდა, შედეგი არ მოაქვს.

***– თუმცა, ხომ შეიძლება, გაითვალისწინოს ხალხის აზრი და ნება?***

– რა თქმა უნდა. ასე ხდება იქ, სადაც ნორმალური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. პიროვნებას გააჩნია. რა თქმა უნდა, ხალხი ირჩევს, ხალხის წარმომადგენელი ხარ შენ და ამიტომ ხალხის აზრი პირველ რიგშია გასათვალისწინებელი, მაგრამ სამართლებრივად ეს შედეგს არ გამოიღებს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოზე განმარტებისთვის მიმართვას – (შეიძლება, რაღაც ახალი გადაწყვეტილებაა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე და მე არ ვიცი), პარლამენტის წევრებს აქვთ უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ამაზე მე მქონდა საუბარი და საწინააღმდეგო აზრიც მოვისმინე. კონსტიტუციაში არის ორი მუხლი. ერთი, სადაც წერია, რომ პრეზიდენტს ირჩევს ხალხი ხუთი წლის ვადით და მეორე – არჩევნები უნდა ჩატარდეს ოქტომბერში. ჩემი 35-წლიანი გამოცდილება იურისპრუდენციაში არ მეყო იმისათვის, რომ გამეაზრებინა 20 იანვრის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე ეს პიროვნება. არავითარი გართულება პიროვნებების მიმართ და არც მათი პოლიტიკის მიმართ (რასაც არასწორად ადარებენ) არ მაქვს, მაგრამ, რა სტატუსი აქვს დღეისთვის ბატონ მიხეილ სააკაშვილს, მინდა მოვისმინო, მაგრამ არგუმენტირებული მოსაზრება ვერავისგან მოვისმინე.

***– უპირველესად ყოვლისა, ამის თაობაზე არგუმენტირებული მოსაზრება ვინ უნდა მისცეს საზოგადოებას?***

– მიმაჩნია, რომ არგუმენტირებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა სტატუსი აქვს დღეს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მოგვცეს. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ამ შემთხვევაში გააჩნიათ პარლამენტის წევრებს და მათ უნდა მიმართონ. მე მზად ვარ კონსულტაციისთვის. აღნიშნული ჩანაწერი კონსტიტუციაში ჩემი საკონსტიტუციო სასამართლოდან წასვლის შემდეგ გაჩნდა. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში 21-ე პრიმა მუხლში წერია: მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი პრობლემა (ეს იქნება კონსტიტუციის მუხლებს შორის წინააღმდეგობა თუ ნორმატიულ აქტებს შორის), საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. მეორე – ვისაც აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის გამოცდილება, იცის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის კვაზი სასამართლო. ეს არ არის საერთო სასამართლო. ის ჩარჩოებშია მოქცეული. მას გააჩნია თვითშებოჭვის პრინციპი, მაგრამ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხია გადასაწყვეტი, საჭიროა შესაბამისი მოქმედება. ჩვენც გვქონია ასეთი პრაქტიკული მაგალითი, როდესაც სახელმწიფო, ანუ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე საკითხი, იყო გადასაწყვეტი. არ შეიძლება, გამიჯნო სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესები. სახელმწიფოს ინტერესია ის, რაც ხალხის ინტერესია. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლება, გადალახოს თვითშებოჭვის პრინციპი. მაშინ, როდესაც პრობლემა ეხება სახელმწიფო ინტერესებს, საკონსტიტუციო სასამართლომ თვითშებოჭვის პრინციპი უნდა გადალახოს და მიიღოს განსახილველად თუნდაც ისეთი საკითხი, რომელიც მის კომპეტენციაში არ შედის. ამ შემთხვევაში ეს არის მის ორ მუხლს შორის არსებული შეუსაბამობა. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ თვითშებოჭვის პრინციპი (რომელიც გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოებს) უნდა გადალახოს და ეს საქმე მიიღოს განსახილველად, იმიტომ რომ ამ მუხლებს (რომელიც ეხება პრეზიდენტის არჩევას 5 წლის ვადით, რომელიც ამ შემთხვევაში 20 იანვარს გავიდა და მეორე – რომ არჩევნები ტარდება ამ წლის ოქტომბერში) შორის არსებული შეუსაბამობით საკმაოდ დიდი სამართლებრივი წინააღმდეგობა გაჩნდა ქვეყანაში.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის გარეშეც შეუძლია განიხილოს ეს საკითხი?***

– ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თვითინიციატივის უფლება არ გააჩნია. მას აუცილებლად პარლამენტის წევრებმა (ვისაც ეს საკითხი აწუხებთ და აინტერესებთ) უნდა მიმართონ კონსტიტუციური სარჩელით და სასამართლომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

***– მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლო, გარკვეული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, ვადებში შეზღუდული არ არის. ამ შემთხვევაში როგორ იქნება? იმ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც, ვთქვათ, არ არის კონსტიტუციაში არსებული წინააღმდეგობის გასწორების მომხრე, ხომ შეუძლია, ამ საკითხის განხილვა გადადოს დიდი ხნით?***

– არავითარ შემთხვევაში ასე არ მოხდება მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს პარლამენტის წევრთა ჯგუფი. პრობლება, რომლისთვისაც მიმართავენ, ყოველთვის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეა და საკმაოდ რთულ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ ისინი ვალდებული არიან, სარჩელი დაჩქარებული წესით განიხილონ.

***– ზოგი წაუყრუებს ამ პრობლემას, ზოგი აღშფოთებულია, რომ სააკაშვილს კონსტიტუციით განსაზღვრული 5-წლიანი ვადა გაუვიდა, მაგრამ მაინც პრეზიდენტის თანამდებობას იკავებს. თუმცა, ფაქტია, რომ 20 იანვარს 5-წლიანი ვადა გავიდა. რაგინდ კარგი პრეზიდენტიც არ უნდა იყოს და როგორადაც არ უნდა მისტიროდეს ხალხი მის პრეზიდენტობას, შეიძლება, ქვეყანას ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელსაც ვადა გაუვიდა და ამ პოსტზე მაინც რჩებოდეს?***

– ასეთი პრეცედენტის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ ძალადობისა და კარვის გაშლის პოლიტიკაზე.

***– კანონგარეთ მოქმედების პოლიტიკაზე?***

– დიახ. აზრის გამოთქმის უფლება საქართველოში ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნია, მაგრამ ასეთი მეთოდები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ, სხვა ეტაპზე უნდა გადავიდეთ, სამართლებრივად ვიბრძოლოთ. კონსტიტუციაში ნათლად წერია, რომ ხელისუფლების წყაროა ხალხი. ეს პიროვნება ხალხმა, ჩვენ, ავირჩიეთ 5 წლით. 5-წლიანი ვადა დამთავრდა 20 იანვარს. საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა 1996 წელს. ის ვალდებულია, განიხილოს ეს საკითხი. კეთილი ინებონ და განიხილონ. მზად ვარ, თუ საჭირო იქნება (არ აქვს მნიშვნელობა, ეს პარლამენტი იქნება თუ სხვა), რაღაც კონსულტაციები გავუწიო.

***– ბატონო ოთარ, აპელირებენ კონსტიტუციის იმ მუხლით, რომ პრეზიდენტს უფლებამოსილება უწყდება შემდეგი პრეზიდენტის ინაუგურაციის მომენტისთვის. ეს როგორ შეიძლება გავიგოთ?***

– არა, არა. ვინ აპელირებს ამით?

***– სააკაშვილის პრეზიდენტობით დაინტერესებული პირებისაგან, ოპონენტებისაგან, ზოგიერთი რესპონდენტისაგან მომისმენია.***

– ეს არის ზოგადი განმარტება და უსაფუძვლოდ არგუმენტირებული პასუხი. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ კონსტიტუციის გარკვეულ მუხლებს შორის არის წინააღმდეგობა. არჩევნების ოქტომბერში ჩატარებასთან დაკავშირებით ჩანაწერი შეგნებულად რომ გაკეთდა, ეს ჩემში ეჭვს არ იწვევს. ამიტომ ეს წინააღმდეგობა სასწრაფოდ გამოსასწორებელია. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ პრეცედენტი, რომ პირს საპრეზიდენტო ვადა გაუვიდეს, მაგრამ მაინც რჩებოდეს პოსტზე. ვისაც საწინააღმდეგო რაიმე არგუმენტი გააჩნია, ამიხსნას, რა სტატუსი გააჩნია 20 იანვრის შემდეგ იმ პიროვნებას (მიხეილ სააკაშვილს), რომელიც მე ავირჩიე 5 წლით.

***– ამის ახსნა რომ არ სურთ, ეს აბნევს საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ პარლამენტს სააკაშვილის იმპიჩმენტიც შეუძლია მოახდინოს, იქიდან გამომდინარე, რომ მას ვადა გაუვიდა.***

– იმპიჩმენტის საკითხზეც მქონდა საუბარი. საკმაოდ ბევრი დრო დავკარგეთ. იმპიჩმენტი ცოტა რთული პროცედურაა, მაგრამ საფუძველი იმისა, რომ ეს პროცედურა წამოწყებულიყო, იყო და არის. რატომ მიიჩნევენ, რომ ვილაცას საერთაშორისო თანამეგობრობაში, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს არ მოსწონთ იმპიჩმენტი. იმპიჩმენტი სამართლებრივი კატეგორიაა. ამიტომ თვითონ სიტყვას არავითარი სხვა, ცუდი დატვირთვა არ აქვს.

***– ჩვენთან იმპიჩმენტს აღიქვამენ, როგორც გაგდებას.***

– იმპიჩმენტი სამართლებრივი კატეგორიაა და ამაში ცუდი არაფერია.

***– თუკი მოხდა ისე, რომ პარლამენტმა მიმართა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, ანუ ისევ დატოვა სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტზე, მაშინ? ამის ალბათობა ხომ არსებობს?***

– რა თქმა უნდა, ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ უარყოფითი გადაწყვეტილება არგუმენტირებულად უნდა ჩამოყალიბდეს როგორც სარჩელში, ისე მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლო ამის განხილვას დაიწყებს. ალბათ, კონსულტაცია იქნება საჭირო სარჩელის შედგენის დროს, სანამ სარჩელს შეიტანენ და მაშინაც, როდესაც არსებით განხილვამდე გამწესრიგებელი სხდომა გაიმართება. პარლამენტმა სათანადო არგუმენტები უნდა წარუდგინოს.

## დღეს ნალექიანი ამინდია მოსალოდნელი

დღეს დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობის მატება არის მოსალოდნელი. ღამით უმეტეს, დღისით კი ზოგიერთ რაიონში იწვიმებს, ღამით მთაში მოთოვს.

როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა დაბლობში ღამით +4,+9; დღისით +10,+15 მთაში ღამით -1 გრადუსი ყინვა, +4; დღისით +5, +10 სითბო; მაღალ მთაში ღამით -7,-2 გრადუსი ყინვა; დღისით +1,+6 გრადუსი სითბო არის მოსალოდნელი. 28 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს, ღამით ზოგიერთ რაიონში იწვიმებს, მთაში მოთოვს. დღისით უმეტესად უნალექო ამინდი არის მოსალოდნელი.

იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრ/წამი სიჩქარით. ჰაერის ტემპერატურა ბარში ღამით +2,+7; დღისით +10,+15 გრადუსი სითბო; მთაში ღამით -3 გრადუსი ყინვა,+2 გრადუსი სითბო; დღისით +4,+9 გრადუსი სითბო; მაღალ მთაში ღამით -6,-1 გრადუსი ყინვა; დღისით 0,+5 გრადუსი სითბო იქნება.

რაც შეეხება თბილისს, აქ დროგამოშვებით ღრუბლიანობა მოიმატებს. ღამით შესაძლებელია მცირე წვიმა, დღისით უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. იქროლებს ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მეტრი წამში. ჰაერის ტემპერატურა ღამით +3, დღისით +14 გრადუსი სითბო იქნება.

მედიანიუსი

## დავით კუპრეიშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკაში არ უნდა დაბრუნდეს!“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

აზრი გამოთქვა ვახტანგ ხმალაძეზე, რომ ის კარგი კანდიდატი იქნებოდა ამ პოსტზე, თუმცა ეს, მისივე თქმით, მისი სუბიექტური აზრია და საბოლოო გადაწყვეტილება კოალიციის შიგნით იქნება მიღებული. ჩემთვის უცნობია, ამ თემაზე რა საუბარი იყო „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში, მაგრამ, სავარაუდოდ, მათ იჩქარეს, როცა ამ საკითხის შესახებ დაიწყეს საუბარი. ვფიქრობ, რომ არაუადრეს ივნისისა ამ კანდიდატურაზე საუბარი და წარდგენა არ უნდა იყოს.

***– თქვენ ქვეყნის მოწყობის მოდელებიდან საპრეზიდენტოს უჭერთ მხარს თუ საპარლამენტოს?***

– ჩემთვის საპარლამენტო მოდელი უფრო მისაღებია. პრეზიდენტს ექნება მხოლოდ კრიზისის დროს დამაბალანსებელი ფუნქცია ხელისუფლებაში. პარლამენტის მიერ არჩეულ პრეზიდენტს სუსტ პრეზიდენტს უწოდებენ. ამ მოდელისთვის ჯერ კიდევ 1992-1995 წლების პარლამენტში ვიბრძოდი, როცა მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი ვიყავი. მაშინ ამას ვერ მივაღწიეთ. სამი პრეზიდენტის ხელში იყო ქვეყანა, შევარდნაძე 1992 წელს არჩეული იყო, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე. მეორე დღესვე დაირქვა სახელწოდება პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური. ასეთი იყო ეს აბსურდული თანამდებობა. მან დაიქვემდებარა მთელი აღმასრულებელი სტრუქტურა. სააკაშვილმაც უზარმაზარ ძალაუფლებას მოუყარა თავი. ბოროტად გამოიყენა ეს ძალაუფლება. პოლიტიკური ცხოვრება რომ განვითარდეს სახელმწიფოში, ერთადერთი გამოსავალი საპარლამენტო რესპუბლიკაა, ვინაიდან კოალიცია „ქართული ოცნების „წევრი ვარ, გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება მიღებული, ვცემ პატივს. ჩემი აზრით, კოალიციიდან ერთი კანდიდატი უნდა იყოს წარმოდგენილი საპრეზიდენტო პოსტზე.

***– ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია არ მოუკლავთ, არადა, ადრე ჯერ კიდევ პატარკაციშვილის სიცოცხლეში მისი ტელევიზიის ეთერით მან ინგა გრიგოლიასთან თოქშოუში განაცხადა, რომ ჟვანია იმ ბინაში არ მომკვდარა და ის უკვე მკვდარი იქ მიიტანეს. რატომ შეცვალა მან ეს პოზიცია? როგორია თქვენი დამოკიდებულება ასეთი მერყევი პოზიციის მქონე ადამიანის პოლიტიკაში დაბრუნებაზე?***

– მისი პოლიტიკაში დაბრუნების საკითხს მე ვუყურებ ძალიან უარყოფითად. პოლიტიკოსისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა წარსული აქვს მას. მან პოლიტიკაში ყოფნის დროს იმდენი რამ გააფუჭა, რომ მას, არა მგონია, მორალური უფლება ჰქონდეს პოლიტიკაში ყოფნის, თუმცა მას ამის სურვილს ვერავინ აუკრძალავს. მიმაჩნია, რომ მაღალი თანამდებობის დაკავების სურვილის ქონის უფლება მას არ უნდა ჰქონდეს მორალური თვალსაზრისით. მისი შს მინისტრობის დროს დაიღუპა ბუტა რობაქიძე. მაშინ ირაკლი ოქრუაშვილი ცდილობდა, დაეცვა თავისი თანამშრომლები დასჯისგან. ეს ვიცი სოსო რობაქიძისგან. კარგად მახსოვს, როგორ გადავიდა ოპოზიციაში ოქრუაშვილი და მან სწორედ ასე მკაფიოდ განაცხადა, ჟვანიას ცხედარი იმ ბინაში მიასვენესო. მაშინ ეს განცხადება მისთვის მომგებიანი იყო, უსამართლობასთან მებრძოლის იმიჯი შეიქმნა ამით. მას სჭირდებოდა, რომ ჟვანიას მკვლელობა დაებრალებინა სააკაშვილისთვის. ასეთი ცვლილება პოზიციებისა პოლიტიკოსს კარგ იმიჯს ვერ შეუქმნის.

## აფთიაქისა და მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე ორი არასრულწლოვანი დააკავეს

აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს

დეტექტივებმა, აფთიაქისა და მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე, ორი არასრულწლოვანი დააკავეს. შსს-ს ცნობით, ქობულეთში, 26 იანვარს, დილის 4 საათზე, აღმაშენებლის ქუჩაზე, 1995 წელს დაბადებულმა ვახტანგ თ.-მ და 1996 წელს დაბადებულმა თორნიკე მ.-მ აფთიაქის კარი დააზიანეს და შიგნით ფარულად შეაღწიეს, სადაც მათ სხვადასხვა დასახელების პროდუქცია მიითვისეს. ამის შემდეგ, დამნაშავეებმა რუსთაველის ქუჩაზე მაღაზიის შემინული კარი დააზიანეს, საიდანაც რამდენიმე დასახელების კვების პროდუქტი და სალაროდან 30-მდე ლარი მიიტაცეს. მაღაზიიდან გამოსვლისას, ორივე პირი სამართალდამცველებმა ადგილზე დააკავეს.

ჩხრეკისას დამნაშავეებს მოპარული პროდუქტები და ნივთები ზურგჩანთებში აღმოაჩნდათ. გაირკვა, რომ თორნიკე მ. წარსულში ყაჩაღობისთვისაა ნასამართლევი.

გამოძიებას სსკ-ს 177-ე მუხლის (ქურდობა) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ქობულეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილება აწარმოებს.

მედიანიუსი

## ცეზარ ჩოჩელმა პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ 200 ათასი ლარი გადაიხადა

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ის პატიმრობიდან 200-ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.



,,არ ვცნობ თავს დამნაშავედ და მზად ვარ გამოძიებასთან ვითანამშრომლო,"-განაცხადა პატიმრობიდან გათავისუფლებულმა ჩოჩელმა.

გუშინწინ თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩოჩელის საქმის განხილვა სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. რის შემდეგაც მას 200 ათას ლარიანი გირაოს გადახდა შეეფარდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის ბრალდებით მცხეთა – მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი 24 იანვარს დააკავეს.

**მედიანიუსი**

## შსს–მ თბილისში ქურდობის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამ-




ძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული დიმიტრი დ. დააკავეს.

დაკავებული, 2012 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსიდან ცენტრალური გათბობის ქვაბებს ეტაპობრივად იპარავდა.

საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის (ქურდობა) მეორე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით აღიძრა, რაც 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

# რა პრეტენზიები აქვს ქვეყნის მთავარ ანტიკორუფციონერს საქართველოს პროკურატურასთან?

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

„ახალ თაობასთან" საუბრისას საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარე პაატა შავაძე ცალკეულ პროკურორებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ამხელს და მათი სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხს სრული კატეგორიულობით აყენებს.

***– ბატონო პაატა, თქვენი ინიციატივით რამოდენიმე დღის წინ ბათუმში ბრიფინგი გაიმართა, სადაც უამრავი მოქალაქე გყავდათ მოწვეული. ბოლო დროს პროკურატურის ორგანოები საქართველოს ანტიკორუფციული პალატის თავმჯდომარის მუდმივი სამიზნე ხდება, რაშია საქმე?***

– ბრიფინგი 22 იანვარს ბათუმში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" გვქონდა, სწორედ იმ დღეს დავგეგმეთ სამომავლო ღონისძიებები. შეგისწორებდით, ჩემი სამიზნე არამარტო საქართველოს პროკურატურა, არამედ სახელმწიფო ყველა ორგანოა. ყველგან შევალთ, ყველა საკითხის საქმის კურსში ჩავდგებით თუ ვინ , სად და რა დამსახურებით ინიშნება ან ვისი ზარით ინარჩუნებს წარსულის „დამკვრელურ" პოზიციებს. შემდგომ კი საზოგადოებას ვამცნობთ ამის შესახებ და ყველაფერს ვილონებთ რათა გავათავისუფლოთ საჯარო სამსახურები მათგან.

გეთანხმებით, რომ ჩემს ბრიფინგზე მართლაც უამრავი ადამიანი იყო მოსული. მე ისინი მართლა არ მომიწვევია. სოციალურ ქსელში დაანონსდა ღონისძიება და ვერ წარმოიდგენთ, როგორი იყო საზოგადოების რეაქცია. დარბაზში მსხდომები ადვოკატები და პროკურორთა მხრიდან გამწარებული ადამიანები თუ მათი ოჯახების წევრები იყვნენ. თუმცა ეს გახლდათ ზღვაში წვეთი, იმასთან შედარებით, რასაც შემდგომ ღონისძიებებზე მოველით.

მე დავპირდი საზოგადოებას, რომ ავთანდილ კილაძე და არა მარტო ის, აუცილებლად წავლენ პროკურატურიდან და ეს აუცილებლად ასე და ძალიან მალე მოხდება.

ჩვენი მღელვარების უმთავრესი მიზეზი აჭარის პროკურატურის სისტემაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები გახდა.

ქართველი ხალხი სწორედ იმისათვის მოვესწარით 2012 წლის 1 ოქტომბერს, რომ სამართალდამცავი სისტემა გათავისუფლებულიყო „ჯალათებისაგან" და ხალხს სული მოეთქვა. სამართლიანობა დამკვიდრებულიყო და სიმართლის მტკიცებას აზრი მისცემოდა. მოხდა პირიქით, აჭარის ა/რ პროკურატურის ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული განყოფილება, როგორიცაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონულ-ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილება, ზურაბ ადეიშვილის თანაჯგუფელს, ძმაკაცსა და წარსული ხელისუფლების ბათუმის რაიონულ პროკურორს, ვინმე ავთანდილ კილაძეს ჩააბარეს. ეს არის ადამიანი, რომლისთცვისაც არაფერი არსებობს იმაზე მეტად საძაგელი, რასაც სამართლიანობა, კანონიერება და ობიექტურობა ჰქვია. მისი თაოსნობით აჭარის პროკურატურაში კვლავ დაინერგა „ბერია-ადეიშვილისეული პრინციპი(„დამნაშვე ხარ? –კი, ბატონო! -საპროცესო! უდანაშაულო ხარ? მით უფრო უკეთესი-ვის სჭირდება შენი სიმართლე თუ კაცი ხარ-მაინც საპროცესო!) წავიდა „დედ ხასანი და მოვიდა დედ ავთანდილი" ცა ქუდად აღარ მიაჩნია მას და დედამიწა ქალამნდად. ჰგონია, რომ აჭარის პროკურატურა მისია და ვილაცამ აჩუქა, ხოლო განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობაც მას როგორც ყოვლად ულირს ადამიანს წილად ერგო, სულმნათი ბაბუის დანაშთ სამკვიდრო ქონებად აქვს წარმოდგენილი. ერთი შემთხვევა მაინც შემახსენოს მოქალაქე კილაძემ, რომელიმე საქმისათვის სიმართლის მძებნელი თვალით შეეხედოს და ეკლესიაში, მთელი საზოგადოების წინაშე მუხლმოდრეკით მოვუხდი ბოდიშს!

საიდან სადაო? იკითხავთ ალბათ, არც თუ ძნელად და არც თუ იოლად მოხვდა „დედ ავთანდილი" აჭარის პროკურატურაში, მის ასეთ მოსვლას მე პირადად „მეორედ მოსვლას" დავარქმევდი, ყველამ კარგად იცის, თუ რისთვის მოხდა მისი გათავისუფლება ბათუმის რაიონული პროკურორის პოსტიდან, თვალს პირადად მე ვერასდროს ამიხვევს იგი.

მოქალაქე ავთანდილ კილაძე, დიახ, ბათუმის რაიონული პროკურატურიდან „გაშვებული", ადეიშვილმა იგი აჭარის გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსად გადანიშნა, ავტომანქანა ჯიპი და რაიონული პროკურორის არც თუ პატარა ხელფასი თავისი „დამსახურებული" პრემიებით თუ ათასგვარი სარგებლებით თან გადააყოლა. ერთ ხანს იქ აფარებდა თავს „ყოფილი ნაცმოძი". ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, „ნაცმოხდილი" მოქალაქე კილაძე უცებ „გამოკეთილშობილდა", „იერი იცვალა" და ძალიან მარტივად „გაოცნებდა" ხომ „ხედავთ ბატონებო, ნაცებმა არც მე დამინდეს იმ უბადრუკ დროს და საწყალი სადღაც ერთ კუნჭულში, გარემოს დაცვაში გადამიყვანესო".. ჰოდა უცებ გაჩნდა რეკომენდატორი პარლამენტარი, რომლის ვინაობის გამხელისაგანაც დღეს მე თავს შევიკავებ, თუმცა ამ თავშეკავებასაც ექნება საზღვარი და აღარც მას დავუთმობ...ის ადამიანი ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანია, ჩემი კოლეგაა, ჩემი მეგობარია და მისგან, რომელსაც საკუთარ მშობელ მამაზე აქვს განცდილი უსამართლობის სიმწარე, მოქალაქე კილაძისათვის კვლავ გაპროკურორებაზე რეკომენდაციის მიცემა ერთობ გამიკვირდა. სხვა რომ არაფერი, საზოგადოებაში მაინც მოეკითხა ამ კაცის „ავან-ჩავანი".

***– რა დააშავა ასეთი ავთანდილ კილაძემ?***

– მინდა საზოგადოებას ვაუწყო, რომ ავთანდილ კილაძე არის სიმბოლო უსუსურობის, არაკაცობის, არაადამიანურობის, უსამართლობის, არაობიექტურობისა და სიმართლისადმი ზურგშექცევისა. მის კისერზეა უამრავი გაუბედურებული ადამიანის ცოდვა, უამრავი უკანონო ბრალდება. გადახედონ მისი რაიონული პროკურორობის პერიოდში ნაწარმოებ სისხლის სამართლის საქმეებს და ყველაფერი თვალნათლივი იქნება. ერთი კაცი მაინც მიჩვენონ ქალაქში მის მუშაობას დადებითად რომ აფასებდეს და იმ წამსვე გავჩუმდები...მე და არა მარტო მე, მას პროკურატატურის განყოფილების უფროსად აღარ მოვისაზრებთ და ის უკვე ჩვენთვის მხოლოდ მოქალაქე ავთანდილ კილაძეა. მოქალაქე კილაძეს ხალხმა ყველაფრისდა მიუხედავად მისცა შანსი ჩამდგარიყო მხოლოდ და მხოლოდ კანონიერებისა და სამართლიანობის სამსახურში, თუმცა ამ დიადი ფასეულობებისადმი სამსახურს მან მაინც სატანის მსახურობა არჩია.



ახლა უკვე ძალიან დაძაბულია სიტუაცია. ავთანდილ კილაძეს, ბულბულ მჟავანაძეს, მიქაილ ქობულაძეს, ვლადიმერ თურმანიძეს, ლაშა კლდიაშვილს, გიორგი ხარძეიშვილს, გიორგი დავითაშვილს, ზაზა მეტონიძეს და კიდევ ზოგიერთებს, დრო მივეცით 10 თებერვლამდე, თავისით მიიღონ გადაწყვეტილება და წავიდნენ სახლებში. თუკი ეს ასე არ მოხდება, ჩვენ მათ 10 თებერვალსვე სირცხვილის კორიდორს მოვუწყობთ „ლაყე კვერცხების ფეიერვერკით" და იმას ვკადრებთ საჯაროდ, რასაც იმსახურებენ. 10 თებერვალს ბათუმში, იუსტიციის სახლის წინ იგეგმება სანქციონირებული გრანდიოზული აქცია და „ქუდზე კაცი" გამოვალთ! კანონის ფარგლებს არცერთ შემთხვევაში არ გავსცდებით, რა თქმა უნდა. გაბედავენ კიდევაც და საზოგადოებრივ აზრს წინ აღუდგებიან! მოთხოვნა ძალაშია და ეს მოქალაქე კილაძისა და „ნაცმოძრაობის ეპოქის" პროკურორების უპირობო გადადგომაა. არ დავიშლებით მანამ, სანამ ჩვენი კანონიერი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

***– კილაძის გარდა სხვების გადადგომასაც ითხოვთ? რას აპირებთ სამომავლოდ?***

– დავითაშვილი, გოგილაშვილი და სხვები, მართალია, აჭარაში აღარ „მოღვაწეობენ" თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს? უსამართლობა და უსინდისობა აჭარაში თუ თბილისში, განა არ არის საერთო სატკივარი? ეს პროკურორები ადეიშვილის „ფანდურს" აჭარაში „ჩამოკრავენ" თუ თბილისში განა აქვს რაიმე განსხვავება?

არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევთ არაფერზე, ჩემს უკან დგას ათაიათასობით ადამიანი, კილაძემ ძალიან კარგად უნდა იცოდეს ჩემი შესაძლებლობები და თუ დაავიწყდა, თებერვლის თვის დასაწყისში შევახსენებ! გარდა ამისა „კარდაკარის" პრინციპით ჩვენი წარმომადგენლები აგროვებენ ხელმოწერებს, მათი ოდენობა მალე ათი ათასს გადააჭარბებს და პირადად ჩამოვუტან თბილისში საქართველოს პრემიერმინისტრსაც და მთავარ პროკურორსაც. ვფიქრობთ, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საკითხი არსებითად მნიშვნელოვანია დღევანდელი ხელისუფლების პირობებში და ამის იმედი მაქვს. თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ მე და ჩემი თანამებრძოლები, ყველანი ერთად ჩავალთ თბილისში და სახელმწიფო კანცელარიის წინ უვადო მშრალ შიმშილობას გამოვაცხადებთ, პირადად პირსაც გავიკერავ, დაე, შეიწიროს ჩემი სიცოცხლე სამართლიანობისათვის ბრძოლამ! იქნებ ამან მაინც გამოაფხიზლოს ერი და ცოტათი მაინც ჩაუფიქრდნენ რას აკეთებენ, საით მიგვაქანებენ და ვის, სად და რატომ, რა დამსახურებებით ნიშნავენ.

ხელთა მაქვს აჭარის ა/რ პროკურატურის, ხელვაჩაურისა თუ ბათუმის რაიონული პროკურატურების ცალკეულ პროკურორთა თუ გამომძიებელთა მიერ საქართველოს ანტიკორუფციულ პალატაში გადმოგზავნილი წერილები ჩვენივე მიმართვების პასუხად, არავის ვურჩევთ მათ წაკითხვას, თითოეული მათგანი მეტყველებს იმაზე, რომ მათმა დიდმა ნაწილმა, ელემენტარული, მიმართვის ტექსტის მომზადებაც კი არ იცის, საიდანმოვიდნენ ასეთი „განათლებული" კადრები?

საქართველოს მთავარ პროკურატურაშიც შემოგვრჩა სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ირაკლი ჩილინგარაშვილი. ეს სწორედ ის ირაკლი ჩილინგარაშვილია, რომელიც მურთაზ ზოდელავას ხელმძღვანელობის პერიოდში „ფარითა და მახვილით" ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან საჯარო ინფორმაციის გაცემას. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არსებობს და ნებისმიერ დროს შემიძლია გავასაჯაროო. ამაზრზენზე ამაზრზენია აჭარის ა/რ ყოფილი პროკურორის, მოქალაქე გოჩა ფარულავას „აღდგომაც" „მთავარ პროკურატურასა შინა." საქართველოს ანტიკორუფციული პალატის კანცელარია ვეღარ იტევს მის და არა მარტო მის წინააალმდეგ შემოსულ მოქალაქეთა საჩივრებს, თუმცა რეაგირება რატომღაც არ ხდება. საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ ინარჩუნებს „დამკვრელურ" პოზიციებს გაურკვეველი მოტივაციით აჭარის პროკურატურიდან „დაწინაურებული" „ფინანსური პოლიციის საქმეების მთავარი მკერავი" პროკურორი დიმიტრი ფაღავა. ვფიქრობ, დიდი სიამაყით არც ქალბატონ ქეთევან ჩომახაშვილს ემუშავება მთავარი პროკურატურის აპარატში.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი კანონიერი მოთხოვნები აუცილებლად დაკმაყოფილდება, პრემიერ-მინისტრი დიდსულოვანი და გონიერი ადამიანია და საზოგადოებრივი აზრის უგულვებელყოფის უფლებას აღარავის მისცემს. სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციები და რჩევები ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანიაო,– აცხადებდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მე მჯერა მისი!.

ხელისუფლების შეცვლას სხვებთან ერთად, რა თქმა უნდა, მეც შევნატროდი, ეს ნატვრა და ყოველი ჭეშმარიტი ქართველის ოცნება ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის 1 ოქტომბერს მართლაც აგვისრულა, თუმცა რა, უსამართლობის სიმბოლოებით კვლავ დატვირთულია ჩვენი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები, პირადად არასოდეს მიოცნებია იმაზე რომ „ნაცმოძი" მოქალაქე კილაძე კვლავ პროკურატურისაკენ მოებრუნებინათ, ხოლო გაადვოკატებულ ყოფილ პროკურორს, ბულბულ მჟავანაძეს ,რომელიც პროკურორად მუშაობის პერიოდში, ლამის ხელებში ახტებოდა მოსამართლეებს და გადაწყვეტილების გამოტანას არ აცდიდა, კვლავ პროკურორის ამპლუაში „ეგალობა", ამათ ჰგონიათ ისევ ძველი დრო და სწორედ ესენი იქნებიან ქვეყანას საბოლოოდ რომ გადაჩეხენ უფსკრულში.

***– ბატონო პაატა, როგორია ამ მიმართებით აჭარის ა/რ პროკურატურის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება და თუ გქონდათ საუბარი პირველ პირთან ამ საკითხებზე?***

– რა თქმა უნდა, მქონდა და თან არაერთხელ, ლევან გზირიშვილიც და მისი მოადგილეც, ირაკლი იმერლიშვილიც, ორივენი არიან საქმის კურსში. ხელმძღვანელობის რანგში მათი მოსვლის დღიდან ვაპროტესტებთ აჭარის პროკურატურის სისტემაში ულირსი კადრების დანიშვნასა თუ უკვე დანიშნულების შემდგომში ყოფნას, თუმცა ამაოდ. გავაპროტესტეთ და აჭარის პროკურატურის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლეს პროკურორი ზვიად ფხაკაძე, ის ქალაქ თბილისის პროკურატურაში გადაიყვანეს სამუშაოდ. მოქალაქე ავთანდილ კილაძე კი მის ადგილას მოავლინეს. სენსაციური გადაწყვეტილება მიიღეს ბათუმის რაიონულ პროკურატურაშიც: ქალაქ თბილისის პროკურატურაში გადაიყვანეს სამუშაოდ რაიონული პროკურორის ყოფილი მოადგილე „სამართლიანი" სიმონ გოგილაშვილი, ხოლო მის ადგილას დააწინაურეს „პროკურორი" ზაზა მეტონიძე, რომლის სისტემიდან დათხოვნასაც და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასაც მოვითხოვდით.

რა არის ეს, თუ არა დაცინვა და საზოგადოების მასხარად აგდება? რატომ არ ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს? რატომ „გვაფურთხებენ" სულში? ვის რაში სჭირდება უსამართლო ადამიანებისა და „ჯალათების" გაპროკურორება? ასეთი პროკურორები მათ თუ სჭირდებათ ჰყავდეთ, შექმნან მათი კერძო ოფისები და დაისვან და ამუშავონ. საზოგადოების დაცინვის უფლებას კი ველარავის მივცემთ! წლების განმავლობაში ეს ადამიანები ეწეოდნენ ადვოკატთა კორპუსის დაშინებას, დაკნინებას, დაჭერას, მათი დიდი ნაწილი აქციეს კურიერებად და ამბების მიმტან-მომტანებად დაცვის ქვეშ მყოფებსა და მათ ოჯახებს შორის, სწორედ მათ დააკარგინეს სამართლებრივი შინაარსი და დატვირთვა ადვოკატის პროფესიას! სწორედ მათი ძალისხმევით და მეცადინეობით იხდის დღეს სასჯელს უამრავი კეთილსინდისიერი ადვოკატი და ამაში ვიცი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეც დამეთანხმება.

ესენი, რაც შეიძლება, მალე უნდა აძაღლდნენ სისტემიდან და ხალხის ტანჯვა და საზოგადოებისათვის „თვალში ნაცრის შეყრა" ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს! ერთხელ და სამუდამოდ ყველამ ერთად, გაბედულად და პრინციპულად უნდა ვუთხრათ „საპროცესო მანიას" არა! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გველირსოს ის დღეც, რომ პროკურატურა გვეგულებოდეს თითოეულ მოქალაქეს უწყებად, სადაც იქნება რეალური საშუალება გაირკვეს სიმართლე და აღარ დაისაჯნონ უდანაშაულო ადამიანები, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს აღარ შესთავაზონ საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ქვეყანა ვაქციოთ მართლაც სამართლიანობის ოაზისად. ამის გაკეთება შეიძლება ნამდვილად, თუმცა მხოლოდ ამ პროკურორების სახლებში და შემდგომ ციხეებში მიბრძანების შემდეგ.

***– აჭარაში, ისე ჩანს, კარგი პროკურორი აღარ დარჩა?!***

– პირველი ვიყავი, რომელმაც ტელეეთერების საშუალებით პირდაპირ განვაცხადე რომ არასდროს ჰყოლია აჭარას ისეთი კარგი პროკურორი, როგორც ამჟამად ლევან გზირიშვილის სახით ჰყავს-მეთქი. ეს იმიტომ ვთქვი, რომ ბევრი დადებითი დავინახე ამ ადამიანში, ადამიანებთან კომუნიკაცია, ჟურნალისტთა კორპუსთან ურთიერთობა, მუშაობის გამჭვირვალეობა... მიმაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოს ასეთი პროკურორები სჭირდებიან. თუმცა მას შემდეგ, რაც ავთანდილ კილაძისა და მისი „საძმოს" აჭარის პროკურატურაში ყოფნა-არყოფნის საკითხი დავსვი, ბატონ ლევანს, ჩემდა გასაკვირად, ეს არ ესიამოვნა და მითხრა-„მიუხედავად იმისა, პირადად ჩემს მუშაობას არ აპროტესტებ, მე ამ პროტესტს ჩემს თავზე ვღებულობ, რადგან აჭარის პროკურატურა მე ვარო", „მტკიცებულებები მოგვიტანეთ და სუყველას დავითხოვთო". ბატონო ლევან, მერწმუნეთ, არ არსებობს იმაზე დიდი მტკიცებულება, რასაც ხალხის ნება ჰქვია... მე მინდა ვუთხრა და ვურჩიო ბატონ ლევან გზირიშვილს, რომ ის აჭარის პროკურატურა არ არის და არც არასდროს იქნება, ის არის ლევან გზირიშვილი, რომელიც დანიშნულია ავტონომიის პროკურორად და ვალდებულია თვალყური ადევნოს სამართლიანობის პრინციპების დაცვას პროკურატურის თითეული მუშაკის მხრიდან. შენიშვნებს კი მეტად გონივრულად შეხვდეს და ადექვატურად გაანალიზოს ისინი. რაც შეეხება პროტესტს, ეს არის თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლება და მისი ხელყოფაა თვითონ დანაშაული.

# კოტე მარჯანიშვილი ქართული კულტურის ოქროს ფონდის ღირსეული ვარსკვლავია

ეკა ირემაშვილი

30 იანვრიდან გამომცემლობა „გუმბათი“ იწყებს ახალ პროექტს, რომლის სახელწოდებაა „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“. უნიკალური გამოცემის პირველი ტომი კოტე მარჯანიშვილს ეძღვნება. მასში წარმოდგენილია რეჟისორის მემუარები და ცხოვრების უცნობი დეტალები, რომლებიც გამომცემლობას საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა მიაწოდა.

წიგნი ჟურნალ „სარკესთან“ ერთად გაიყიდება.

საჭიროა თუ არა მსგავსი გამოცემა დღევანდელი საზოგადოებისთვის და რამდენად აქტუალურია დღეს კოტე მარჯანიშვილის პიროვნება, ამ თემაზე „ახალ თაობას“ ქართული კულტურის წარმომადგენლები ესაუბრნენ.




**გოგი დოლიძე, კინომცოდნე:**

– მსგავსი წიგნების გამოშვების საჭიროება დღეისათვის ნამდვილად არის. კოტე მარჯანიშვილი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა ქართული კულტურაში როგორც კინოსამყაროში, ასევე თეატრალურ სამყაროში, ამიტომ წიგნი მასზე ყველა ოჯახში უნდა იყოს. ჩემ მიერ აღდგენილია მისი ფილმები, ჩანაწერები, სტატიები, წერილები. „კრაზანა“ და „ამოკი“ აღვადგინე სრულიად განსხვავებულად, ზუსტად ისე, როგორც მარჯანიშვილს ჰქონდა. მისი ფილმები იმდენად დაამახინჯეს, რომ მარჯანიშვილი იძულებული შეიქნა ეთქვა, ეს აღარ არის ჩემი ფილმებიო. მიჭრეს-მოჭრეს და რადიკალურად სხვა ფილმი მიიღეს. მისი „ამოკი“ ისტორიაში შესულია, როგორც „ზაკონ ი დოლგ“ ანუ კანონი და მოვალეობა. მე გადავაკეთე და დავუბრუნე ისეთი სახე, როგორც აქვს ცვაიგს და თვითონ მარჯანიშვილს, ზუსტად ისეთი სახით აღვადგინე ეს ფილმი. ამ ნოველაში ძალიან ბევრი პრობლემაა, ცვაიგის ნოველა ავიღე, მარჯანიშვილის სცენარიც მქონდა და მას მივყევი. საბჭოთა კინოს ისტორიაში „ამოკს“ ვერ ნახავთ, არის მხოლოდ



„ზაკონ ი დოლგ“. ფილმს ასე იმიტომ დაარქვა, რომ ეს ამ ნოველის მთავარი კვანძია. ცვაიგის ნაწარმოებში კანონით იყო თეთრკანიანის და შავკანიანის სიყვარული აკრძალული, სამაგიეროდ, ის ვალდებული იყო როგორც ექიმი, ამ ქალს დახმარებოდა. მან მაინც გაუკეთა აბორტი, მისი გადარჩენა უნდოდა, მაგრამ შემოაკვდა და ამაში მთელი ფილოსოფიაა. ფილმი გავაკეთე ზუსტად ისე, როგორც მარჯანიშვილს ჩანაფიქრში ჰქონდა. კოტე მარჯანიშვილის პიროვნება ორმხრივ არის საინტერესო, როგორც კინორეჟისორის და როგორც თეატრის რეჟისორის, მაგრამ მას ძალიან საინტერესო კინომოღვაწეობა ჰქონდა და ის დიდი კულტურა თეატრში და მსახიობებთან მუშაობა სწორედ მან შემოიტანა. მარჯანიშვილი და წუწუნავა რომ არ ყოფილიყვნენ, რა მიმართულებით წავიდოდა ქართული კინო, კაცმა არ იცის. ასე რომ, ამ წიგნის გამოცემა ყველანაირად მისასალმებელია და მიხარია, რომ ქართული კულტურის ოქროს ფონდისადმი ინტერესი გაჩნდა.

**რეზო ჭანიშვილი, ქორეოგრაფიის კავშირის თავმჯდომარე:**

– კოტე მარჯანიშვილი რომ ქართულ კულტურაში განსაკუთრებულად გამორჩეული ფიგურაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესოა მსგავსი გამოცემების გაცნობა, დიდი სიამოვნებით გავეცნობი კოტე მარჯანიშვილის მემუარებს და მისი ცხოვრების უცნობ დეტალებს. ჩემი აზრით, ეს საშვილიშვილო საქმეა, ეს არ არის ვინმე პიროვნების ან რომელიმე კონკრეტული მიმართულების ან თეატრალური სფეროს დაკონკრეტება. ეს მთლიანად ქართულ კულტურას ეძღვნება, ამიტომ მივესალმები სისხლხორცეულად ასეთ გამოცემებს. აუცილებლად შევიძენ და გავეცნობი.

**გოგა თავაძე, რეჟისორი:**

– ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ძალიან საინტერესოა კოტე მარჯანიშვილის ფენომენი, მისი მემუარები და, მით უმეტეს, მისი ცხოვრების უცნობი დეტალები. მემუარები ჩემთვის მართლა მნიშვნელოვანია, რადგან ჯერ გამოუქვეყნებელ ტექსტებში ჩანს დიდი შემოქმედი ადამიანების სუფთა ადამიანური მხარეები ყოველგვარი იდეალიზმის და შელამაზების გარეშე, ამიტომ გვერდი არ უნდა ავუაროთ და უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. ამ წიგნის გამოცემას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. ასეთი პროექტი ნამდვილად მნიშვნელოვანია, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი ისეთი პიროვნებების შესახებ, რომლებმაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი თეატრის, კინოს, მხატვრობის, მუსიკის და ზოგადად კულტურის ისტორიაში. მაქვს ბედნიერება, მემუშავა მარჯანიშვილის თეატრში და ეს ალბათ ყველა რეჟისორისთვის დიდი პატივია.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

– მიუხედავად იმისა, რომ სახლში უკვე აღარ მაქვს ადგილი, იმდენი წიგნები მაქვს, მაინც მაინტერესებს კოტე მარჯანიშვილი და დიდი სიამოვნებით შევიძენ. კოტე მარჯანიშვილი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა ქართულ თეატრში. მან თავისი კვალი დატოვა ჩვენს თეატრალურ სამყაროში და არ გამიკვირდება, თუკი მის მიმდევრებს დღესაც აღმოვაჩენ.



მას თავისებური ხელწერა ჰქონდა და მართლაც რომ გამორჩეულ სპექტაკლებს დგამდა. თეატრთან კავშირი მეც დიდი ხანია მაქვს, არაერთი სპექტაკლი გამიფორმებია მუსიკალურად და მიყვარს ეს საოცარი სამყარო. ჩემი მუსიკით გაფორმებულია 40-ზე მეტი სპექტაკლი. „100 ადამიანი, რომელმაც შეცვალეს მსოფლიო“ ამასაც ვაგროვებ და სულ ვფიქრობ, სად წავიღო და სად დავატიო ამდენი წიგნი. თქვენი ინიციატივები მომწონს – მზად ვარ მარად! თუკი გააგრძელებთ და ქართულ კულტურაში კიდევ ბევრ მნიშვნელოვან ფიგურას მიუძღვნით ასეთ საინტერესო გამოცემებს, უფრო კარგი იქნება.

**ჯუმბერ ჯანდიერი, მსახიობი, კომპოზიტორი:**

– მე პროფესიით მსახიობი ვარ, თეატრალური ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ჩემი პირველი სამსახიობო ნაბიჯები სწორედ მარჯანიშვილის თეატრში იყო. მანდ ვმუშაობდი 10 წელი, როგორც ხელოვანმა, მანდ ავიდგი ფეხი. მარჯანიშვილი უბრწყინვალესი რეჟისორი იყო, ის ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის მიერ დადგმული „ურიელ აკოსტა“ ამდენი წელია ცოცხლობს და დღესაც იდგმება მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მართალია, ის წლების შემდეგ ჯერ



ვერიკო ანჯაფარიძემ აღადგინა, შემდეგ კი სოფიკო ჭიაურელმა, მაგრამ ფაქტია, რომ 80 წელია თეატრში სპექტაკლი იდგმება და ეს მთელი ცხოვრებაა. მას „ურიელის“ გარდა, არაერთი ბრწყინვალე სპექტაკლი ჰქონდა განხორციელებული. კოტე მარჯანიშვილმა უდიდესი კვალი დატოვა ქართულ კულტურაში და ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ. ასეთი გამოცემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ამ სერიაში ისეთი ადამიანები უნდა მოხვდნენ, რომლებმაც მართლაც ღირსეულად დაიკავეს ქართულ კულტურაში გამორჩეულთა და გენიოსთა ადგილები.

**გოგი თოდაძე, რეჟისორი:**

– პროექტი ნამდვილად დროული და კარგია. მივესალმები ამ წამოწყებას. გარკვეული კატეგორიისთვის, თუნდაც თეატრალური უნივერსიტეტისთვის, ეს უნდა იყოს აუცილებელი. ახალგაზრდებმაც უნდა იცოდნენ კოტე მარჯანიშვილის შესახებ. მისი სპექტაკლები დღემდე ცოცხლობს, ეს კი იშვიათი მოვლენაა. ის, როგორც თეატრის რეჟისორი, ისეა ცნობილი, თუმცა მან კინოში ძალიან დიდი გადატრიალება მოახდინა. ის სინთეზსაც აკეთებდა, მან თეატრშიც სცადა კინოს ხერხების შემოტანა, რაც სრულიად ახალი მიგნება იყო. მაშინ ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო და დიდ ნოვატორობად ითვლებოდა. კოტე მარჯანიშვილმა დატოვა თავისი ხელწერა და ამის გამეორება შეუძლებელია, თუმცა მარჯანიშვილის თეატრი გარკვეული წლები ცდილობდა მისი გზის გაგრძელებას. გენიოსი ადამიანის გამეორება კი ძალიან ძნელია. ბედნიერი ვარ, რომ ვიმუშავე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და მის სამყაროს შევეხე. თუკი ეს პროექტი გაგრძელდება და სამომავლოდ კიდევ სხვა ქართველი კორიფეები გამოიცემა, ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები, რადგან თუ არ იცი შენი ქვეყნის ისტორია, არ გაქვს მომავალი. თუ წარსულს ჩვენ არ გავუფრთხილდებით, მაშინ ვინ გაუფრთხილდება? დიდი სიამოვნებით გავეცნობი კოტე მარჯანიშვილის მემუარებს და მისი ცხოვრების უცნობ დეტალებს, მჯერა, რომ ყველაფერი საინტერესოდ იქნება გადმოცემული.

**ნუნუ გაბუნია, კომპოზიტორი:**

– მემუარები ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ კოტე მარჯანიშვილი ის პიროვნებაა, რომელსაც საფუძვლიანად უნდა გაეცნო. ამხელა პიროვნებას, მისი ცხოვრების უცნობ დეტალებს და მემუარებს ქართველი საზოგადოება ნამდვილად უნდა იცნობდეს. მისი ცხოვრება სავსე იყო წარმატებებით, წარუმატებლობებით, წინააღმდეგობებით და, ამ ყველაფრის მიუხედავად, მან მოახერხა და საოცარი დასი, საოცარი სპექტაკლები და საოცარი ხელწერა დატოვა. კოტე მარჯანიშვილთან დაკავშირებით, ძია მიშა ჭიაურელი მომიყვა ერთ ისტორიას, რომელიც არასდროს მავიწყდება და ჩემს მემუარებშიც შემაქვს. ყველაფერი კი ჩემი სასაცილო ისტორიით დაიწყო, რომელიც კონსერვატორიაში შემემთხვა. მოგეხსენებათ, კონსერვატორიაში ვოკალურიც დავამთავრე. „ევგენი ონეგინში“ ტატიანას ვმღეროდი. ერთ-ერთ რეპეტიციაზე ონეგინს შეეშალა და გაჩუმდა, არ მღეროდა და მე ავმღერდი ონეგინის მაგივრად. ისეთი სასაცილო სიტუაცია იყო, ყველამ სიცილი დაიწყო. მეც მიჭირდა



ბარიტონის პარტიის შესრულება. ამ ისტორიაზე ძია მიშამ მიამბო, რომ თურმე როცა კოტე მარჯანიშვილი უმუშევარი იყო, პირველი სპექტაკლი ჰქონდა პეტერბურგში. მივიდა თეატრში სამუშაოს ძებნით. თავიდან უარი უთხრეს, მერე ასეთი სიმპათიური და ელეგანტური ახალგაზრდა რომ დაინახეს, უკან მოაბრუნეს, რაღაც სამუშაოს გამოგიძებნითო. არაჩვეულებრივი სპექტაკლი გვაქვს „ევგენი ონეგინი“ და იქ სტატისტად შეგიძლია იმუშაოო. მეორე მოქმედებაში, როცა ლენსკის და ონეგინის სროლის სცენაა, კოტე მარჯანიშვილი იქ უნდა დაკავებულიყო. კოტესთვის უთქვამთ, წითელბაფთიანი იარაღი გაისვრის და მეორე არ გაისვრისო. სპექტაკლში ლენსკი ხომ უნდა მოკვდეს, ჰოდა, კოტეს შეშლია და იარაღები პირიქით მიუცია მსახიობებისთვის. ეს მისთვის პირველი სპექტაკლი იყო, მიაწოდა იარაღები შეცდომით და ლენსკის გაუვარდა იარაღი, ონეგინი ისე დაიბნა, რომ წაიქცა. ასეთი კურიოზული პირველი სპექტაკლი ჰქონდა კოტე მარჯანიშვილს. რა თქმა უნდა, იმ წუთსავე გამოაგდეს თეატრიდან. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ კოტე მარჯანიშვილი ამხელა რეჟისორი გახდებოდა. ძალიან მიხარია, რომ ასეთი პროექტი იწყება. კოტე მარჯანიშვილი ნამდვილად არის ქართულ კულტურაში ოქროს ასოებით ჩაწერილი პიროვნება. კომპიუტერმა სულ მიიჯაჭვა ახალგაზრდობა და თუკი ასეთი საინტერესო გამოცემებით ისინი წიგნებს დაუბრუნდებიან, ეს თითოეული ჩვენგანის გამარჯვება იქნება.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

**განცხადებები**

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, საკვერცხეების ანთების, მასტიტის, წითელი ქარის, შეუხორცებელი ჭრილობების, მოტეხილობის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# მადლობა მალტას

**მოლდოვა – საქართველო 5:5**

0:1 სეფისკვერაძე (16), 1:1 ბობოხიძე (18,სკ), 1:2 ბობოხიძე (20), 2:2 ლაშკუ (25), 2:3 სეფისკვერაძე (25), 3:3 ტაკო (26), 4:3 ვიკოლაში (29), 5:3 მუნტეანუ (31), 5:4, 5:5 ბობოხიძე (36, 40)

მოლდოვა: ნიკოლაე ნეაგუ, დორინ კოკებანი, ალექსეი მუნტეანუ, სერგიუ ტაკო, ადრიან ლაშკუ; ედუარდ ჰოდერენი, ვასილე არლეტი, ვლადიმირ ტანურკოვი, კონსტანტინ ბურდუიელი, ოლეგ ჰილოტიი, ანდრეი ვიკოლაში, ალექსანდრუ კრივოი, ალექსანდრ ტიმბალისტი, სერგიუ მუნტეანუ.

**საქართველო:** ალექსანდრე ჯამბურია, მურთაზ კაკაბაძე, ლევან კობაიძე, გიორგი ალთუნაშვილი, დავით ბობოხიძე; ლევან გაბუჩია, შოთა ჭანუყვაძე, ირაკლი შელეგია, თემურ ჯაფარიძე, ავთანდილ ასათიანი, კახა მაისაია, გიორგი სოზაშვილი, ზურაბ ლუკავა, არჩილ სეფისკვერაძე.

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი მოლდოვასთან თამაშით დაასრულა. მატჩი ფრედ 5:5 დასრულდა – ავთანდილ ასათიანის გუნდი მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე 2 ბურთით აგებდა, მაგრამ შეხვედრის გადარჩენა შეძლო, თუმცა მალტელთა იმედად დარჩა.

იმისათვის, რომ ჩვენს ნაკრებს შესარჩევ ტურნირში ეასპარეზა, მოლდოვას საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძელი მალტის ნაკრები 9-ბურთიანი უპირატესობით არ უნდა დაემარცხებინა. ჩვენდა სასიკეთოდ მალტელები კარგად გაისარჯნენ და მოლდოვამ მხოლოდ 4:1 იმარჯვა.

მომდევნო ეტაპზე საქართველო ჩეხეთის, ბელარუსისა და ჰოლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირდება. შესარჩევი ეტაპის თამაშები 27-30 მარტს ჰოლანდიაში გაიმართება.

# აზარენკამ ტიტული შეინარჩუნა

ავსტრალიის დამოუკიდებლობის დღეს ბელორუსმა ჩოგბურთელმა ვიქტორია აზარენკამ ჩინელ ლი ნას მოუგო და ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა.

ფინალურ შეხვედრაში, რომელიც შაბათს გაიმართა, ტურნირზე პირველ ნომრად განთესილმა ბელორუსმა სამ სეტში (4:6, 6:4, 6:3) გაიმარჯვა. თამაშმა 2 საათსა 40 წუთს გასტანა. აღსანიშნავია, რომ ჩინელმა ჩოგბურთელმა, რომელმაც პირველი სეტი თავის სასარგებლოდ ჩაამთავრა, მეორე სეტში ფეხის ტრავმა მიიღო, რისთვისაც სამედიცინო ტაიმ-აუტის აღება ორჯერ მოუხდა.

ამრიგად, აზარენკა უკვე ზედიზედ მეორე წელია ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული ხდება. შესაბამისად, 23 წლის ჩოგბურთელის აქტივში ამჟამად დიდი სლემის ტურნირების ორი ტიტულია.

**ვიქტორია აზარენკა:**

– ორი მძიმე და გრძელი კვირა გავიარე. ბედნიერი ვარ, ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი კვლავ ხელში რომ მიჭირავს. მადლობა ორგანიზატორებს შეჯიბრების ესოდენ მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ჰო, მართლა, ვულოცავ ნა ლის კარგ თამაშს, თქვენ ყველას კი ავსტრალიის დღეს გილოცავთ.

# ფიგურისტებმა ევროპა ჩააგდეს

ზაგრებში მიმდინარე ფიგურულ სრიალში ევროპის ჩემპიონატზე „ბებერი კონტინენტის" ორგზის მესამე პრიზიორმა ელენე გედევანიშვილმა გამოსვლა დაასრულა. მოკლე პროგრამის შემდეგ ქართველი მოციგურავე მეთექვსმეტე იყო და მოწინავეთა ათეულში მოხვედრის მცირე შანსიღა ჰქონდა შერჩენილი. თავისუფალ პროგრამაში ელენემ უკეთ ისრიალა, მეთერთმეტე შედეგი აჩვენა, 2 გამოსვლის ჯამში კი გედევანიშვილმა მე-14 ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონი ტიტულოვანი იტალიელის კაროლინა კოსტნერი გახდა, კვარცხლბეკზე მეორე-მესამე ადგილები კი რუსეთის წარმომადგენლებმა დაიკავეს. მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი კოსტნერი მეხუთედ გახდა კონტინენტის პირველობის გამარჯვებული.

ასპარეზობა დაასრულეს სპორტული ცეკვების წყვილებმაც. საქართველოს სახელით მოასპარეზე ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა საბოლოოდ მეოცე ადგილზე გავიდნენ. შეგახსენებთ, მოკლე პროგრამის შემდეგ ჩვენი წყვილი მე-18 პოზიციაზე იყო, თავისუფალი ცეკვის შემდეგ კი ორი ადგილი დაკარგეს.

# 17–წლამდელთა ცუდი შედეგი

**საქართველო – მოლდოვა 4:2**

1:0 ჩაბრაძე (18), 1:1 კატერი (27პ), 1:2 გოლუბტოვი (44), 2:2 ჭანტურია (50), 3:2 ჩაბრაძე (57), 4:2 ზარანდია (63)

**საქართველო:** გოშაძე, ველიაშვილი, გელაშვილი, ტაბიძე, თევზაძე, მალანია (შულაია 74), ხარაიშვილი (რ.ჭანტურია 49), კერძევაძე (გოროზია 41), ბერიძე (რუხაძე 66), ზარანდია, ჩაბრაძე

**მოლდოვა:** ფრუნზა, ტრიფანი, გოლუბტოვი, ანდრიუხინი, სვინარენკო (სანდული 64), ვ.მარკიცკი, ა.მარკიცკი, გოლუბევი, ბოჟი, კატერი (გორბანი 57), ბეჟანი



მართალია, წლევანდელ ტურნირზე ჩვენი ასაკობრივი ნაკრებებისთვის უჩვეულო, დაბალი შედეგი დაფიქსირდა და მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავა, თუმცა დევდარიანის გუნდს წინ ელიტრაუნდი ელის და მთავარი ყურადღება სწორედ იქით არის მიმართული.

მოლდოვასთან მატჩში ანგარიში გრიგოლ ჩაბრაძემ გახსნა, რომელსაც მშვენიერი საგოლე პასი გაუკეთა გიორგი ბერიძემ. სამსვლიანი საგოლე შეტევა კი მეკარე ოთო გოშაძემ წამოიწყო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს ჩაბრაძის პირველი გოლია 17-წლამდე ნაკრების შემადგენლობაში. მეორე ტაიმში ჩაბრაძემ კიდევ ერთის გატანა შეძლო, ოღონდ ამჯერად რომან ჭანტურიას პასით.

მანამდე კი 1:0-ზე, მეტოქემ პენალტით გაგვითანაბრა. მეორე ტაიმის დებიუტში კი, ჩვენი მცველებისა და მეკარის უყურადღებობის „წყალობით", სულაც წინ გავიდნენ. შეცვლაზე შემოსულმა რომან ჭანტურიამ თამაშში აშკარა გარდატეხა შეიტანა. მოედანზე შესვლიდან ერთ წუთში მან ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კი, როგორც უკვე ვთქვით, ჩაბრაძესაც გაატანინა. მეოთხე გოლი კი ლუკა ზარანდიას ანგარიშზეა. ახალგაზრდა ქართველმა შემტევმა, მისთვის დამახასიათებელი ეფექტური სოლო-გარღვევის შემდეგ, მეოთხედ დაამწუხრა მოლდოველთა მეკარე.

ტურნირის გამარჯვებული კი, ბელგიის ნაკრები გახდა, რომელმაც ფინალში რუსეთის გუნდს სძლია. მატჩის ძირითადი დრო 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში კი ბელგიელები უფრო ზუსტები აღმოჩნდნენ და მათმა გოლკიპერმაც იყოჩაღა. მესამე ადგილისთვის მატჩში უკრაინამ მასპინძელი ბელარუსები 2:0 დაამარცხა.

17-წლამდე ნაკრები თბილისში დღეს დილით დაბრუნდა და მცირე შესვენების შემდეგ მოსამზადებელ პერიოდს გააგრძელებს. მარტში, ელიტრაუნდის დაწყებამდე, ჩვენს გუნდს კიდევ სამი ამხანაგური შეხვედრა ექნება. დევდარიანის გუნდი ჯერ გერმანელ თანატოლებთან მოსინჯავს ძალებს. 12 და 14 მარტს კი თბილისში ორ ტესტ-მატჩში შვედებს გაეჯიბრება. ამის შემდეგ ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრება ელიტრაუნდის სათამაშოდ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდის მეტოქეები სერბეთის, ირლანდიისა და ავსტრიის ნაკრებები იქნებიან.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრების თავდამსხმელი ლუკა ზარანდია კი მინსკის საერთაშორისო ტურნირის საუკეთესო ფორვარდად დაასახელეს. ტურნირის ორგანიზატორების ამ გადაწყვეტილების შესახებ, ფინალური მატჩის შემდეგ, გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გამოაცხადეს. ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს კუთვნილი პრიზი ბელარუსის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გეორგი კონდრატიევმა გადასცა.

ტურნირის საუკეთესო მეკარე რუსი ანტონ მიტრიუშკინი გახდა, საუკეთესო მცველი – ალექსანდრ პავლოვეცი (ბელარუსი), საუკეთესო ნახევარმცველი კი – ვიქტორ კოვალენკო (უკრაინა). ტურნირის ბომბარდირად და საუკეთესო ფეხბურთელად კი ბელგიელი ზაკარია ბაკალი დასახელდა.

**ლუკა ზარანდია:**

– ძალიან მოულოდნელი პრიზი იყო. ჩემი გვარი რომ გამოაცხადეს, გაოცება სახეზე მეწერა... საპრიზო ადგილზე რომ ვერ გავედით, გვეგონა, ჩვენკენ არავინ გამოიხედავდა. დიდი მადლობა ყველას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენთვის ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელი ტურნირი იყო, ბიჭები ძალიან გულდაწყვეტილი ვართ, რომ შედეგი ვერ ვაჩვენეთ. ამ ტურნირმა ბევრი რამ გვასწავლა და ჩვენი ბევრი შეცდომაც დაგვანახვა. მთავარია, მარტისთვის ვიყოთ სათანადოდ მზად, რომ ავსტრიაში კარგი შედეგი ვაჩვენოთ და ჯგუფიდან გავიდეთ, მთავარი ესაა.

# თასის ფინალისტები გაირკვა

გაირკვა საქართველოს თასის ფინალისტები კალათბურთში. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა „ოლიმპმა" ნახევარფინალურ დაპირისპირებაში „ქუთაისი" 66:54 დაამარცხა. ოლიმპელებს შანსი აქვთ, 22 იანვარს მოგებულ საკანდელიძე-ქორქიას სახელობის მემორიალს მეორე ტიტულიც მიამატოს.

„ოლიმპისა" და „ქუთაისის" დაპირისპირება საკმაოდ მწირქულიანი გამოდგა. სამინისტროს გუნდმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვა და ლიდერობა თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა. კაზანჯიანის გუნდში საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის საუკეთესო უკანახაზელი მიხეილ ბერიშვილი გამოირჩა, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა. 13 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა შეხვედრა სტევან მილოშევიჩმა, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ ჩაამთავრა. მისი ფინალში თამაში სათუოა. ქუთაისელებს 19 ქულით გიორგი ბარბაქაძემ ულიდერა, რიჩარდ მათიაშვილმა კი 15 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა.

„ოლიმპის" მეტოქე „შსს-აკადემია" იქნება. შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა ნახევარფინალში „არმია" 73:65 დაამარცხა.

„შსს-აკადემიამ" თავიდანვე რომ მოიპოვა უპირატესობა, თამაშის ბოლომდე შეინარჩუნა და ტურნირის ფინალში დამსახურებულად გავიდა.

აკადემიელებმა პირველ მეოთხედში საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს, „არმიის" კალათბურთელებს თამაშის ორგანიზება არ დაანებეს, დაცვაშიც კარგად ირჯებოდნენ და შეტევაშიც. ეს ყველაფერი ანგარიშზე აისახა. შსს-ელებმა პირველი მეოთხედი 27:16 მოიგეს. მართალია, არმიელებმა მეორე პერიოდის ბოლოს ჩამორჩენა 3 ქულით შეამცირეს, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ კეცელიდისის სამწყსო კვლავ შედეგიანად ათამაშდა და გადამწყვეტი პერიოდის წინ 11 ქულით დაწინაურდა.

ბოლო მეოთხედში „არმიამ" გაიბრძოლა, მაგრამ საქმის შემოტრიალება ვეღარ შეძლო. კოტე ტუღუშის გუნდმა რაც მოახერხა, ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება იყო. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე „არმია" მეტოქეს ქულით (62:63) მიუახლოვდა, თუმცა მომდევნო სამ წუთში ქულა ვეღარ ჩააგდო და წასაგებად გაიწირა.

„შსს-აკადემიაში" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ამერიკელმა დენოთა ვონმა, რომელმაც 35 ქულა, 6 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. ვონმა ცდიდან 9 ორქულიანი ჩააგდო. 17 ქულითა და 18 მოხსნით ფარზე კირკ არჩიბეკი ბატონობდა. არმიელთაგან გამორჩეულად არავის უთამაშია. 13 ქულით საუკეთესო შედეგი ზვიად ბაბიაშვილმა აჩვენა, ხოლო საყვარელიძემ და წივწივაძემ 11-11 ქულა მოაგროვეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# შედეგები

## ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

კოტ დივუარი-ტუნისი ..... 3:0
ალჟირი-ტოგო ..... 0:2

**ცენტრალური ამერიკის თასი**

ჰონდურასი-ბელიზი ..... 1:0
კოსტა რიკა-სალვადორი ..... 1:0

**ამხანაგური მატჩები**

ტაილანდი-ჩრ.კორეა ..... 2:2
შვედეთი-ფინეთი ..... 3:0
კანადა-დანია ..... 0:4

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

სტოკი-სიტი ..... 0:1
ბოლტონი-ევერტონი ..... 1:2
ბრაიტონი-არსენალი ..... 2:3
დერბი-ბლექბერნი ..... 0:3
ქპრ-მილტონი ..... 2:4
მაკსფილდი-უიგანი ..... 0:1
მიდლსბრო-ალდერშოტი ..... 2:1
ნორვიჩი-ლუტონი ..... 0:1
რედინგი-შეფილდი ..... 4:0
ჰადერსფილდი-ლესტერი ..... 1:1
ჰალი-ბარნსლი ..... 0:1
მანჩესტერი-ფულემი ..... 4:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ბირმინგემი ..... 1:2
ბრისტოლი-იფსვიჩი ..... 2:1
ვულვზი-ბლექპული ..... 1:2
ნოტინგემი-უოტფორდი ..... 0:3
ჩარლტონი-უენსდი ..... 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-სოსიედადი ..... 1:1
ლევანტე-ვალიადოლიდი ..... 2:1
სარაგოსა-ესპანიოლი ..... 0:0
დეპორტივო-ვალენსია ..... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 18 | 1 | 1 | 66:23 | 55 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 42:18 | 47 |
| 3.რეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 50:20 | 40 |
| 4.ბეტისი | 20 | 11 | 2 | 7 | 31:30 | 35 |
| 5.ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30:34 | 33 |
| 6.ლევანტე | 21 | 10 | 3 | 8 | 26:30 | 33 |
| 7.მალაგა | 20 | 9 | 5 | 6 | 30:17 | 32 |
| 8.რაიო | 20 | 10 | 1 | 9 | 27:36 | 31 |
| 9.სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32:28 | 30 |
| 10.ვალიადოლიდი | 21 | 8 | 4 | 9 | 30:27 | 28 |
| 11.ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 27:29 | 26 |
| 12.სევილია | 20 | 6 | 5 | 9 | 24:29 | 23 |
| 13.სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 20:30 | 23 |
| 14.ესპანიოლი | 21 | 5 | 7 | 9 | 23:32 | 22 |
| 15.ბილბაო | 20 | 6 | 4 | 10 | 24:39 | 22 |
| 16.სელტა | 21 | 5 | 5 | 11 | 21:26 | 20 |
| 17.გრანადა | 20 | 5 | 5 | 10 | 18:29 | 20 |
| 18.ოსასუნა | 20 | 4 | 6 | 10 | 16:21 | 18 |
| 19.მალიორკა | 20 | 4 | 5 | 11 | 20:36 | 17 |
| 20.დეპორტივო | 21 | 3 | 7 | 11 | 26:45 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხირონა-გვადალახარა ..... 2:0
ლუგო-ლას პალმასი ..... 3:1
მურსია-ხიხონი ..... 1:1
რასინგი-კორდობა ..... 1:3
ელჩე-ერკულესი ..... 2:0

**იტალია. სერია ა**

ლაციო-კიევო ..... 0:1
იუვენტუსი-ჯენოა ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 46:15 | 49 |
| 2.ნაპოლი | 21 | 13 | 4 | 4 | 41:19 | 43 |
| 3.ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 32:22 | 43 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 3 | 6 | 33:23 | 39 |
| 5.ფიორენტინა | 21 | 10 | 6 | 5 | 38:25 | 36 |
| 6.მილანი | 21 | 10 | 4 | 7 | 38:28 | 34 |
| 7.რომა | 21 | 10 | 3 | 8 | 44:35 | 33 |
| 8.კატანია | 21 | 9 | 5 | 7 | 29:27 | 32 |
| 9.პარმა | 21 | 8 | 7 | 6 | 29:27 | 31 |
| 10.უდინეზე | 21 | 7 | 9 | 5 | 32:31 | 30 |
| 11.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 23:34 | 28 |
| 12.ტორინო | 21 | 6 | 9 | 6 | 25:24 | 26 |
| 13.ატალანტა | 21 | 7 | 4 | 10 | 19:31 | 23 |
| 14.ბოლონია | 21 | 6 | 3 | 12 | 26:28 | 21 |
| 15.სამპდორია | 21 | 6 | 4 | 11 | 22:29 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:37 | 20 |
| 17.პესკარა | 21 | 6 | 2 | 13 | 17:39 | 20 |
| 18.ჯენოა | 22 | 4 | 6 | 12 | 22:35 | 18 |
| 19.პალერმო | 21 | 3 | 7 | 11 | 18:34 | 15 |
| 20.სიენა | 21 | 5 | 5 | 11 | 20:31 | 14 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ასკოლი ..... 0:1
ვარეზე-ლანჩანო ..... 1:2
გროსეტო-ჩიტადელა ..... 3:1
მოდენა-ტერნანა ..... 1:2
პადოვა-ლივორნო ..... 0:0
პრო ვერჩელი-რეჯინა ..... 0:0
სპეცია-ვერონა ..... 0:1
ჩეზენა-ვიჩენცა ..... 3:1
ემპოლი-ნოვარა ..... 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ჰოფენჰაიმი ..... 2:1
აუგსბურგი-შალკე ..... 0:0
გლადბახი-ფორტუნა ..... 2:1
ჰანოვერი-ვოლფსბურგი ..... 2:1
ფიურტი-მაინცი ..... 0:3
ფრაიბურგი-ლევერკუზენი ..... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 3 | 1 | 46:7 | 45 |
| 2.ლევერკუზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 36:23 | 37 |
| 3.დორტმუნდი | 19 | 10 | 6 | 3 | 43:20 | 36 |
| 4.აინტრახტი | 19 | 10 | 3 | 6 | 36:31 | 33 |
| 5.მაინცი | 19 | 9 | 3 | 7 | 27:21 | 30 |
| 6.შალკე | 19 | 8 | 5 | 6 | 32:29 | 29 |
| 7.გლადბახი | 19 | 7 | 8 | 4 | 27:27 | 29 |
| 8.ფრაიბურგი | 19 | 7 | 7 | 5 | 24:18 | 28 |
| 9.ჰანოვერი | 19 | 8 | 2 | 9 | 38:37 | 26 |
| 10.ჰამბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:22 | 25 |
| 11.შტუტგარტი | 18 | 7 | 4 | 7 | 21:30 | 25 |
| 12.ვერდერი | 18 | 6 | 4 | 8 | 28:34 | 22 |
| 13.ვოლფსბურგი | 19 | 6 | 4 | 9 | 20:29 | 22 |
| 14.ფორტუნა | 19 | 5 | 6 | 8 | 23:27 | 21 |
| 15.ნიურნბერგი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:26 | 21 |
| 16.აუგსბურგი | 19 | 2 | 7 | 10 | 15:31 | 13 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 19 | 3 | 4 | 12 | 24:43 | 13 |
| 18.ფიურტი | 19 | 1 | 6 | 12 | 11:33 | 9 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

რენი-მარსელი ..... 2:2
მონპელიე-სოშო ..... 2:0
ნანსი-ლორიანი ..... 2:1
რეიმსი-ტულუზა ..... 1:1
ტრუა-ბრესტი ..... 2:1
ევიანი-აიაჩო ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 22 | 13 | 6 | 3 | 37:18 | 45 |
| 2.პსჟ | 21 | 12 | 6 | 3 | 37:12 | 42 |
| 3.მარსელი | 22 | 13 | 3 | 6 | 30:27 | 42 |
| 4.რენი | 22 | 11 | 3 | 8 | 33:28 | 36 |
| 5.ნიცა | 21 | 9 | 8 | 4 | 33:26 | 35 |
| 6.ლორიანი | 22 | 9 | 7 | 6 | 36:35 | 34 |
| 7.მონპელიე | 22 | 9 | 5 | 8 | 35:27 | 32 |
| 8.ბორდო | 21 | 7 | 11 | 3 | 23:15 | 32 |
| 9.სენტ ეტიენი | 21 | 8 | 7 | 6 | 27:16 | 31 |
| 10.ტულუზა | 22 | 8 | 7 | 7 | 30:24 | 31 |
| 11.ლილი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:22 | 30 |
| 12.ვალანსიენი | 22 | 8 | 6 | 8 | 32:32 | 30 |
| 13.ბასტია | 21 | 7 | 4 | 10 | 28:44 | 25 |
| 14.ბრესტი | 22 | 7 | 3 | 12 | 23:31 | 24 |
| 15.სოშო | 22 | 6 | 4 | 12 | 21:32 | 22 |
| 16.აიაჩო | 22 | 5 | 9 | 8 | 23:31 | 22 |
| 17.ევიანი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:35 | 21 |
| 18.რეიმსი | 22 | 4 | 8 | 10 | 18:24 | 20 |
| 19.ტრუა | 22 | 3 | 7 | 12 | 25:43 | 16 |
| 20.ნანსი | 21 | 1 | 9 | 11 | 18:37 | 12 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მონაკო-გენგამი ..... 2:2
შატორუ-ისტრი ..... 2:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ზვოლე-ჰერენვენი ..... 1:1
დენ ჰააგი-როდა ..... 2:2
ვალვაიკი-ბრედა ..... 0:4
ერაკლესი-პსვ ..... 1:5

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბრაგა-ბენფიკა ..... 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

იუნაიტედი-როსი ..... 1:1

**შოტლანდია. ლიგის თასი**

ინვერნესი-ჰარტსი ..... 1:1(4:5პ)

**ბელგია. პრო ლიგა**

ლოკერენი-ანდერლეხტი ..... 0:2
ბეერსხოტი-მონსი ..... 0:0
ბევერენი-ლეუვენი ..... 2:0
ვარეგემი-ლიერსი ..... 2:0
მეხელენი-გენკი ..... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-ლევადიაკოსი ..... 2:1
აეკი-ოფი ..... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთანბული-ბურსა ..... 4:1
გენჩლერი-აკჰისარი ..... 1:0
გაზიანთეპი-ფენერბახჩე ..... 1:2

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ჩიკაგო ..... 86:73
ტორონტო-კლივლენდი ..... 98:99
შარლოტი-მინესოტა ..... 102:101
ფილადელფია-ნიუ იორკი ..... 97:80
ჰიუსტონი-ბრუკლინი ..... 119:106
მილუოკი-გოლდენ სტეიტი ..... 109:102
სან ანტონიო-ფინიქსი ..... 108:99
იუტა-ინდიანა ..... 114:110(ოტ)
დენვერი-საკრამენტო ..... 121:93
პორტლენდი-კლიპერსი ..... 101:100

## ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**ფინალი – ქალები**

აზარენკა-ლი ..... 4:6;6:4;6:3

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

სან ხოსე-კოლორადო ..... 4:0
კოლამბუსი-ჩიკაგო ..... 2:3
ნიუ იორკი-ტორონტო ..... 5:2
ფლორიდა-ფილადელფია ..... 1:7
დალასი-სენტ ლუისი ..... 3:4
ფინიქსი-ლოს ანჯელესი ..... 2:4
კალგარი-ედმონტონი ..... 4:3
ანაჰაიმი-ნეშვილი ..... 2:2(1:0ბ)

# ელდარ შენგელაია ბრწყინვალების ორდენოსანია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მოდგენილი იყო რეჟისორის ყველაზე პოპულარული ფილმების ვიდეოინსტალაციები. იუბილარი კინორეჟისორი ავტორია გახმაურებული ქართულ ფილმებისა „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. ელდარ შენგელაია მუშაობდა კინოსტუდიაში „მოსფილმი“ კინორეჟისორად, ასევე კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ კინორეჟისორად, არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, ორი წლის განმავლობაში იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ასევე სხვადასხვა წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე. ამჟამად საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა.

მისი პირველი ნამუშევარი კინოში არის „ლეგენდა ყინულის გულზე“, რომელსაც დაემატნენ „თოვლის ზღაპარი“, „თეთრი ქარავანი“, „მიქელა“ (ნოველა კინოალმანახზე „წარსულის ფურცლები“), „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ექსპრეს-ინფორმაცია“. მის კინოკარიერაზე გავლენა მშობლებმა რეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ და მსახიობმა ნატო ვაჩნაძემ იქონიეს. ბავშვობიდან გადასაღებ მოედანზე გაზრდილმა ძმებმა ელდარ და გიორგი შენგელაიებმა კინოსამყაროში მუშაობა განიზრახეს და არაერთი დაუვიწყარი ფილმიც შექმნეს.

უკვე მეშვიდე წელია ელდარ შენგელაია კინოს აღარ გაჰკარებია, ამის მიზეზი მისი პირადი ტრაგედიაა – 2006 წელს კინორეჟისორს ქალიშვილი ელენე ავტოკატასტროფაში დაეღუპა. ამ ტრაგედიამ რეჟისორი რადიკალურად შეცვალა, უფრო ეკლესიური გახადა და კინოზეც უარი თქვა. ორიოდე წლის წინ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ელდარ შენგელაია კინოს უბრუნდება და ამის ინიციატორი მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძეა. განხორციელდება თუ არა ელდარ შენგელაიასა და ბუბა კიკაბიძის ერთობლივი პროექტი, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა როგორც გამოფენაზე იუბილარმა ხელოვანმა განაცხადა, ის ორ ახალ ფილმზე მუშაობს და მალე ქართველ საზოგადოებას თავის ნამუშევრებს წარუდგენს, თუმცა ფილმების დაკონკრეტებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა. გამოფენის გახსნას თან ახლდა ფეიერვერკები და ტორტის გაჭრა, რომელსაც კინორეჟისორის სახელი და საიუბილეო თარიღი ოქროსფრად ამშვენებდა.

**გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის ხელმძღვანელი:**

– უნიჭიერესი რეჟისორის, ელდარ შენგელაიას იუბილე ასე ორიგინალურად პირველად აღინიშნა. გამოფენაზე წარმოდგენილია ისეთი ცნობილი კინოსცენარების ორიგინალები როგორიცაა „ცისფერი მთები“ და „შერეკილები“. გამოფენა ქართული რეალობისთვის უჩვეულოა. ხელოვნების სასახლის ისტორიული ნაწილის 6 დარბაზი სწორედ რეჟისორის შემოქმედებას დაეთმო და მთლიანად სასახლე ქართული კინოფილმების სტილში უნიკალურად გაფორმდა. საგამოფენო სივრცეში არა მარტო კოსტიუმები, ხელნაწერები და სცენარები იქნა ექსპონირებული, არამედ ნაჩვენები იქნა ელდარ შენგელაიას ყველაზე პოპულარული ფილმების „ცისფერი მთები“, „შერეკილები“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ ყველაზე ცნობილი მომენტები. საგამოფენო დარბაზებში რეჟისორის კინოფილმებიდან საუკეთესო ფოტოარქივი გამოიფინა. ასევე სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ფილმის გმირების პროტოტიპები დაიდგა, რომელთანაც დამთვალიერებელს სურათის გადაღების საშუალება მიეცა. სასახლის ისტორიულ ნაწილში მუსიკითა და სპეციალური ეფექტებით მაქსიმალურად შეიქმნა ელდარ შენგელაიას ფილმებში არსებული სიტუაცია. სპეციალურად ამ უნიკალური გამოფენისთვის კინოფილმ „შერეკილებში“ გამოყენებული საფრენი საშუალება დამზადდა. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე საგამოფენო სივრცეში კი პარალელურად, ელდარ შენგელაიას, გიორგი შენგელაიას, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას პირადი ნივთები გამოიფინა, რომელიც ჩვენი მუზეუმის ფონდებშია დაცული და ისინი დამთვალიერებელმა პირველად ნახა. განსაკუთრებთი აღსანიშნავია ფილმ „შერეკილებისა“ და „არაჩვეულებრივი გამოფენის“ რეზო გაბრიაძისეული ესკიზები. აქ არის წარმოდგენილი არა მარტო ელდარ შენგელაიას შემოქმედება, არამედ მისი ოჯახის ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას უნიკალური ნივთები.

**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

– თუკი არსებობს სიტყვა გენიოსის შესაბამისი პიროვნება, ეს არის ელდარ შენგელაია, კლასიკური განმარტება რომ იყოს ლექსიკონში, სიტყვა გენიოსის გვერდით დაიწერებოდა ელდარ შენგელაია. მართლაც ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელი არა უბრალოდ ქართულ კულტურასა და ქართულ კინემატოგრაფიაში, არამედ უბრალოდ ჩვენს დღევანდელობაში, ჩემი ღრმა რწმენით საქართველოს ისტორიაში. რადგანაც საქართველოს ისტორია ეს ასევე არის ჩვენი კულტურის, იდენტურობის ისტორია, ეს ყველაფერი კი თავისთვად ძალიან განსაკუთრებული და უნიკალურია. თუკი რამე ასახავს, ზუსტად, ქართულ სულს, ქართულ იდენტურობას, ეს არის ელდარ შენგელაიას ფილმები. ჩვენ ყველანი გავფრინდებით და საქართველო ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა. ბატონი ელდარი ყველა ჩვენგანზე ახალგაზრდაა. ის არა მარტო შესახედავად არის გაახალგაზრდავებული, არამედ სულიერადაც. რომ დავინახე, კიდევ უფრო გაახალგაზრდავებული მომეჩვენა, ვიდრე ორიოდე თვის წინ რომ ვნახე. რა თქმა უნდა, ბატონო ელდარ, ყველანი გავფრინდებით, აუცილებლად გავფრინდებით, ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება, ყველა, ვისაც უნდა დაგვაკავოს, მიწაზე დაგვსვას, დაგვამიწოს, სადღაც ჩაგვსვას, ცხრაკლიტულში მოგვათავსოს, არაფერი გამოუვა, ყველაზე თამამი ნატვრები ახდება, ყველაზე უფრო გაბედული რაღაცები მოხდება და საქართველო აუცილებლად ისეთი იქნება, როგორიც ერთაოზს წარმოედგინა, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ და როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. კლასიკური განმარტება რომ არსებობდეს სიტყვა გენიოსის მის გვერდით დაიწერებოდა ელდარ შენგელაია. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელი არა მარტო ქართულ კულტურაში, არა მარტო ქართულ კინემატოგრაფში, არა უბრალოდ ჩვენს დღევანდელობაში, არამედ ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ისტორიაში. არ არსებობს საქართველოს სახელმწიფო იერარქიაში გენიოსობის ორდენი, იმიტომ რომ გენიალური პიროვნებები გვყავს ძალიან ცოტა. ყველაზე მეტად შეესაბამება ბატონ ელდარს ბრწყინვალების ორდენი და მინდა ქართული სახელმწიფოს სახელით მას ეს ორდენი გადავცე.

**ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი:**

– ბატონო ელდარ, გილოცავთ 80 წლის იუბილეს! თქვენ იმ შემოქმედთა წარმომადგენელი ბრძანდებით, რომლებმაც ქართული კინოს ფენომენზე მსოფლიო აალაპარაკეს. თაობები აღიზარდა თქვენს კინოშედევრებზე. თქვენი შემოქმედება გაჟღენთილია სიკეთით, ადამიანის სიყვარულით და, სწორედ ამიტომ, ხალხი დღესაც თქვენი კინოგმირების ფრაზებით ლაპარაკობს. ეს არის ის ჯილდო, რომელიც დრომ გამოსცადა. გისურვებთ მხნეობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

**მანანა ბერიკაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

– ვულოცავ ბატონ ელდარს 80 წლის იუბილეს, ჯანმრთელობას ვუსურვებ. კულტურის სამინისტროს სახელით მას გადავეცი მოკრძალებული საჩუქარი – ოქროს კამერა. ბატონ ელდარს ჯერ კიდევ წინ აქვს ბევრი სათქმელი. საგანძური, რომელიც ბატონმა ელდარმა დაგვიტოვა, არის განუზომელი, როგორც პიროვნებამ, როგორც მოქალაქემ, როცა ეს საჭირო იყო და როგორც დიდმა შემოქმედმა.

**ელდარ შენგელაია, რეჟისორი:**

– დიდი მადლობა ყველას, ვინც ჩემს საიუბილეო გამოფენაზე იზრუნა. გიორგი კალანდიას ინიციატივა იყო ამ გამოფენის მოწყობა. მისმა თანამშრომლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს გამოფენა ჩატარებულიყო. მე უბრალოდ ვეხმარებოდი, იდეა იყო მათი, ამიტომ უმეტესი სამუშაო მათ გასწიეს. საოცარია ჩემი ცხოვრება, თავიდან ნატო ვაჩნაძის შვილად მიცნობდნენ, მერე გავხდი გიორგი შენგელაიას ძმა, მერე ცოლად მოვიყვანე არიადნა შენგელაია და მისი ქმარი გავხდი, გამიჭირდა ჩემი ვინაობის დაბრუნება.

**გურანდა გაბუნია, მსახიობი:**

– ვულოცავ ჩემს საყვარელ ელდარს 80 წლის იუბილეს. საოცარია მისი ფილმები, მისი პერსონაჟები. ის, რომ დღეს ხალხი მისი ფილმების გმირების რეპლიკებით ლაპარაკობს, ეს მის დიდ ნიჭიერებაზე მიუთითებს. ის ნამდვილი გენიოსია, რადგან არის ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას შვილი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

**ჯანსუღ ჩარკვიანი:**

– საბედნიეროდ, საქართველო ნიჭიერთა ქვეყანაა. ქართულ კინემატოგრაფში ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი ელდარ შენგელაიაა. მისი ფილმები თაობებისთვის არის საყვარელი, ეს კი შემოქმედი ადამიანისთვის მთავარია. ვულოცავ მას ამ ბრწყინვალე იუბილეს, ჯანმრთელობას და სულიერ სიმტკიცეს ვუსურვებ, ველოდებით სიახლეებს მისი ახალი ფილმების მეშვეობით.

**ოთარ მეღვინეთუხუცესი:**

– ნათქვამია, რომ როცა ადამიანს უნიჭიერესი მშობლები ჰყავს, მერე გენი შვილებში ისვენებსო, თუმცა ელდარის შემთხვევაში ასე არ მოხდა. ის თავისი მშობლების მსგავსად არაჩვეულებრივი ადამიანია, ნიჭიერი, ჭკვიანი და არაჩვეულებრივი ხედვის მქონე. მისი ფილმები ნამდვილად საკულტოა და მას არც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა უყუროს.

**სოსო ლაღიძე:**

– ვულოცავ ბატონ ელდარს 80 წლის იუბილეს, ნამდვილად ვერ იტყვით, რომ ამხელა ასაკისაა. საკმაოდ მხნედ და კარგად გამოიყურება. მიყვარს მისი ფილმები, ერთი შეხედვით თითქოს საოცრად მარტივია, მაგრამ ამავე დროს დიდი სიღრმეებია მათში ჩადებული. ელდარ შენგელაია ის ადამიანია ქართულ კინოში, ვინც თავისი ხელწერა დატოვა და მისი გმირები ქართველი მაყურებლისთვის გამორჩეულად საყვარელია.

**მერაბ კოკოჩაშვილი:**

– ელდარის აღიარება დაიწყო ფილმით „თეთრი ქარავანი“, რომელსაც შემდეგ მოყვა „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ცისფერი მთები“ და „შერეკილები“. ყველა ეს ფილმი ქართველი მაყურებლისთვის გამორჩეულად საყვარელია, თუნდაც იმიტომ რომ ამ ფილმების ფრაზეოლოგია ხალხმა ზეპირად იცის. ეს ნებისმიერი ხელოვანისთვის აღიარება და სიყვარულია. მჯერა, რომ ელდარი ამ სიყვარულს ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობს. ვულოცავ მას 80 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.



## სკანვორდი



1 .რკინისა და ნიკელის შენადნობი; 2. ცვარი-...; 3. პოეტი-მომღერალი შუა-აზიაში; 4. მიწის ფართის საზომი ერთეული (ინგლისი, ამერიკა); 5. პატარა ტანის ცხენი; 6. ციფრი; 7. ქალბატონი (ინგლისურად); 8. კათოლიკეთა მღვდელი საფრანგეთში; 9. ფანდი, ხრიკი; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. მშვილდ-...; 12. ალპინისტების მარშრუტი, რამდენიმე მწვერვალზე გადასვლა; 13. წვრილმანებში ჩაციება; 14. მდინარის მტაცებელი თევზი; 15. ნუსხა; 16. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 17. მუხის ნაყოფი; 18. ... კლიბერნი; 19. მატადორი; 20. გასეირნება ბავშვის ენაზე; 21. ალლუმი; 22. წილი ბიზნესში; 23. რასაც ყური აღიქვამს; 24. ჯულიეტა ...; 25. რამეთი თავდავიწყებით გატაცება; 26. ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 27. დენის წინაღობის ერთეული; 28. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 29. უკუსვლა, დაქვეითება; 30. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 31. პატარა მღრღნელი ცხოველი; 32. ჭირვეულობა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იუბილე; 2. დიდუბე; 3. ტოსკა; 5. აული; 6. ლუხუნი; 8. ჰამერი; 11. აფსარუნტი; 13. ურუგვაი; 14. თაკვერი; 15. პიასტრი; 19. ხოკუ.

**თარაზულად:** 1. ინტერდიქტი; 4. ბაჯაღლო; 7. ბაკარდი; 9. კოკაინი; 10. სააბი; 12. სტეინიცი; 16. ბირთვისი; 17. სუფრული; 18. კვაწარახი; 20. ტეილორი; 21. ლისი; 22. თეთნულდი.

**კროსვორდი ბ:**

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ეკერი; 3. გალენიტი; 4. დიზელი; 5. თაღლითი; 6. გალიერა; 11. პირლო; 13. ტრუიზმი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. ლიმიტი; 18. კლიჩკო; 19. გეტა.

**თარაზულად:** 7. სულიკო; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. კლაუზულა; 18. კალაჰარი; 20. ბიეფი; 21. ონი; 22. დიამბეგი; 23. პესო; 24. იაკიტორია.

სპორტი

# „დინამო“ უცხოურ შეკრებაზე მარცხს დაეჩვია

ანტალიურ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ მეორე სპარინგ-მატჩი გამართა. დუშან უჰრინის გუნდი ამჯერად პოლტავის „ვორსკლასთან“ დამარცხდა.

ჩეხმა სპეციალისტმა გუნდი ორივე ტაიმში განსხვავებული შემადგენლობებით ათამაშა. პირველ ტაიმში თბილისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ლორია, ხოჭოლავა, გლიშიჩი, შაშიაშვილი, დვალი, ალვარო, მერებაშვილი, კოტო, სეთურიძე, კვარაცხელია, ხმალაძე.

მეორე ნახევარში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ „დინამომ“ შემდეგნაირად იასპარეზა: ზარქუა, მენდი, გველესიანი, ხიზანეიშვილი, მილხრაუმი, ძარია, პაპავა, ტვილდიანი, დიასამიძე, ტატანაშვილი, შინდაგორიძე.

პოლტაველებმა ანგარიში 29-ე წუთზე გახსნეს, ბურთი არტიომ გრომოვმა გაიტანა. 89-ე წუთზე უკრაინელებმა სწრაფი კონტრშეტევა გაითამაშეს და თავი ალბანელმა აჰმედ იანუზიმ გამოიჩინა – 0:2.

როგორც ირკვევა, „დინამო“ დიეგო მალანიას დაემშვიდობა, ემანუელ მენდიზე გუნდის მთავარი მწვრთნელი დაკვირვებას განაგრძობს.

ალექს რადოვანოვიჩს ვირუსის გამო ორი დღე არ უვარჯიშია და გუნდთან ერთად 26 იანვარს განაახლა ვარჯიში. ანტალიაში „დინამოს“ შეუერთდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს გერმანელი პატრიკ მილხრაუმი.

28 წლის გერმანელი მცველი, პატრიკ მილხრაუმი ბოლოს „ზესტაფონში“ ასპარეზობდა.

ქუთაისის „ტორპედომ“ საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე ორი ტესტ-მატჩი გამართა. ჯერ რეგიონალლიგელ თერჯოლის „საპოვნელას“ 13:0 მოუგეს, შემდეგ კი პირველლიგელ ქობულეთის „შუქურას“ 2:0 აჯობა.

ცხადია, ერთ დღეს ჩატარებულ ორ მატჩში გია გეგუჩაძემ გუნდი სხვადასხვა შემადგენლობებით ათამაშა. თერჯოლელებთან უფრო სათადარიგო შემადგენლობას მისცა თავის გამოჩენის შანსი, თუმცა რამდენი ფეხბურთელი ძირითადი გუნდიდან მაინც დატვირთა. პოკერი მიითვალა გიორგი ფანცულაიამ, 3-3 გოლი გაიტანეს ვახტანგ კვარაცხელიამ და ნიკა საბანაძემ, დუბლი შეასრულა თემურ მარკოზაშვილმა, ხოლო ერთი გოლი დათი პეტავამ გაიტანა.

რაც შეეხება „შუქურასთან“ მატჩს, გოლები ბექა ტუღუშმა (მე-18 წუთზე) და გრიგოლ დოლიძემ (60) შეაგდეს. იმერულ გუნდში პირველი შეხვედრა ჩაატარა ახალწვეულმა მცველმა გიორგი ონიანმა.

„ზესტაფონმა“ კი საკუთარ სტადიონზე ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლა და 5:0 მოუგო.

პირველივე წუთებიდან მოყოლებული, შეხვედრა მასპინძელთა დიდი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და უკვე მე-8 წუთზე თავის გუნდი იგორ იელიჩმა დააწინაურა. დინამოელთა კართან შექმნილი მომენტების სიმრავლის მიუხედავად, პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ კი ორივე გუნდის შემადგენლობაში მრავალი ცვლილება განხორციელდა, თუმცა ამ გარემოებას იმერელთა უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. 51-ე წუთზე მარგველთა უპირატესობა ორამდე თორნიკე გრიგალაშვილმა გაზარდა. 59-ზე ზესტაფონელთა რიგებში გატანილი სადებიუტო გოლით თავი ალჟირელმა მოჰამედ რეკრუკმა გამოიჩინა. კიდევ ორი წუთის შემდეგ თავის გოლი რატი წინამძღვრიშვილმაც გაიტანა. მატჩის ბოლო გოლი კი 87-ე წუთზე გავიდა – ექს-სარაგოსელმა მოჰამედ რეკრუკმა დუბლი შეასრულა.

ზესტაფონი: კვასხვაძე (მეშველიანი 46), ბენაშვილი (თორნიკე გრიგალაშვილი 46, კიკნაველიძე 80)), ჩულიბრკი, კაჭკაჭიშვილი, გაგოშიძე (ჭანტურიშვილი 75), იელიჩი (მუმლაძე 46), გორგიაშვილი (სამუშია 46), ებონგე (ენდელაძე 46), ბაბუნაშვილი (ჭანკოტაძე 46), აფციაური (რეკრუკი 46), კუტალია (წინამძღვრიშვილი 46)

დინამო: მუჯირიშვილი, სიხარულიძე (რამიშვილი 26), ტყეშელაშვილი (ქორიძე 46), ჟვანია (მაკარიანი 46), გაბუნია (ბაჯელიძე 46), როსინი, გოგიტიძე, მუჯირი (თევდორაძე 46), შალამბერიძე (ვარშანიძე 65), ქუცურუა (ბერიძე 46), აბუსელიძე (თოდაძე 46).

მ. ჟ.

# 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეა

27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს გაერო-ს გენერალური ასამბლეა 2005 წლის პირველ ნოემბერს მიღებული რეზოლუციის შემდეგ აღნიშნავს. ეს თარიღი წითელი არმიის მიერ ოსვენციმის გათავისუფლებასთან არის დაკავშირებული. ოსვენციმის ბანაკი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი „სიკვდილის ფაბრიკა“ იყო.

ოსვენციმის მუზეუმი გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების კომპლექსია. იგი პოლონეთის სამხრეთში, კრაკოვიდან 60 კმ-ში მდებარეობს. აქ 1 300 000 ადამიანი აწამეს, რომელთაგან მილიონზე მეტი ებრაელი იყო.

1953 წელს იერუსალიმში გაიხსნა „იად ვა-შემი“ (ქართულად „ხსოვნა და სახელი“) – კატასტროფისა და გმირობის ნაციონალური მემორიალი, რომელმაც ნაციზმის მსხვერპლთა სახელები უკვდავყო.

დარბაზის ცენტრში მარადიული ცეცხლი ანთია, მასთან ახლოს კი ხსოვნის დაფაა, რომლის ქვეშ სიკვდილის ბანაკებში დამწვარი ადამიანების ფერფლია მოთავსებული.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჰოლოკოსტი, როგორც მოვლენა, არ არსებობდა იმ სახით, როგორადაც მას საერთაშორისოდ მიღებული ისტორიოგრაფია აღწერს. გაეროს გენერალური ასამბლეა 2005 წლის რეზოლუციით უარყოფს ნებისმიერ მთლიან ან სანახევროდ უარყოფილ ჰოლოკოსტს, როგორც მოვლენას. 2007 წლის 26 იანვარს კი, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის წინა დღეს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია ჰოლოკოსტის, როგორც ისტორიული ფაქტის გასამართლებისა. დოკუმენტს გენასამბლეის 192 წევრთაგან დაეთანხმა 103 ქვეყანა.

# ეგვიპტის სასამართლომ 21 ადამიანს სიკვდილი მიუსაჯა

ეგვიპტის სასამართლომ 21 ადამიანს, რომლებიც ერთი წლის წინ ქალაქ პორტ საიდის სტადიონზე მომხდარი ტრაგიკული ამბების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულებად გადიოდნენ, სიკვდილი მიუსაჯა. სულ ამ საქმეზე 73 ადამიანი იყო ბრალდებული. დანარჩენების მიმართ ვერდიქტს 9 მარტს გამოიტანენ.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის 1 თებერვალს ეგვიპტის ქალაქ პორტ-საიდის სტადიონზე ადგილობრივი საფეხბურთო კლუბების შეხვედრის შემდეგ მომხდარ არეულობაში 73 ადამიანი დაიღუპა და 1000 ზე მეტი დაიჭრა. სხვა მონაცემებით, დაღუპულია 77 ადამიანი და დაზარალებულია 250. დაღუპულთა უმრავლესობის ასაკი 18 წელს არ აღემატებოდა და ისინი ყველა ჭყლეტის შედეგად დაიღუპნენ. თვითმხილველთა მონაცემებით, ადამიანები ჭყლეტის გამო ტრიბუნებიდან მრავალმეტრიანი სიმაღლიდან ცვიოდნენ.

წაგებული გუნდის გულშემატკივრებმა მატჩის დამთავრების შემდეგ მოედანზე გადაინაცვლეს და ფეხბურთელებს დაესხნენ თავს. დაიწყო მასობრივი ჩხუბი. სულ სტადიონზე დაახლოებით 40 ათასი გულშემატკივარი იყო. ამ ტრაგედიის შემდეგ ეგვიპტეში ოთხდღიანი გლოვა გამოცხადდა.

ამ ფონზე, ეგვიპტის არმიის დანაყოფები და ტანკები ქალაქ სუეცის ქალაქის ქუჩებში შეიყვანეს იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული არეულობები, რომლებითაც გამორჩეულია მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლების დაწყების ორი წლისთავი.

ოპოზიციონერი დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკების შედეგად უკვე შვიდი ადამიანია დაღუპული, მათ შორის – აქციის ექვსი მონაწილე და ერთი პოლიციელი. დაზარალებულია 400 ზე მეტი ადამიანი. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„მესამე არმიას ვთხოვეთ, ჩვენთან დამატებითი ძალა გამოეგზავნა, მანამ, ვიდრე ამ რთულ პერიოდს არ გავივლით“, – აცხადებს სუეცის უსაფრთხოების სამსახურის მეთაური ადელ რეფატი.

არეულობების შესახებ ასევე ვრცელდება ინფორმაციები კაიროდან და ალექსანდრიიდან. ქალაქ ისმაილში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პარტია „ძმებ-მუსლიმანების“ ოფისი დაწვეს.

ამავდროულად, ტაჰრირის მოედანზე ადამიანთა თავშეყრა დაიწყო. დემონსტრანტებმა მოედანზე ორი წლის წინ დემონსტრაციების დროს დაღუპულთა ფოტოსურათები გამოფინეს.

„ჩვენი რევოლუცია გრძელდება. ჩვენ უარს ვაცხადებთ რომელიმე ერთი პარტიის დომინირებაზე ჩვენს სახელმწიფოზე. ჩვენ ვეუბნებით „არა“-ს „ძმებ-მუსლიმანების“ სახელმწიფოს“, – აცხადებს მემარცხენეთა პოლიტიკური ლიდერი ჰამდინ საბახი. მოედანზე შეტაკებებიც მოხდა. ეგვიპტის სხვა ქალაქებში არანაკლებ მასშტაბური საპროტესტო აქციები მიმდინარეობს.

# სამგლოვიარო განცხადებები

ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა მწუხარებას გამოთქვამს კლინიკის ექიმი-რადიოლოგის სოფო მდივანის მამამთილისა და მისი მეუღლის ზაზა ავალიანის მამის

**გიორგი ავალიანის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დილარ ივარდავა და სოსო ნაყოფია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის, ბატონი

**ვალიკო ნექტარის ძე შონიას**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 29 იანვარს, სოფ. დარჩელში, ზუგდიდის რაიონი.

---

მზია და ანზორ ხარბედიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი ადამიანის

**ლილი აკაკის ასულ ადამია-ხარბედიას**

გარდაცვალებას.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ირანში მიწისქვეშა ბირთვული სადგური აფეთქდა

ირანში, ერთ-ერთ ბირთვულ სადგურში დივერსიის შედეგად აფეთქება მოხდა.

აღმოსავლური მედიის ინფორმაციით, ობიექტ „ფორდოზე“ მომხდარი მასშტაბური აფეთქების შედეგად მთელი ინფრასტრუქტურა განადგურდა და 240 თანამშრომელი მიწისქვეშ აღმოჩნდა. სამაშველო ბრიგადებმა მათი ამოყვანა ვერ შეძლეს.

როგორც ახალი ამბების ამერიკული სააგენტო „ვორლდ ნათ დეილი“ ირანელი დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, აფეთქების შედეგად 5 კმ-ის რადიუსში ყველა შენობა ჩამოინგრა.

მისივე ინფორმაციით, ირანის მთავრობამ 24 კმ-ის რადიუსში არსებული ტერიტორია ალყაში მოაქცია და მთლიანად ჩაკეტა.

ობიექტი, რომელზეც აფეთქება მოხდა, მიწისქვეშ 90 მ სიღრმეში მდებარეობდა. სადგურს ორი ავარიული გასასვლელი და კიბე ჰქონდა, თუმცა ერთ-ერთი გასასვლელი აფეთქების მომენტში არ ფუნქციონირებდა, მეორე კი დაინგრა.



ირანის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეს გამიზნული დივერსიაა.

გამოძიების ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერებები ობიექტზე დროთა განმავლობაში ეტაპობრივად შეჰქონდათ. აფეთქების ეპიცენტრად ცენტრიფუგის მესამე ნაწილი მოიაზრება, რომელიც უშუალოდ ურანით გამდიდრებული სათავსოს ქვემოთ მდებარეობდა.

ამერიკული სააგენტოს წარმომადგენლებმა ინფორმაციის გავრცელებამდე ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიმართეს, თუმცა ამას შესაბამისი რეაქცია არ მოჰყოლია.

აფეთქების ფაქტს ოფიციალურ წყაროები არ ადასტურებენ, თუმცა ცნობილია, რომ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ირანის დაზვერვის ხელმძღვანელი პირები და ბირთვული პროგრამის წარმომადგენლები საგანგებო სხდომაზე დაიბარა.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის სექტემბერში ეროვნული უშიშროებისა და საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალაედინ ბორუჯერდიმ განაცხადა, რომ კომპანია „შიემენს“-მა ირანში ბირთვული პროგრამის განსახორციელებლად მინიატურული ასაფეთქებლების მქონე მოწყობილობა დაამონტაჟა. მისი თქმით, მინი ასაფეთქებლები მანამდე იპოვეს და გააუვნებელყვეს, ვიდრე დეტონაცია მოხდებოდა. პარლამენტარის ინფორმაციით, გერმანული კომპანია ურანის გასამდიდრებელი სამუშაოების ტორპედირებას აპირებდა, მაგრამ ირანელებმა ამ შეთანხმების ჩაშლა შეძლეს. მან არ დააკონკრეტა, თუ როდის შეიტანეს ასაფეთქებელი მოწყობილობა ფორდოს კომბინატში.

ცნობისთვის: მიმდინარე კვირას, მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის დასრულების შემდეგ, ირანის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ურანის გამდიდრება ერთი წუთითაც არ შეწყდება.

ბირთვული რეაქტორის არსებობა დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. ეს ურანით გამდიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტია ირანში.

ამჟამად ირანთან მიმართებით სანქციების შესახებ უშიშრების საბჭოს ოთხი რეზოლუცია მოქმედებს, რომელიც ბირთვული, სარაკეტო და სამხედრო პროდუქციის ექსპორტს კრძალავს.

შეგახსენებთ ექსპერტების განცხადებას, რომ ირანს ატომური ბომბი 2014 წელს ექნება. „ირანი ატომური ბომბის შექმნისათვის საჭირო ოდენობის ურანის გამდიდრებას 2014 წლის შუა პერიოდისთვის მოახერხებს“, – ამის შესახებ ნათქვამია ამერიკელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ირანს ატომური ბომბი 2014 წელს უკვე ექნება. აღნიშნული ჯგუფი აშშ-ს და მის მოკავშირეებს თეირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისაკენ მოუწოდებს.

# სანქტ-პეტერბურგი ფაშისტური ბლოკადის მოხსნიდან 69-ე წლისთავს აღნიშნავს

სანქტ-პეტერბურგი დღეს ფაშისტური ბლოკადის მოხსნიდან 69-ე წლისთავს აღნიშნავს.

ქალაქის მასშტაბით მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი აქციები იმართება. მოსახლეობამ დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

ერთი დღით სანქტ-პეტერბურგი „ლენინგრადად“ გადაიქცა. ქალაქის მასშტაბით საომარი მოქმედებების ამსახველი რეპროდუქციები დაიდგა. სასაფლაოზე, სადაც გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი ცერემონიალი მიმდინარეობს, დილიდან ასობით ადგილობრივმა მოიყარა თავი.



ბლოკადამ, რომელიც 900 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ზუსტი ციფრი ამ დრომდე უცნობია. მარტო პისკარიოვის სასაფლაოზე 500 ათასი ადამიანია დაკრძალული, რომელთაგან ნახევარზე მეტი შიმშილმა შეიწირა. ამიტომაც, ტრადიციის მიხედვით, მოქალაქეებს ამ დღეს მემორიალთან პური მიაქვთ.

„ლენინგრადის ბლოკადა“ იყო მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მიერ ლენინგრადზე (სანქტ-პეტერბურგი) განხორციელებული სამხედრო ოპერაცია. გერმანული გეგმით, ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო „ნორდლიხტი“ (ოპერაცია ჩრდილოეთის ნათება). ბლოკადა გაგრძელდა 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 18 იანვრამდე.

# ანტარქტიდაში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის პილოტს ეძებენ

ანტარქტიდაში, კანადური თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილას, სამი პილოტის ძებნის ოპერაცია იწყება. ნარჩენებს ოთხშაბათიდან ეძებდნენ და გუშინ იპოვეს: თვითმფრინავი სამხრეთ პოლუსიდან 680 კილომეტრში, ელისაბედის მთას შეეჯახა. ახალზელანდიელ მაშველებს, რომლებიც ოპერაციას ატარებენ, დაკარგულების ცოცხლად პოვნის იმედი არ აქვთ.

ახალი ზელანდიის საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრმა განაცხადა, რომ მთავარი ამოცანა გვამების პოვნა და თავდაპირველად – ახალ ზელანდიაში, ხოლო შემდეგ კანადაში გადაგზავნაა, – წერს „იტარ-ტასი“.

თვითმფრინავის რეისი 23 იანვრის საღამოს ტრაგიკულად დასრულდა. იგი ორმა ახალზელანდიურმა ვერტმფრენმა აღმოაჩინა. თვითმფრინავი ელისაბედის მთას ზღვის დონიდან 3900 მეტრის სიმაღლეზე შეეჯახა.

ფიქრობენ, რომ ძებნის ოპერაცია გაძნელებული იქნება, რადგან შემთხვევის ადგილი ძნელად მისადგომია, თუმცა ამინდი ოპერაციას ხელს უწყობს. მთიან რაიონში სუსტი ქარი და მცირე ღრუბლიანობაა. ჩამოვარდნის ადგილიდან 50 კილომეტრში მაშველებისთვის ბაზაა შექმნილი.

# ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი გახდა

ჩეხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში „სამოქალაქო უფლებების პარტიის“ ლიდერმა მილოშ ზემანმა გაიმარჯვა.



საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მან ამომრჩეველთა ხმების 55 პროცენტი მიიღო და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ შვარცენბერგი დაამარცხა. მილოშ ზემანის ინაუგურაცია 8 მარტს პრაღაშია დაგეგმილი.

ქვეყანაში სულ გახსნილი იყო 14 ათას 900 საარჩევნო უბანი, მათ შორის 102 – საზღვარგარეთ. წინასწარი გამოკითხვების შედეგად, ამომრჩეველთა 53,7% ზემანს უჭერდა მხარს, შვარცენბერგს კი – 46,3%.

ცნობისთვის: ზემანი ხალხის მიერ პირდაპირი გზით არჩეული პირველი პრეზიდენტი გახდა. შესაბამის კონსტიტუციურ კანონს პირდაპირი არჩევნების შემოღების შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა ვაცლავ კლაუსმა გასული წლის თებერვალში მოაწერა ხელი. აქამდე ქვეყნის პირველ პირს ჩეხეთის პარლამენტი ირჩევდა. ასე აირჩიეს თავის დროზე ვაცლავ ჰაველი (1993-2003) და მოქმედი სახელმწიფოს მეთაური ვაცლავ კლაუსი (2003).

მილოშ ზემანი თავისი მკვეთრი განცხადებებითა და ანტიისლამური გამოსვლებითაა ცნობილი.

# ინდონეზიაში მეწყერმა ცხრა ადამიანი იმსხვერპლა

ინდონეზიაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ცხრა ადამიანი იმსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, გადაუღებელი წვიმების გამო ინდონეზიის სოფელ ტანჟუნგ სანიში მეწყერი ორჯერ ჩამოწვა, რის შედეგადაც 20 საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ხუთი გარდაცვლილის ცხედარი მაშველებმა ნანგრევებიდან ამოიყვანეს, 17 კი ამ დროისთვის დაკარგულად ითვლება.

რაც შეეხება მეორე მეწყერს, ის იმ შენობასთან ჩამოწვა, სადაც მუშები სადილობდნენ. შედეგად 4 ადამიანი გარდაიცვალა. სტიქიური უბედურების ადგილას სამაშველო ოპერაცია ამ დრომდე გრძელდება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 28 იანვარი**

06.30 დ/ფ „ღრუბელი სამყაროს თავზე“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე“ 10.30 „დილის საუბარი“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა“ 17.00 „სპიკერი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ“სისხლი და ვარდი“ 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარი“ 01.00 მხ/ფ „მკა“ (ტიტ.) (დ.მორისონი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ჩიკაგო“ 09.00 მხ/ფ „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ 10.35 მხ/ფ „სახლი ტბის პირას“ (კ.რივზი) 12.15 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ“ (ჟ.მარე) 14.00 დ/ფ „ოთხგანზომილებიანი ატლასი“ 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებები“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)




07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ.„იღბლიანი მოახლე“ 11.30 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.30 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 5 სერ. 14.45 სერ. „24 – 4“ 15.45 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.40 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ. „გაქცევა შაუშენკიდან“ (ტ.რობინსი) 00.45 სერ. „ღვინის გზა“ 01.25 მხ/ფ. „ბაზა“ (ს.ელ ჯექსონი) 03.05 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 მხ/ფ „რომაული არდადეგები“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ 13.30 კონცერტი-სესილია ბარტოლი 14.50, 18.20, 22.30, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „გუშინდელნი“ 17.00 მუხრან მაჭავარიანის საღამო 18.10 ტელეზღაპარი 18.25 ერთი წვეთი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „პიერი,მილიციის თანამშრომელი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 სალომე უჯარმელი 22.35 დოკ/ფ „ფთილა“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები“ გად.II 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენეტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6602 |
| ევრო | 2,2308 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6870 |
| რუსული რუბლი | 0,0553 |

## ამინდის პროგნოზი 28 იანვრისთვის





„ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1 ამერიკული ზღაპრები






მალე, მალე, მალე
„ახალ თაობასთან“
ერთად
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მე-2 ტომი


## ელდარ შენგელაია ბრწყინვალების ორდენოსანია

ეკა ირემაშვილი

იუბილარი რეჟისორი ელდარ შენგელაია ბრწყინვალების ორდენოსანია. ის ამ ჯილდოთი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 80 წლის იუბილეზე დააჯილდოვა. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ – ასე უწოდეს ხელოვნების სასახლის მესვეურებმა ექსპოზიციას, რომელიც კინორეჟისორის იუბილეს მიეძღვნა.



საქართველოს თეატრის მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ბევრი სტუმარი მივიდა, მათ შორის ქართული კულტურის მესვეურები, პოლიტიკოსები, რეჟისორის შემოქმედების თაყვანისმცემლები. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბატონი ელდარი ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა, კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა დიდ რეჟისორს სიმბოლური „ოქროს კამერა“ გადასცა, მერიამ კი იუბილარ ხელოვანს ქართული „კულტურის ამაგდარის დიპლომი“ გადასცა. გამოფენის გენერალურმა სპონსორმა კომპანია „ბილაინმა“ ახალი თაობის მობილური უსახსოვრა, ხოლო ბანკმა „კონსტანტამ“ რეჟისორს ანგარიში გაუხსნა, რომელზეც ფილმის გადასაღებად საჭირო თანხა მოგროვდება. საჩუქრის გარეშე ელდარ შენგელაია არც ტურისტულ კომპანიას „გუდ თრეველმა“ დატოვა, მან რეჟისორი 500 ლარიანი ვაუჩერით დაასაჩუქრა. რეჟისორს კომპანია „კულამ“ და ეროვნულმა კინოცენტრმაც გადასცეს საჩუქრები, ხოლო „ქართულმა ფილმმა“ ელდარ შენგელაიას მცირე ზომის ცათმფრენი უსახსოვრა. ხელოვნების სასახლის „უკვდავთა თაღში“ რეჟისორ ელდარ შენგელაიას ხელის ანაბეჭდის დაფა გაიხსნა. ხელოვნების სასახლის დარბაზში იუბილარმა რეჟისორმა პრიმაბალერინასთან ნინო ანანიაშვილთან ერთად ვალსიც იცეკვა, რაც შეკრებილმა საზოგადოებამ ბრავოს შეძახილებით და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეაფასა.

იუბილარმა რეჟისორმა არაერთი მილოცვა მიიღო თავისი კოლეგებისგან, მეგობრებისგან, ოფიციალური პირებისგან. მისი საიუბილეო გამოფენა ხელოვნების სასახლის ექვსივე დარბაზში იქნა წარმოდგენილი. დარბაზებში გაცოცხლდნენ მისი კინოფილმების გმირები, წარ-


დასაწყისი მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი 28 იანვრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე სიხარულს გაჩუქებთ!

**ვერძი** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წასვლა გართობთ. **კური** – რომანტიკაში ხართ ჩაკარგული. **ტყუპები** – ახალი აღმოჩენა აღგაფრთოვანებთ. **კირჩხიბი** – მშვენიერი დღეა, თავს ბრწყინვალე ფორმაში წარმოადგენთ. **ლომი** – ახალი შემოთავაზება იმაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ვიდრე თქვენ წარმოიდგენდით. **ქალწული** – ძვირფას საჩუქარს საღამოს ელოდეთ. **სასწორი** – ბედი გწყალობთ, ყველა საქმე გამოგდით. **ღრიანკალი** – საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – პატარა პრობლემას ადვილად გადაჭრით, მთავარი მონდომებაა. **თხის რქა** – ისე მოიქეცით, როგორც გული გკარნახობთ, დღეს ნურავის დაუჯერებთ. **მერწყული** – აღმასვლა გახარებთ და დიდ სტიმულს გაძლევთ. **თევზები** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლე.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. მოწნულყურიანი ჭურჭელი; 4. მთათა სისტემა შუა-აზიაში; 7. ჩინეთის დედაქალაქი; 8. ქალაქი პოლონეთში; 12. ნაჭდევებიანი ფოლადის ძელაკი; 13. რძის პროდუქტი; 15. დიდი ხვლიკი; 17. მახრჩობელა გველი; 19. გაზით უზრუნველყოფა საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების; 20. ბანქო; 21. ძველებური სამხედრო ქუდი.

**შვეულად:** 1. ტროპიკული ხილი; 2. სიბრძნის, ხელოვნების ქალღმერთი ბერძნულ მითოსში; 3. სპორტის სახეობა; 5. ყაჩაღი კუთხურად; 6. შუქმგრძნობიარე ფირზე საგნის უკუღმა გამოსახულება; 9. ნაღვლიანი განწყობილება; 10. ენათმეცნიერი; 11. ისლამის რელიგიური სისტემა; 14. ... თბილელი; 16. ალუმი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში და ინგლისში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## ქეცბაიამ 24 ფეხბურთელი იხმო

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 2013 წლის პირველ მატჩს ტირანაში ჩაატარებს. თემურ ქეცბაიას გუნდი საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ალბანეთის წინააღმდეგ გამართავს. გუნდი წლის სადებიუტო მატჩისთვის მზადებას 4 თებერვალს ალბანეთის დედაქალაქში დაიწყებს. თამაში კი, 6 თებერვალს „ქემალ სტაფას“ სტადიონზე თბილისის დროით 22 საათზეა დაგეგმილი.

ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ალბანეთთან მატჩისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა. გამოძახებულთა შორის ისევ გამოჩნდა ზურაბ ხიზანიშვილი, რომელმაც ბოლო მატჩები გამოტოვა. ასევე ნაკრებში დაბრუნების შანსი მიეცა ილია კანდელაკსაც.



**მეკარეები:** გიორგი ლორია (დინამო თბ), ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი)

**მცველები:** გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურა ხიზანიშვილი (კაისერი, თურქეთი) ალექსანდრე ამისულაშვილი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა) გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი, დავით კვირკველია (ორივე დილა) ილია კანდელაკი (ინტერი, ბაქო) მამუკა კობახიძე (ალანია, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი, ლევან ყენია (ორივე კარპატი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე, ჯაბა კანკავა (ორივე დნიპრო, უკრაინა) დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე ილიჩევეცი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ირაკლი ძარია (დინამო თბ);

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), მათე ვაწაძე (ორჰუსი, დანია), ნიკოლოზ გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია).

შეგახსენებთ, რომ ეროვნული გუნდი სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრას 22 მარტს საფრანგეთის წინააღმდეგ გამართავს. 2014 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი საფრანგეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე ადგილობრივი დროით 21 საათზე დაიწყება.

მ. ჟ.

## ჯორჯ სოროსი ინვესტორებს რუსეთში ფულის დაბანდებისგან თავის შეკავებას ურჩევს

საქველმოქმედო ორგანიზაციების ქსელ „სოროსის ფონდის“ დამფუძნებელი ჯორჯ სოროსი ინვესტორებს რუსეთში ფულის დაბანდებისგან თავის შეკავებას ურჩევს.



„ინვესტორებს, რომლებიც რუსეთის ეკონომიკაში ფულის დაბანდებას აპირებენ, ვურჩევ, თავი შეიკავონ. ამის შესახებ ცნობილმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა“, – იუწყება ამერიკული გამოცემა „ფორბსი“.

„რუსეთის ეკონომიკა იშლება და პუტინს ის არასწორი მიმართულებით მიჰყავს“, – განაცხადა ინვესტორმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რატომ ფიქრობს ასე.

ჯორჯ სოროსს აქამდეც ხშირად გაუკრიტიკებია რუსეთის ხელისუფლება.

ჯორჯ სოროსი უნგრელ-ამერიკელი ფინანსისტი, ინვესტორი და ფილანთროპია. ღია საზოგადოების თეორიის მომხრე და „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ მოწინააღმდეგე (ამ მიმართულებით ახლოსაა კარლ პოპერის სოციალურ იდეებთან). ის ასევე დამფუძნებელია ისეთი ცნობილი საქველმოქმედო ორგანიზაციების ქსელებისა, როგორიცაა „სოროსის ფონდი“.

მისი საქმიანობა ორაზროვან შეფასებას იწვევს სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებრივ წრეებში. სოროსი „საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრია.

გ. მ.